პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

25 აგვისტო **სამშაბათი** 2009

№ 199 (12878) ფასი 60 თეთრი




ტრანსფერი

## ცინცაძეს საბერძნეთის გზა გაეხსნა

>> გვერდი 12

კლაუს ტოპმიოლერი

## ყენია

## მსოფლიო კლასის ვარსკვლავია

ინტერვიუ



>> გვერდი 4

## ცქიტიშვილი სპარტაკში ითამაშებს?



>> გვერდი 3

## ოპტიმიზმი გაჭირვების მოლოდინში

ინტერვიუ შოთა ხაბარელთან



>> გვერდი 11

# ხანდახან ემოციაც საჭიროა...

...როგორ ვთქვით, ძველი და კარგი სერიალიო? ჰო, „დინამოსა“ და „ვიტ ჯორჯიას“ დაპირისპირებათა ისტორიას კიდევ ერთი მატჩი მიემატა, ოღონდ, სამწუხაროდ, მეტისმეტად... უინტერესო „სერია“ ვიხილეთ! რას ვიზამთ, „სერიალებში“ ასეთი რამ ხშირად ხდება ხოლმე - ხან დაგაინტრიგებს, ხან ჩვეულებრივია. თუმცა, ვიდრე „დინამო“ და „ვიტ ჯორჯია“ უშინაარსო და უჯიგრო თამაშს გვიჩვენებდნენ, ამასობაში მორიგი ხმამაღალი განცხადება გააკეთა რუსთავის „ოლიმპმა“ - ერთადერთმა გუნდმა, ჩემპიონატის სტარტზე ოთხივე შეხვედრა რომ მოიგო!

## დანაკარგისა და აკინოს გარეშე

„ოლიმპი“ კვლავაც აგრძელებს ჩემპიონობის ერთ-ერთი ფავორიტის სტატუსის გამართლებას: **ოთარ კორღალიძის** გუნდმა ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო და როგორც ადრე ვივარაუდეთ, სექტემბრის სამ პრინციპულ დაპირისპირებას დიდი შანსია, რომ უდანაკარგოდ შეხვდეს. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ იმავე წინა ტურისგან განსხვავებით, „ოლიმპს“ იოლად არ გაუმარჯვია. ამაში კი, რაღა თქმა უნდა, მეტოქეც „დამნაშავე“ იყო - „გაგრამ“ ამ სეზონში უკვე ორჯერ მოასწრო იმის დამტკიცება, რომ წინა სეზონისგან განსხვავებით აშკარად სხვა მიზნები ექნება. **ვიქტორ კაშჩეის** გუნდმა ერთპიროვნულ ლიდერს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია, მეორე ტაიმის საწყისი წუთები სულაც შეტევებში გაატარა, მაგრამ სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწია. თუმცა, ამის გამო „გაგრას“ მართლაც ვერავინ დაძრახავს - „ოლიმპის“ გამარჯვება ხომ აბსოლუტურად კანონზომიერი იყო. მით უფრო, რომ რუსთაველი გუნდი უპირობო ლიდერის, ბრაზილიელი **ანდერსონ აკინოს** გარეშე ასპარეზობდა მაგრამ, „ოლიმპში“ სხვაც არაერთი ფეხბურთელია, თანაგუნდელების გაძღოლა რომ შეუძლიათ და ეს, პირველ ყოვლისა. **შოთა ბაბუნაშვილსა და დენის დობროვოლსკიზე** ითქმის. ცალკე უნდა აღვნიშნოთ **დავით იმედაშვილის** ასპარეზობაც - უნივერსალი ფეხბურთელი ეროვნულ ჩემპიონატს რამდენიმეწლიანი განშორების შემდეგ დაუბრუნდა. სადებიუტო მატჩი ჰქონდა უმაღლეს ლიგაში **ლაშა თოთაძესაც** - საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მცველი „გაგრას“ დაცვას უთუოდ გააძლიერებს.

## მოსალოდნელი უპირატესობა

„ოლიმპს“ ამ ტურამდეც შეეძლო „მშვიდად“ ყოფნა - თავის მატჩს თუ მოიგებდა, უახლოეს მდევართან სხვაობა კვლავაც სამი ქულა ექნებოდა. ასეც მოხდა და ახლა რუსთაველი კლუბის უახლოესი მდევარი ცხინვალის „სპარტაკია“. ვივარაუდეთ და ასეც მოხდა: „დინამოსთან“ სასტიკი მარცხის მერე **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდს სასწრაფოდ სჭირდებოდა რეაბილიტაცია. მით უმეტეს, რომ „სპარტაკს“ ამ ტურში ნამდვილად არ ჰყავდა ძლიერი მეტოქე თბილისის „ლოკომოტივის“ სახით. მასპინძელთა თავკაცმა, წინა მატჩთან შედარებით, საკუთარი გუნდის ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ორი ცვლილება შეიტანა - კარში **ბექა შეყრილაძე** იდგა, ხოლო **გიორგი ჩივაძე** პირველი წუთებიდანვე თამაშობდა; უნდა ითქვას, რომ ამ ტექნიკურ ნახევარმცველს ურიგო შეხვედრა ნამდვილად არ ჩაუტარებია. საერთოდაც, მასპინძელთა უპირატესობა 90 წუთის განმავლობაში ეჭვს არ იწვევდა და საბოლოო შედეგიც (2:0) ლოგიკური იყო; ეგ კი არა, „სპარტაკის“ ფეხბურთელებს დამაგვირგვინებელ ფაზაში უფრო მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ, ანგარიში ბევრად შთამბეჭდავი იქნებოდა. კვლავაც დაადასტურა საკუთარი ოსტატობა **დავით ოდიკაძემ**, მუდამ მეტოქის კარზე დაგეშილი იყვნენ „სპარტაკის“ ფორვარდები **რევაზ გოცირიძე** და **ბაჩანა ცხადაძე**. ამ უკანასკნელმა ახალი გუნდის შემადგენლობაში პირველი გოლიც გაიტანა, თუმცა, სულ მცირე, სამ ეპიზოდში კიდევ შეეძლო თავის გამოჩენა. სხვათა შორის, ამ სეზონში უკვე მერამდენედ გვიხდება იმის აღნიშვნა, რომ „ლოკომოტივს“ საკმაოდ კარგი მეკარე ჰყავს - **მაქსიმე ქვილითაიამ** ამ შეხვედრაშიც რამდენჯერმე გადაარჩინა საკუთარი კარი, თანაც ყოფილი თანაკლუბელების წინააღმდეგ თამაშიც, ალბათ, მისთვის გარკვეული სტიმულიც იქნებოდა. ისე კი, „ლოკომოტივს“ გაძლიერება უთუოდ არ აწყენდა, თორემ დებიუტანტი მწვრთნელის **გელა სანაიას** გუნდს უთუოდ გაუჭირდება უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება.

## ნანატრი გამარჯვება

ტურის ცენტრალურ მატჩს 300 კაცი რომ დაესწრება, რომელ ფეხბურთის ალმავლობაზეა ლაპარაკი; თუმცა, საბედნიეროდ, საქართველოში არის ადგილები, სადაც ტრიბუნებზე სრული ანშლაგია! 3500 კაცი ადევნებდა თვალს „სამტრედიისა“ და „ბაიას“ უშელავათო შეხვედრას და ამასთან, ყველა მსურველიც ვერ დაიტია სამტრედიის „ეროსი მანჯგალაძის სახელობის“ სტადიონმა! მასპინძლებს რომ ჩემპიონატში მძიმე სტარტი ექნებოდათ, გასაკვირი არავისთვის უნდა ყოფილიყო - უმაღლესი ლიგის დებიუტანტ გუნდს მართლაც სჭირდება გარკვეული დრო ახალ „გარემოსთან“ შესაგუებლად. მოკლედ, სამ შეხვედაში სამი ნაგების მერე **ვალერიან ჩხარტიშვილის** გუნდს უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა და ერთგული ქომაგების არნახული მხარდაჭერით სასურველი შედეგის მიღწევა შეძლო! თუმცა, „სამტრედიას“ ამ სამი ქულის მოპოვება ერთობ რთულ და დაძაბულ შეხვედრაში მოუხდა - „ბაია“ მასპინძლებს კი არ ჩამოუვარდებოდა, გარკვეულ ეპიზოდებში მეტოქეს ჯობდა კიდეც. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, სტუმართა მთავარი მწვრთნელის **ბესიკ შეროზიას** მიერ არჩეული თამამი და აშკარად შეტევაზე ორიენტირებული ტაქტიკითაც (3-4-3) იყო განპირობებული. თუმცა, ისიც ნათლად ჩანდა, რომ „ბაიას“ ახალწვეულ **რევაზ ჯიქიას** გარკვეული დრო სჭირდება ახალ პარტნიორებთან შესათამაშებლად. არადა, ამ ნიჭიერ ფეხბურთელს რისი გაკეთებაც შეუძლია მოედანზე, ორი, სამი თუ უფრო დიდი ხნის წინათ არაერთხელ დავრწმუნებულვართ, როცა „ოლიმპის“, „ტორპედოსა“ თუ „ბათუმის“ შემადგენლობაში ასპარეზობდა.

მასპინძელთა შორის, როგორც გამოცდილ ფეხბურთელებს „მოეთხოვებოდათ“, ყველაზე აქტიურები **შოთა ჩომახიძე** და **მიხეილ კაკალაძე** იყვნენ - სწორედ ამ უკანასკნელის ზუსტმა დარტყმამ მასპინძლებს პირველი სამი ქულა მოუტანა.

## ეს ჯერ დასაწყისია

„სამტრედიამ“ ჩემპიონატში პირველი გამარჯვება მოიპოვა, აი, „სიონმა“ კი სულაც პირველი ქულა აიღო! რას ვიზამთ, რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ: ყველასათვის ცნობილი მიზეზების გამო ბოლნისურმა კლუბმა მეტისმეტად ულიმღამო სტარტი აიღო და მხოლოდ მესამე ცდაზე შეძლო გუნდმა პირველი ქულის მოპოვება. არადა, „სიონის“ მეტოქე ხომ ჩემპიონობის ერთ-ერთი ფავორიტი „ზესტაფონი“ იყო. თუმცა, ამ შეხვედრას უფრო სხვა ინტრიგა ჰქონდა: **თემურ მახარაძეს** ყოფილი კლუბის წინააღმდეგ, რაღა თქმა უნდა, განსაკუთრებული მოტივაცია ჰქონდა. გამოცდილი მწვრთნელი, ბოლნისში მისვლის მერე გამუდმებით ოპტიმალური შემადგენლობის ძიებაშია და ამის გამოც არის, რომ სამივე მატჩში „სიონში“ ძველ-ახალი სახეები ჩნდებიან: **მიხეილ კობაური, რევაზ ქემოკლიძე, სულიკო დავითაშვილი, ბესიკ ჩიმაკაძე**. მოკლედ, მახარაძეს სერიოზული მუშაობა უწევს და ასეთ ძლიერ მეტოქესთან მოპოვებული პირველი ქულა იმის თქმის საბაბს იძლევა, რომ „სიონი“ ქულათა მარაგსაც შეავსებს და სატურნირო მდგომარეობასაც გამოასწორებს. „ზესტაფონთან“ შეხვედრაში თავდაპირველად სტუმრები უკეთ გამოიყურებოდნენ, მაგრამ **გია გეგუჩაძის** გუნდმა ამ უპირატესობით ვერ ისარგებლა. სამაგიეროდ, მეორე ტაიმში „სიონი“ აშკარად გამოცოცხლდა და რამდენჯერმე მწვავედაც შეუტია ფავორიტ მეტოქეს, თუმცა საიმედოდ მოთამაშე **ზურაბ მამალაძემ** მასპინძლებს გოლის გატანა არ დაანება. სხვათა შორის, თემურ მახარაძეს გარკვეულ ექსპერიმენტებზეც უწევს წასვლა და რამდენიმე ფეხბურთელს ამპლუაც შეუცვალა; ასე, მაგალითად: **ალექსანდრე გოგობერიშვილმა** ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე იასპარეზა, თუმცა ამ გამოცდილი ფეხბურთელის თამაშს ეს არ დასტყობია და შეხვედრაში ერთ-ერთი გამორჩეულიც იყო.



დინამო-ვიტ ჯორჯია 0:0

ალექსანდრე კოტორაშვილი ფოტო

## საყაიმო სინდრომი

ზედიზედ მეხუთე დაპირისპირება და ზედიზედ მეხუთე ფრე - აი, ასე გრძელდება უკვე მესამე სეზონია „დინამოსა“ და „ვიტ ჯორჯიას“ დაპირისპირებები. ოღონდ, ეს უკანასკნელი საყაიმო მატჩი წინა ოთხისგან რადიკალურად განსხვავდებოდა. ეგ კი არა, ვეღარც გაგვიხსენებია, პრინციპულ მეტოქეთა შეხვედრა ბოლოს როდის იყო ასეთი ულიმღამო თუ უინტერესო. აღარაფერს ვამბობთ ემოციაზე - აი, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი შეხვედრა იყო, მეტოქეთა მეკარეებს ერთხელაც რომ არ მისცემიათ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის შანსი! ჰო, ეს, მართლაც უცნაურზე მეტი იყო - „დინამოს“ და „ვიტ ჯორჯიას“ ზეპრინციპულად „მონათლულმა“ მატჩმა მეტისმეტად მშვიდობიანად ჩაიარა. არა, იმას არავინ ამტკიცებს, რომ გინდა თუ არა, ფეხბურთელებს ერთმანეთი უნდა დაესისხლიანებინათ, მაგრამ, რასაც უშელავათო ბრძოლა ჰქვია, ამის ნატამალიც არ ყოფილა. სიახლე კი ის იყო, რომ თავის სადებიუტო მატჩში „ვიტ ჯორჯიას“ მთავარმა მწვრთნელმა **მერაბ კოჭლაშვილმა** წინამორბედისგან განსხვავებით სხვა ტაქტიკური განლაგება (4-2-3-1) აირჩია. ერთი მატჩის მიხედვით, რაღა თქმა უნდა, ძალიან ძნელია იმის მტკიცება, თუ რამდენად ეფექტიანი გამოდგება ეს სიახლე. ფაქტი კი ის იყო, რომ პირველი ტაიმი „ვიტ ჯორჯია“ მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდა; მეორეში კი, განსაკუთრებით, ბოლო 30 წუთი, აშკარად ჩანდა, რომ „ვიტ ჯორჯია“ ფრეზეც თანახმა იყო. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თამაშის ამ პერიოდში „დინამომ“ მაქსიმალური სისწრაფეები ჩართო ან მეტოქეს შტურმი მოუწყო, უბრალოდ, ტერიტორიული უპირატესობა ამჯერად უკვე **კახა კაჭარავას** გუნდის მხარეს გადავიდა. მაგრამ, იმ დღეს ორივე გუნდმა პრაგმატიზმი ამჯობინა სანახაობას და ამის გამოც მივიღეთ აბსოლუტურად ლოგიკური და კანონზომიერი უგოლო ფრე.

...“დინამოსა“ და „ვიტ ჯორჯიას“ ბოლოდროინდელ დაპირისპირებებს, როგორც წესი, სამსაჯო სკანდალები მუდამ თან ახლდა. საბედნიეროდ, მსგავსი რამ აღარ მომხდარა, თუმცა ერთი საკამათო ეპიზოდი მაინც შეიქმნა: მსაჯის მიერ დამატებული მესამე წუთი იწურებოდა, „დინამოს“ კაპიტანი **ლევან ხმალაძე** მარცხენა ფლანგიდან მეტოქის საჯარიმოში ბურთიანად რომ შეიჭრა. აი, იქ კი მის მიმართ ნესების დარღვევას ადგილი ჰქონდა თუ არა, ზუსტად ვერავინ გვეტყვის - ყოველ შემთხვევაში, არბიტრმა თამაშის გაგრძელების ნიშანი მისცა და რამდენიმე წამში ეს უემოციო „დერბიც“ დასრულდა...

**გია ტუხაშვილი**

## IV ტურის სიმბოლური ნაკრები




| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 4 | 4 | 0 | 0 | 10-2 | 12 |
| 2. სპარტაკი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-6 | 9 |
| 3. ზესტაფონი | 4 | 2 | 2 | 0 | 3-0 | 8 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 1 | 1 | 4-6 | 7 |
| 5. დინამო | 2 | 1 | 1 | 0 | 5-0 | 4 |
| 6. გაგრა | 3 | 1 | 0 | 2 | 4-2 | 3 |
| 7. ბაია | 4 | 1 | 0 | 3 | 3-5 | 3 |
| 8. სამტრედია | 4 | 1 | 0 | 3 | 2-9 | 3 |
| 9. სიონი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-6 | 1 |
| 10. ლოკომოტივი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-6 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| აკინო (ოლიმპი) | 4 |
| გაბედავა (გაგრა) | 4 |
| დ. ქირია (ბაია) | 3 |

### გადმოტოვებული მატჩი

**25 აგვისტო**

დინამო-გაგრა

### V ტური

**29 აგვისტო, შაბათი**

ზესტაფონი-დინამო

**30 აგვისტო, კვირა**

ბაია-გაგრა
ოლიმპი-სიონი
ვიტ ჯორჯია-სპარტაკი
ლოკომოტივი-სამტრედია

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერი

# ცქიტიშვილი ბრუნდება?

XIX ჩემპიონატის მეორე წრე იწყებოდა, თბილისის „ლოკომოტივში" ქართული ფეხბურთის სამი დამსახურებული ვეტერანი რომ ჩაირიცხა - **ლევან ცქიტიშვილი, რატი ალექსიძე** და **ვიტალი დარასელია**. სწორედ ამ სამეულის დიდი დამსახურება იყო, მანამდე არადამაჯერებლად მოასპარეზე „ლოკომოტივმა" უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება რომ შეძლო.

საიუბილეო, მეოცე ჩემპიონატის დაწყების წინ სამეულის გზები გაიყო და გუნდში, ფაქტობრივად, მხოლოდ ცქიტიშვილი დარჩა. „ლოკომოტივის" შემადგენლობა ძირითადად ახალგაზრდებით იყო დაკომპლექტებული, თუ არ ჩავთვლით ცქიტიშვილსა და **გიორგი ლომაიას**. თუმცა, ამის მიუხედავად, ყველასთვის მოულოდნელად პირველი წრე სატურნირო ცხრილის ლიდერი **გიორგი კიკნაძისა** და **ზაზა ზამთარაძის** „ლოკომოტივი" იყო. ამაში კი ლომის წილი გუნდის კაპიტნის ლევან ცქიტიშვილისა იყო. უფრო მეტიც - 32 წლის ნახევარმცველი იმდენად შთამბეჭდავად თამაშობდა, რომ მეოცე ჩემპიონატის პირველ ეტაპზე უდავოდ საუკეთესო იყო!

სამწუხაროდ, „ლოკომოტივს" გარკვეული პრობლემები შეექმნა და მეორე ეტაპის დაწყების წინ გუნდიდან ბევრი წამყვანი ფეხბურთელი წავიდა. მათ შორის იყო ლევან ცქიტიშვილიც, ვინც კარიერის გაგრძელება გერმანიის მეორე ბუნდესლიგის „ვეენში" გადაწყვიტა. თუმცა გარკვეული დროის მერე გერმანიაში დაბრუნებულმა ცქიტიშვილმა მალე ტრავმა მიიღო და ახალ გუნდსაც ვერ ეხმარებოდა. ამასობაში კი „ვეენი" მეორე ბუნდესლიგიდანაც გავარდა და ცხადი გახდა, რომ ცქიტიშვილი მესამე ბუნდესლიგაში გამჩერებელი არ იყო.

აქამდე, ის უგუნდოდ იყო, რამდენიმე უცხოური ვარიანტი ჰქონდა, მაგრამ კონკრეტული არაფერი ჩანდა... და აი, გუშინ სიახლე შევიტყვეთ: ბოლო წლების ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველმა ცხინვალის „სპარტაკის" შემადგენლობაში პირველი ვარჯიში ჩაატარა! რა თქმა უნდა, გადაწყვეტილი ჯერ არაფერია, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ცქიტიშვილისა და „სპარტაკის" თანამშრომლობა ორივე მხარისთვის სასარგებლო უნდა იყოს. ამბიციური გუნდი („სპარტაკი" ამ სეზონში ასეთად მიგვაჩნია) უაღრესად გამოცდილ და ლიდერის თვისებებით დაჯილდოებულ ფეხბურთელს დაიმატებს, ხოლო ლევან ცქიტიშვილი მისთვის ასე საჭირო სათამაშო პრაქტიკას შეიძენს. არადა, ბოლო-ბოლო, **ექტორ კუპერმაც** „მოუსმინ-დაუჯერა" ქართულ მასმედიას და მალტასთან მატჩის წინ ცქიტიშვილს საქართველოს ნაკრებში უხმო. ეგ კი არა, ცქიტიშვილი იტალიასთან 5 სექტემბრის შესარჩევი მატჩისთვისაც არის გამოძახებული.

**გია ტუხაშვილი**

U 17

პრესკონფერენცია

# იმედიანი განწყობით ელიტრაუნდისკენ

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა პალანგის საერთაშორისო ტურნირი დამაჯერებლად მოიგო. პირველ შეხვედრაში გიორგი დევდარიანის გუნდმა ლატვიასთან ფრედ, 0:0 ითამაშა, შემდეგ ბელარუსს 1:0 სძლია, ფინალში კი აზერბაიჯანი 3:0 გაანადგურა.

20 ოქტომბრიდან ჩვენი გუნდი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩაებმება. პირველ რაუნდს შოტლანდია უმასპინძლებს. მასპინძელთა გარდა, ჩვენი მეტოქეები პორტუგალია და კვიპროსი იქნებიან. ელიტრაუნდში ბრძოლას ორი საუკეთესო გუნდი გააგრძელებს.

ლიტვაში მიღწეულ წარმატებას მიეძღვნა გუშინდელი პრესკონფერენცია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში, სადაც პალანგის ტურნირისა და სამომავლო გეგმების შესახებ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გიორგი დევდარიანმა, ფედერაციის გენერალურმა მდივანმა რევაზ არველაძემ და ვიცე-პრეზიდენტმა გოგი ქავთარაძემ ისაუბრეს.



გიორგი დევდარიანი

## გოგი ქავთარაძე:

- მინდა დღევანდელი პრესკონფერენცია სამწუხარო ამბით დავიწყო და ღრმა მწუხარება გამოვთქვა ფიფას ლიცენზირებული აგენტის, შესანიშნავი პიროვნების, აკა ტონიას გარდაცვალების გამო. დარწმუნებული ვარ, ამან ძალიან ბევრ ადამიანს დასწყვიტა გული... სასიხარულო მოვლენა კი ლიტვის ქალაქ პალანგაში მოხდა, სადაც ჩვენმა 17-წლამდელთა ნაკრებმა მაღალი დონის ფეხბურთი ითამაშა და საკმაოდ მაღალი დონის საერთაშორისო ტურნირზე გაიმარჯვა. ამისთვის გიორგი დევდარიანსა და მთელ სამწვრთნელო შტაბს დიდი მადლობა ეკუთვნით. მათ ზღვა სამუშაო გასწიეს, რაც საბედნიეროდ, ყველას ერთად დაგვიფასდა. მოხარული ვარ, რომ გვეზრდება იმედის მომცემი თაობა და გვყავს ნიჭიერი მწვრთნელი, რომელიც მომავალში კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევს.

## რევაზ არველაძე:

- უზომოდ გახარებული ვარ, გიორგის დიდი ხანია, ახლოს ვიცნობ და მისი წარმატებით ძალიან ბედნიერი გახლავართ. მადლობა ღმერთს, შრომას, რომელიც გიორგის გუნდის წევრებმა და ფედერაციის ხელმძღვანელობამ გასწიეს, უკვალოდ არ ჩაუვლია. მართალია, პალანგის ტურნირი არც ევროპის ჩემპიონატია და არც მსოფლიოსი, მაგრამ მაინც არაა მარტივი უცხო ქვეყანაში პირველობის მოპოვება. თანაც, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ პირველივე მატჩის მეთორმეტე წუთზე კაცნაკლულნი დავრჩით.

## გიორგი დევდარიანი:

- საკმაოდ რთული შეხვედრები ჩავატარეთ და მოხარული ვარ, რომ ჩემმა ბიჭებმა პალანგაში ღირსეული და აზრიანი თამაში აჩვენეს. სამი მატჩიდან ორში გავიმარჯვეთ. მოგება პირველ თამაშშიც შეგვეძლო, სადაც რიცხობრივი უმცირესობის მიუხედავად, უდიდესი უპირატესობა გვქონდა. შედარებით გაგვიჭირდა ბელარუსთან, რადგან ლატვიასთან ათი კაცით ბრძოლამ ძალიან დაგვღალა და ძალების აღდგენისთვის საკმარისი დრო არ გვქონდა. ფეხბურთელებმა ეს რთული სიტუაციაც ღირსეულად გადალახეს და ბელარუსთა დამარცხებით ფინალში გავიდნენ. აზერბაიჯანს ყველაზე იოლად მოვუგეთ. ამ შეხვედრაში ძალიან დიდი უპირატესობა გვქონდა და გამარჯვება უფრო სოლიდური ანგარიშითაც შეგვეძლო. ფინალში პირველ თამაშში გაძევებული თავდამსხმელი ხოჭოლავა დაგვიბრუნდა, რამაც ჩვენი შემტევი პოტენციალი საგრძნობლად გაზარდა. მეტოქეს ეგონა, რომ კარგად ვყავდით შესწავლილი, მაგრამ მისმა გამოჩენამ აზერბაიჯანელებს გეგმები აურია. ისე კი, ნამდვილად არ მსურს რომელიმე მოთამაშის გამორჩევა. თითოეულმა ფეხბურთელმა საერთო წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა. ამ ტურნირზე გამარჯვება ჩვენი დიდი ხნის შრომის ნაყოფია. შარშანდელი ზაფხულიდან მოყოლებული, გუნდმა საერთო ჯამში ექვსი თვე გაატარა შეკრებაზე. დიდი მადლობა ფეხბურთის ფედერაციას გვერდში დგომისა და დაფინანსებისთვის. ამის გარეშე პატარა წარმატებაც კი წარმოუდგენელი იქნებოდა. ამჯერად ნდობა გავამართლე და ყველანაირად ვეცდები, მომავალშიც ნაყოფიერად ვიმუშაო. მასმედიის მიმართ ერთი თხოვნა მაქვს. კარგი იქნება, თუ თავს შეიკავებთ ჩვენი ფეხბურთელების გადამეტებული ქებისგან. 16 წლის ბავშვი არაა მზად იმისთვის, რომ ვარსკვლავი ვუწოდოთ, ეს მისთვის მძიმე ტვირთია. ღმერთმა ქნას, თითოეული მათგანი ნამდვილ ვარსკვლავად ჩამოყალიბდეს, დღეს კი მათ მხოლოდ შრომა ევალებათ და ტელევიზიისა თუ პრესის გადამეტებული ყურადღება არ სჭირდებათ. რაც შეეხება შესარჩევ ტურნირს, მისთვის განსაკუთრებულად უნდა მოვემზადოთ. 14 სექტემბერს "ბასაში" შეკრება გვეწყება, აუცილებლად მოვიძიებთ სპარინგპარტნიორებს. სასურველი იქნება, თუ ამხანაგურ მატჩებს ძლიერ გუნდებთან ჩავატარებთ, რათა პალანგაში გამარჯვების შემდეგ ბიჭები ცოტათი მიწაზე დაეშვან. შესარჩევ ჯგუფში ძალიან ძლიერი მეტოქეები გვყავს. პორტუგალიელები ტრადიციულად, ევროპაში ყველასგან გამოირჩევიან ტექნიკით, შოტლანდია კი დაახლოებით იმ ტიპის ფეხბურთს თამაშობს, პალანგაში ჩვენი მეტოქეები რომ თამაშობდნენ. დარჩენილ დროში მონინააღმდეგეებს უფრო დეტალურად შევისწავლით.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ავტორის ფოტო

საქართველო-იტალია

# ფეხბურთი ღამის თევით

## იტალიასთან პოლონელები გვიმსაჯებენ

5 სექტემბერს თბილისში დიდ სტუმარს ვმასპინძლობთ - საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში იტალიას შეხვდება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახური გვამცნობს, რომ „სკუადრა აძურასთან" დაპირისპირებას პოლონელი მსაჯები გაუძღვებიან. არბიტრი **მარცინ ბორსკია**, ასისტენტები - **რაფაელ როსტკოვსკი** და **მაცეი ვიერზბოვსკი**. მეოთხე მსაჯის ფუნქციას **პაველ გილი** შეასრულებს. მსაჯთა დამკვირვებელი რუმინელი **ნიკოლაე გრიგორესკუ** იქნება, კომისრის სტატუსით კი უეფადან ლუქსემბურგელი **ლუსიენ კაიზერი** გვეწვევა.

და კიდევ - უკვე გარკვეულია, რომ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე მატჩი საკმაოდ გვიან, 22 საათზე დაიწყება.

**დავით ცაბაძე**

საკლუბო რეიტინგი

# საქართველო ორი საფეხურით დაწინაურდა

## უკრაინა რუსეთს დაეწია

მიმდინარე ევროტურნირებს ოთხი ქართული კლუბიდან ერთიც აღარ შემორჩა - მოქმედმა ჩემპიონმა „ვიტ ჯორჯიამ" პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ გადალახა, ხოლო თბილისის „დინამომ", „ზესტაფონმა" და რუსთავის „ოლიმპმა" მეორე რაუნდში იასპარეზეს, ოღონდ, იქიდან გაღწევა ველარ შეძლეს. ვნახოთ, როგორია ქართული კვარტეტის რეალური მონაგარი და ვინ რომელ ადგილზეა.

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის ბოლო რეიტინგი ამ დღეებში გამოქვეყნდა. ოთხი ქართული გუნდი წყვილებადაა დალაგებული - „დინამოსა" და „ვიტ ჯორჯიას" კოეფიციენტია 2,149. ისინი 247-ე და 248-ე ადგილებზე არიან. ქართულ კლუბებს ლიტვური „სუდოვა" და „კაუნასი", აგრეთვე ირლანდიური „სლიგო როვერსი" უსწრებენ. უნგრული „ჰონვედი", ისლანდიური „ჰაფნარფიორდური" და „რეიკიავიკი", ლატვიური „დინაბურგსი", „მეტალურგსი" და „სკონტო" კი ქართულ კლუბებს კუდში მისდევენ.

რუსთავის" ოლიმპი" და „ზესტაფონი", შესაბამისად, 263-ე და 264-ე ადგილებზე არიან და კოეფიციენტიც ერთნაირი აქვთ - 1,649. მათ წინ ალბანური „ტირანა" და მოლდოვური სამეულია - „ზიმბრუ", „დაჩია" და „ისკრა-სტალი", უკან კი უნგრული „ჰალადაში" და „უიპეშტი", სომხური „პიუნიკი" და ისლანდიური „ფრამი".

ახლა ვნახოთ, რა შესძინა ქართულ საკლუბო ფეხბურთს ქართული კვარტეტის წლევანდელმა კამპანიამ. ამ მხრივ, მცირედი პროგრესი გვაქვს - თუ აქამდე 38-ე ადგილზე ვიყავით, ამჯერად, 53 ქვეყანას შორის, 36-ე საფეხური გვიკავია. ჩვენი კოეფიციენტია 5,748. გვისწრებენ ბოსნია, ლიტვა, ლატვია, სლოვენია, მოლდოვა... ჩამოგვრჩებიან უნგრეთი, ისლანდია, აზერბაიჯანი, მაკედონია, ყაზახეთი, ესტონეთი, სომხეთი, ალბანეთი, ჩერნოგორია... პროგრესი ვახსენეთ და, უკრაინამ საგრძნობლად წინ წაიწია და რუსეთის შემდეგ მე-7 ადგილზე მოკალათდა.

**დავით ცაბაძე**

პრესკონფერენცია




# ჯერჯერობით, სეზონის ბოლომდე, შესაძლოა მერეც...

## დინამოს კიდევ ერთი ახალი სპონსორი

„VTB ბანკი" თბილისის „დინამოს" ახალი სპონსორი გახდა. ეს ამბავი გუშინ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ერთობლივი პრესკონფერენციით აღინიშნა. „დინამოს" პრესატაშე **გიგა გვენცაძემ**, კლუბის მმართველ დირექტორ **ბუბა ტყავაძესთან** ერთად, VTB-ის გენერალური დირექტორი **ნიკოლოზ შურლაია** და ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი **ნინო ჯიქია** წარმოგვიდგინა. შესავალი სიტყვა ტყავაძემ თქვა:

*„სპონსორების მოსაზიდად მუშაობა გრძელდება და ამის დასტურია დღევანდელი პრესკონფერენცია. „VTB ბანკი" სოლიდური, მზარდი და სახელოვანი ბანკია. ჩვენ შორის კონტრაქტი უკვე გაფორმებულია და პარტნიორობაც დაწყებულია. „დინამოც", რომელსაც მდიდარი ისტორია და სახელი აქვს, ყოველ სეზონში მაღალი მიზნებისთვის იბრძვის. ვიმედოვებ, ჩვენი თანამშრომლობა ორმხრივად სასარგებლო და ნაყოფიერი იქნება. მადლობას ვუხდი ჩვენს პარტნიორებს და მჯერა, ამ თანამშრომლობით „დინამო" ყოველთვის იმ ადგილს დაიკავებს, რომელიც ეკადრება და რომელსაც იმსახურებს"*, - აღნიშნა ბუბა ტყავაძემ.

შემდეგ VTB-ის გენერალური დირექტორის ჯერი დადგა: *„მოხარულები ვართ, რომ VTB „დინამოს" სპონსორი გახდა. ჩვენი ბანკი სპორტის და, განსაკუთრებით, ფეხბურთის სპონსორობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. გამოგვიჩნდა შესაძლებლობა და „დინამოსთან" თანამშრომლობა გადავწყვიტეთ. ჩემსა და ჩემზე უფროს თაობებს კარგად ახსოვთ „დინამოს" დიდი გამარჯვებები და იმედი გვაქვს, რომ ყველაზე ტიტულოვანი ქართული კლუბის მომავალ წარმატებებში ჩვენც მცირედ წვლილს შევიტანთ. ეს სეზონი ჩვენი პარტნიორობისთვის პირველია და იმედი გვაქვს, ამ ჩემპიონატში „დინამო" წარმატებებს მიაღწევს. კონტრაქტი 2009-10 წლების სეზონის ბოლომდე გავაფორმეთ. თანხა, რომელსაც ეს სპონსორობა ითვალისწინებს, ქართული საზომებით სავსებით ნორმალურია. ფინანსური პირობა ჯერჯერობით გამორჩეული არ არის, მაგრამ ხელშეკრულებით ორივე მხარე კმაყოფილია. არ არის გამორიცხული, სეზონის დასრულების შემდეგ ხელშეკრულება გავაგრძელოთ და, მეტიც, სასპონსორო თანხაც გავზარდოთ"*, - განაცხადა შურლაიამ.

პრესკონფერენციის ბოლოს ტყავაძემ VTB-ის გენერალურ დირექტორს „დინამოს" მაისურა გადასცა.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ


ლევან ყენია და ფელიქს მაგათი

კლაუს ტოპმიოლერი

# ყენია მსოფლიო კლასის ვარსკვლავია

**მას შემდეგ, რაც ლევან ყენიამ „შალკეში“ კარგი თამაშით გამოიჩინა თავი, 18 წლის ქართველი ტალანტი გერმანული მედიის ყურადღების ცენტრში მოხვდა. საიტი „სფოქსი“ ესაუბრა, როგორც თავად აღნიშნავს, ყენიას აღმომჩენს, საქართველოს ნაკრების ყოფილ მთავარ მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერს. ინტერვიუ ლევანის თემას არ გასცილებია.**

**- ელით, რომ მალე ლევან ყენია „შალკეს“ პირველი ვარსკვლავი გახდება, საიდან ასეთი დამაჯერებლობა?**

- უნდა ნახოთ მისი თამაში - როცა ლევანს თამაში კარგად მისდის, ეს პოემასავითაა. ლევანს ისეთი შესაძლებლობები აქვს, როგორიც არავის, ყოველ შემთხვევაში „შალკეში“ მასეთი დონის ტალანტი არ არის.

**- მაგრამ ყენიამ თავიდან ვერ შეძლო „შალკეში“ დამკვიდრება...**

- ფრედ რუტენისა მიკვირს, ყენიას სახით მან თამაშის კარგი წარმმართველი მიიღო. სულ მესმოდა, რომ ის ჯერ გამოუცდელია, ბევრი აქვს სასწავლი... ვფიქრობ, ახლა მას შესაფერისი მწვრთნელი ჰყავს ფელიქს მაგათის სახით.

**- რატომ?**

- ლევანი მოხვდა ზუსტად იქ, სადაც უნდა იყოს და ზუსტად იმ დროს, როცა საჭიროა. ანალოგიური შემთხვევაა, რაც მაგათის „ვოლფსბურგში“ ყოფნისას ზვეზდან მისიმოვიჩის შემთხვევაში. ლევანისგანაც უნდა ველოდოთ ანალოგიურ წარმატებას. ყენიას კიდევ ერთი პლუსი აქვს, ის ზუსტად იმ ყაიდის ფეხბურთელია, როგორიც თავად მაგათი იყო - ტექნიკური და ინტელიგენტი. მაგათს ეს კარგად ესმის და ქართველი უკვე გახდა სეზონის პირველი სიურპრიზი.

**- ნუთუ მას ნაკლი არ აქვს?**

- თავიდან ართმევაში თამაშში მოიკოჭლებდა, მაგრამ ლევანი ძალიან მალე სწავლობს და ლამის ყოველი ვარჯიშის შემდეგ უმატებს. და კიდევ, მას ურჩევნია სხვას გაატანინოს, ვიდრე თავად შეაგდოს, არადა ეგოიზმის ცოტა მეტი ეგოიზმი არ აწყენდა და უკვე სრულყოფილი ვარსკვლავი იქნება.

**- ჯერ კიდევ მაშინ თქვით, რომ ყენიას დიდი კარიერა ელის, როცა ის 16 წლის იყო. როდის ნახეთ ლევანი პირველად?**

- როდესაც საქართველოს ნაკრებს სათავეში ჩავუდექი, ჩვენ სკაუტური სისტემა შევქმენით. საქართველო 6 რეგიონად დავყავით და ნიჭიერი ბავშვების ძიება დავიწყეთ. ყენიაც მაშინ ვნახე პირველად.

**- მერე?**

- 1 500-მდე ბავშვი ჩამოვიყვანეთ თბილისში, ბოლოს კი 30 ნიჭიერი შევარჩიეთ, ლევან ყენია მათ შორის იყო. პირველივე შთაბეჭდილება დიდებული იყო.

**- როგორ განვითარდა მოვლენები ამის შემდეგ?**

- მაშინვე მოვითხოვე, რომ მას 17 და 19-წლამდელთა ნაკრებები მიეტოვებინა და ახალგაზრდულში გადაეყვანათ, თუმცა 21-წლამდელთა გუნდისთვისაც კი ის უკვე „გადაზრდილად“ ჩანდა. ასე რომ, ბევრი აღარც მიფიქრია - ეროვნულ ნაკრებში მივიწვიე. უკრაინასთან და იტალიასთან ის შეცვლაზე შევიდა, ხოლო თავის დაბადების დღემდე (17 წლის ხდებოდა) ერთი დღით ადრე შოტლანდიასთან ძირითად შემადგენლობაში დავაყენე. უნდა გენახათ, როგორ იბნეოდნენ მის წინაშე შოტლანდიის ნაკრების გამოცდილი ფეხბურთელები, რომლებიც ინგლისურ პრემიერლიგაში ბრწყინავენ. საქართველოს ნაკრებმა 2:0 მოიგო, ხოლო ყენია ლამის მესია გახდა იმ საღამოს. ქუჩაში ათასობით ადამიანი გამოვიდა მოგების აღსანიშნავად. ყენია ისეთი ვარსკვლავების გვერდით დააყენეს, როგორიც ლევან კობიაშვილი და კახა კალაძეა.

**- არ არის იმის საშიშროება, რომ წარმატებამ ლევანს თავბრუ დაახვიოს?**

- არავითარ შემთხვევაში. ყენია გამორჩეული ახალგაზრდაა, მაგათმა ღამის 12 საათზე რომ მოსთხოვოს სტადიონის ირგვლივ სირბილი, ლევანი აუცილებლად შეუსრულებს, რადგან ის გამორჩეულია გერმანელი ტალანტებისგან. ლევანი მონდომებულია, რომ მის ირგვლივ ყველამ კარგად იცხოვროს. მაგრამ ამას უარყოფითი მხარეც აქვს...

**- კონკრეტულად...**

- მეტისმეტი მონდომება, როცა მთლად მზად არ ხარ და მაინც საბრძოლველად იწევ, აქედან ხშირია მიკროტრავმა. შესაძლოა, სწორედ ამიტომ ვერ შეძლო ლევანმა „შალკეს“ ძირითად გუნდში თავიდანვე დამკვიდრება.

**- ყენიას საფეხბურთო მომავალი გერმანიას უკავშირდება?**

- მე ვურჩევდი, 2-3 სეზონი დარჩეს „შალკეში“, შემდეგ კი ის უკეთეს გუნდში თამაშისთვის მზად იქნება. ყოველთვის ესპანურ პრიმერაზე ოცნებობდა და რომ იცოდეთ, ძალიან ბევრი ესპანური კლუბი ყურადღებით აკვირდება მას.

**- თუნდაც „ბარსელონა“?**

- სხვათა შორის, ის ამ კლუბში სინჯებზეც იმყოფებოდა. კობიაშვილის წყალობით საბოლოოდ „შალკეში“ თამაში გადაწყვიტა.

**- რას უნდა ელოდოს „შალკე“ უახლოეს წლებში ლევან ყენიასგან?**

- თუკი ის ფიზიკურად მოუმატებს, მსოფლიოს კლასის ვარსკვლავი გახდება. მე ამაზე ფსონს ჩამოვდივარ...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლეგიონერი

# ცხადაძის პირველი მარცხი

ჩვენს სამეზობლოში, აზერბაიჯანში, სადაც ყველაზე მეტი ქართველი ლეგიონერი თამაშობს (18), ეროვნული ჩემპიონატი არეულად დაიწყო. აზერბაიჯანელები არ არიან მიჩვეულები, რომ მათი კლუბები აგვისტომდე თამაშობენ ევროთასებზე, ამის გამო კალენდარი აერ-დაერიათ - პრემიერლიგის 12 გუნდიდან ორივე ტური სრულად მხოლოდ ნახევარმა გამართა, ხოლო „ბაქის“ და „ყარაბახს“ ჯერ ჩემპიონატში არ გაუგორებიათ ბურთი. მეტიც, აზერბაიჯანის პროფესიულმა ლიგამ მე-3 ტური მთლიანად გადადო, ამჯერად ნაკრების ინტერესების გათვალისწინებით.

პირველ ტურში გამარჯვების შემდეგ სტუმრად „ხაზართან“ 0:1 დამარცხდა **კახა ცხადაძის** „ინტერი“. ქართველმა თავკაცმა კარში თანამემამულის ნაცვლად **რაიმუნდო ვილსონი** ჩააყენა, არადა **გიორგი ლომაიამ** პირველ ტურში ძალზე დამაჯერებლად ითამაშა. **კახა მჟავანაძემ** კი 90 წუთი ითამაშა დამარცხებულთა რიგებში. ტურის ცენტრალურ თამაშს ლენქორანში 10 ათასი მაყურებელი დაესწრო. „ხაზარმა“ **დენის კალინკოვის** მიერ 85-ე წუთზე გატანილი გოლის წყალობით მოიგო.

ზაქათალის „სიმურგმა“ მეტისმეტად უიღბლოდ დაიწყო სეზონი, მე-2 ტურში ქართველთა გუნდმა შინ, 2 ათასი გულშემატკივრის მხარდაჭერის მიუხედავად ვერ მოუგო „მუღანს“ - 0:0. „სიმურგის“ სასტარტოში სამმა ქართველმა ლეგიონერმა ითამაშა - **თემურ ლონლაძემ** დაცვის მარჯვენა ფლანგზე, **რომან ახალკაცმა** ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე და **დავით ბოლქვაძემ** გამთამაშებლად. ახალკაცი 61-ე წუთზე შეცვალეს, ბოლქვაძე - 83-ეზე. **კახა ჩხეტიანი** სათადარიგო იყო. ჩვენს ინტერესს კიდევ ერთი მატჩი იწვევდა, ევლახში „ქარვანი“ 2:3 დამარცხდა „ოლიმპიკთან“. მატჩს 2,4 ათასი მაყურებელი დაესწრო. როგორც ხედავთ, აზერბაიჯანის ჩემპიონატს ჩვენს პირველობაზე მეტი მაყურებელი ჰყავს. მასპინძელთა რიგებში 90 წუთი ითამაშა **ალექსანდრე ინწკირველმა, მიხეილ მესხი** კი სათადარიგო იყო. სტუმრებში **რომან გოგინაშვილმა** შეუცვლელად ითამაშა, **ნუგზარ კვირტიამ** - მხოლოდ პირველი ტაიმი, **რამაზ ჯაბნიძე** სათადარიგო იყო. ჩემპიონატს 6 ქულით ბაქოს „ნეფთჩი“ ლიდერობს.

სომხეთის ჩემპიონატის მე-19 ტურში „არარატი“ „ბანანცს“ ეწვია და დაუზავდა - 0:0. სტუმართა რიგებში შეუცვლელად ითამაშა **ბიძინა ცინცაძემ**, ხოლო **გიორგი ალავიძე** 89-ე წუთზე გამოცვალეს. „განძასარი“ შინ „პიუნიკთან“ დამარცხდა - 0:2. მის რიგებში შეუცვლელად ითამაშა **დავით ხანიშვილმა**. ჩვენს ინტერესს იწვევდა „მიკას“ და „ულისეს“ დაპირისპირება, მასპინძლებმა 2:0 მოიგეს. მათ კარს **სოსო გრიშიკაშვილი** იცავდა. სტუმრებში სამმა ჩვენებურმა ითამაშა: **თენგიზ უგრეხელიძემ** შეუცვლელად, **ლევან აკობია** 73-ე წუთზე შეცვალეს, **გაგა თიბილაშვილი** კი - 81-ეზე. „მიკა“, რომლის კონსულტანტი **ივო შუშაკია**, 41 ქულით მე-2 ადგილზეა. „ულისე“ 36 ქულით მესამეა, „განძასარს“ 26 ქულა აქვს (მე-5), ხოლო „არარატს“ - 7 (მე-8).

ბელარუსის ჩემპიონატში ერთ დროს ჩემპიონობის კანდიდატი „მტზ-რიპო“ უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძვის. მინსკელებმა მორიგი ტურის მატჩიც დათმეს შინ სოლიგორსკის „შახტიორთან“ - 1:2. „მტზ-რიპოს“ ქართველმა ლიდერმა **გივი კვარაცხელიამ** 35-ე წუთზე გაიტანა გოლი. მეორე ტაიმში ქართველმა მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მოედანი ნაადრევად დატოვა. „მტზ-რიპო“ 15 ქულით ბოლოსწინა ადგილზე რჩება. 16 მატჩში 9 გოლით კვარაცხელია გუნდის ბომბარდირია, ჩემპიონატში კი ბომბარდირთა დავაში მესამეა. ჟოდინოს „ტორპედომ“ 0:1 წააგო „ნაფტანთან“, **ნუკრი მანჩხავამ** მასპინძელთა დაცვის მარცხენა ფლანგზე შეუცვლელად ითამაშა. „ტორპედო“ 25 ქულით მე-6 ადგილზეა.

ლატვიურ ვირსლიგაში **გაგა გუგუნაშვილის** „იურმალამ“ „ოლიმპსს“ 1:0 აჯობა. მასპინძელთა 7 ნომერმა შეუცვლელად ითამაშა და მატჩის მიწურულს ყვითელი ბარათი მიიღო. „იურმალა“ 31 ქულით მე-5 ადგილზეა.


კახა მჟავანაძე

მოლდოვაში, ტურის ცენტრალურ მატჩში „შერიფმა“ ვერ აჯობა „დაჩიას“ - 0:0. მასპინძელთა კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა** შეუცვლელად ითამაშა. "შერიფი“ 10 ქულით მხოლოდ მეოთხეა, თუმცა კონკურენტებზე ორი-სამი მატჩით ნაკლები აქვს გამართული.

ირანული პრემიერლიგის მე-3 ტურში ჯაბა მუჯირის „ფულადი“ თეირანში „ესტეღლალს“ ეწვია და 40 ათასი გულშემატკივრის თვალწინ 0:1 დამარცხდა. სტუმართა ახალწვეულმა **ჯაბა მუჯირმა** 90 წუთი ითამაშა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლეგიონერი

# ტერსერა სეგუნდას პერსპექტივით

## გუგავა არენასში გადავიდა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველმა **გიორგი გუგავამ** კლუბი შეიცვალა. 20 წლის ფეხბურთელი გრანადის „ატლეტიკოდან“ „არენასში“ გადავიდა.

*„გრანადის გუნდი ტერსერა დივიზიონში გამოდიოდა, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო კლუბი გაყიდეს. ამ დროს რამდენიმე მიწვევა მქონდა, ყველაზე სერიოზული დაინტერესება „არენასიდან“ იყო და 3-წლიანი კონტრაქტი გავაფორმე. ეს არის ანდალუსიაში, მალაგასთან მდებარე ქალაქის გუნდი. მეპატრონეს შევუთანხმდი, რომ საინტერესო წინადადების შემთხვევაში უპრობლემოდ გამიშვებს. საქმე ის არის, რომ სეგუნდა დივიზიონიდან მაკვირდება ორი კლუბი. „არენასი“ რანგით მეოთხე დივიზიონშია. პრიმერას შემდეგ სეგუნდა დივიზიონია, მერე მოდის სეგუნდა B და შემდეგ ჩვენი - მესამე, ანუ ტერსერა დივიზიონი. სამწუხაროდ, გრანადას „ატლეტიკოში“ სათამაშო პრაქტიკა არ მქონდა, მხოლოდ ვვარჯიშობდი და საკონტროლო შეხვედრებს ვატარებდი. პრობლემა რამდენჯერმე შემექმნა - ჯერ გათავისუფლების ფურცელი დამიგვიანა თბილისის „დინამომ“, შემდეგ კი საქართველოს მოქალაქეობამ დამაბრკოლა. საბერძნეთის მოქალაქე გავხდი, რადგან დედა ბერძენი მყავს. ახლა ორმაგი მოქალაქეობა მაქვს - საქართველოს და საბერძნეთის. ასე რომ, ახალგაზრდულ ნაკრებში პრობლემა არ შემექმნება. ევროკავშირის წევრი ქვეყნის პასპორტმა პრობლემა მოხსნა და „არენასთან“ კონტრაქტი გავაფორმე. დასაოსტატებლად ჩემი ახალი კლუბი მშვენიერი საშუალებაა. ფეხბურთელების უმრავლესობა ჩემი ასაკისაა და ყველა პრიმერა დივიზიონში მოხვედრაზე ოცნებობს. ბუნებრივია, ჩემი ოცნებაც ეს არის. „არენასი“ ამბიციურია და წელს მაღალ ლიგაში გადასვლისთვის იბრძოლებს. საერთოდ, ესპანეთში ზამთრიდან ვარ და ვგრძნობ, რომ აქაური ვარჯიშები ძალიან მეხმარება - ფიზიკურად, ტაქტიკურად, ფსიქოლოგიურად ახლა უფრო კარგად ვარ“,* - გვითხრა გუგავამ.

შეგახსენებთ, რომ 12 აგვისტოს გიორგიმ შიაულიაიში პირველად მოირგო საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მაისური და ლიტველებს გოლიც გაუტანა. შედეგად, **ოთარ გაბელიამ** ის ესტონეთთან (5 სექტემბერი) და თურქეთთან (9 სექტემბერი) შესარჩევი მატჩებისთვისაც გამოიძახა.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# ოთარ გაბელია
# გაბედავას ჯიბრი კი არ მჭირს?

ახალგაზრდულ ნაკრებთა მოახლოებული შეხვედრების წინ გუნდის მთავარ მწვრთნელ ოთარ გაბელიას გავესაუბრეთ. ლიტვასთან ვერმოგებული შეხვედრა, ესტონეთთან და თურქეთთან მომავალი დაპირისპირებები, ნაკრებში არსებული ატმოსფერო და ვახტანგ ფანცხავასთან დაკავშირებული პრობლემები... მოკლედ, გაბელიასთან სალაპარაკო ცოტა არ იყო.

**- ბატონო ოთარ, ჯერ ლიტვასთან მატჩი გავიხსენოთ. რა პლუს-მინუსები დაინახეთ? კმაყოფილი ხართ თუ...**

- კმაყოფილი მხოლოდ მაშინ ვიქნები, როცა მოვიგებთ. კარგია გასვლაზე ფრე, მაგრამ ლიტვის ნაკრები უნდა დაგვემარცხებინა - ჩვენი სირცხვილია, ბოლო წუთებზე ასეთ შეხვედრას რომ ვერ მოიგებ. ჩვენი ნაკრები ლიტვას აშკარად სჯობდა. მეორე მხრივ, სწორედ ასეთი თამაში მაფიქრებს, რომ გარკვეული რეზერვი გაგვაჩნია. სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა, როცა ლიტველების მიერ გავრცელებული ინფორმაცია წავიკითხე, თითქოს, ექსპერიმენტული შემადგენლობა ათამაშეს. რის ექსპერიმენტული, რა ექსპერიმენტული?! ყველა ძირითადი მოთამაშე შეკრიბეს. მათ კი არა, ჩვენ გვაკლდა ბევრი წამყვანი მოთამაშე, მაგრამ თამაშით მაინც ვაჯობეთ. რომ არა ბავშვური შეცდომები, მოვიგებდით.

**- მაგალითად, ვინ დაგაკლდათ?**

- ამირან სანაიას, ჯანო ანანიძისა და მათე ვაწაძის ნახვა მსურდა, მაგრამ ვერ მოვახერხე.

**- ანანიძის ვერაფერი გავიგეთ. სურს კი საქართველოს ნაკრებში თამაში?**

- რა გითხრათ... გვეუბნებიან, მოდისო და, ალბათ, ჩამოვა. ყოველ შემთხვევაში, იმედი მაინც გვაქვს. ამბობს, ეროვნული გუნდისთვის მზად არ ვარო. ძალიან კარგი, მაშინ ახალგაზრდულში ვათამაშებთ. „სპარტაკის“ ძირითადში თუ აყენებენ, მაშინ საქართველოს 21-წლამდელებში თამაშიც არ უნდა გაუჭირდეს და მზად უნდა იყოს. ანანიძე უკვე სიაშიც შევიყვანე.

- კურიოზული იყო, რომ ლიტველებთან მატჩში სათადარიგოთა სკამზე ორი მეკარე - ნიკა კვასხვაძე და რევაზ თევდორაძე გყავდათ...

- ვახტანგ ფანცხავა არ ჩამოვიდა და სირცხვილი იქნებოდა, 18-კაციანი განაცხადი სრულად რომ არ შეგვევსო. თევდორაძეს არც გამოვიყვანდი, რაიმე განსაკუთრებული რომ არ მომხდარიყო.

**- ვახტანგ ფანცხავაზეც ვთქვათ: გასაგებია, რომ ლიტვაში არ ჩამოვიდა, მაგრამ ნიჭიერი ბიჭია...**

- ნიჭიერი რომ არის, ამიტომაც მოვიწვიე, მაგრამ თავად უნდა ამიხსნას, რატომ არ გამოცხადდა და რა შეემთხვა. მე ხაზი კი არ გადამისვამს მისთვის, მაგრამ ნაკრებზე წინ საკლუბო ინტერესის დაყენება არ შეიძლება. ამის შემდეგ ის არც დამკავშირებია და ესეც მიკვირს. მე ყოველთვის ფეხბურთელის მხარეს ვიჭერ, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ - ჯერ ნაკრებია და მერე კლუბი.

**- ნაკრების ახალწვეულმა, ესპანეთში მოთამაშე გიორგი გუგავამ როგორი შთაბეჭდილება დატოვა?**

- დებიუტის კვალობაზე ძალზე ნორმალურად გამოიყურებოდა, აქტიური იყო, მომენტებიც შექმნა და გოლიც გაიტანა.

**- თქვენი აზრით, რა არის ნაკრების მთავარი პრობლემა?**

- სათამაშო დისციპლინის დაცვა და ბოლო წუთებამდე მობილიზაცია გვიჭირს.

**- „გაგრას“ თავდამსხმელმა გიორგი გაბედავამ ჩემპიონატი მშვენივრად დაიწყო, მაგრამ ნაკრებში არ იწვევთ...**

- გაბედავა ძალიან მომწონს, ნიჭიერია და თამაშიც იცის, მაგრამ სტაბილურობა აკლია. მხოლოდ ერთი მატჩით, თუნდაც ჩემპიონის წინააღმდეგ, თან ძალიან ძლიერი თამაშით ფეხბურთელს ვერ შევაფასებ. გახდეს სტაბილური და გაძლევთ გარანტიას, ჩემზე დიდი გულშემატკივარი არ ეყოლება. მხოლოდ ერთი შეხვედრა ჩაატარო კარგად და ხუთ თამაშში დაისვენო, ასე არ გამოვა, თორემ ჯიბრში კი არ ვუდგები?



ოთარ გაბელია

**- ესტონეთ-თურქეთისთვის შემადგენლობაში ცვლილებები იქნება?**

- ჩვენ კი ვართ ჩამოყალიბებული, ვინ გვინდა და ვინ - არა, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცით, ვინ დასჭირდება ექტორ კუპერს. ჩვენ შესარჩევ ციკლს ახლა ვიწყებთ და შესაძლოა, ხალხი დაგვახმარონ. ეროვნული ნაკრები ყველა ქართველისთვის და მათ შორის ჩემთვისაც უმთავრესია. ესტონეთთან უმნიშვნელოვანესი მატჩია და თუ წავაგეთ, მერე თურქეთთან და შვეიცარიასთან ძალიან გაგვიჭირდება. არავინ იფიქროს, რომ ესტონეთი ხელწამოსაკრავი გუნდია - პირველ ტურში, გასვლაზე, ჯგუფის ფავორიტ შვეიცარიას მოუგო. ასეა, ფეხბურთის თამაში ყველამ ისწავლა.

**- შეკრებებს როდის იწყებთ?**

- 30 აგვისტოს ტურია, ამიტომ 31-ში საღამოს შევიკრიბებით და თბილისში დავბინავდებით თუ მცხეთაში, ეს მალე გაირკვევა.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

# ვახტანგ ფანცხავა
# ...ეგ ტყუილია, გაბელია შეცდომაში შეიყვანეს

**ლიტვასთან ამხანაგური მატჩისთვის საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი ვახტანგ ფანცხავა არ გამოცხადდა. ნაკრების ხელმძღვანელობისგან ვიცით, რომ ხარკოვის „მეტალისტის“ ფორვარდმა საქმეები მოიმიზეზა. თავად ფანცხავა ამას კატეგორიულად უარყოფს...**

**- ვახტანგ, მიზეზთა გამო დაგვიანებით გვიწევს გარკვევა - შეკრებაზე რატომ არ გამოცხადდით?**

- ამ თემაზე მეც მსურდა ლაპარაკი და მიხარია, პასუხის საშუალება რომ მომეცით: კატეგორიულად ვაცხადებ, ნაკრებში გამოძახების შემდეგ არავინ დამკავშირებია და არავისთვის მითქვამს, რომ საქმეების გამო შეკრებაზე ვერ ჩამოვიდოდი. ვიცი, რომ ასე უთხრეს გაბელიას, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ბატონი ოთარი შეცდომაში შეიყვანეს.

**- მაშ რა მოხდა?**

- არ ვიცი, მსგავსი ლაპარაკი არავისთან არ მქონია და ვერ ვხვდები, რაში დასჭირდათ ჩემი მოკვეთა? რად მინდა ფეხბურთი და კარიერა, თუ საქართველოს ნაკრებში არ ვითამაშებ? ფული და საკლუბო კარიერა ამად ნაღდად არ მიღირს.

**- ჩამოუსვლელობის მიზეზს მაინც არ ამბობთ...**

- საქმეები ჰქონდაო, რომ თქვეს, საქმეები კი არა, მუხლი მტკიოდა, ვერ ვვარჯიშობდი და ხარკოვის „მეტალისტის“ ხელმძღვანელობამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ეს აცნობა. ვისაც არ სჯერა, როგორ დავაჯერო, რომ ცდება? ვფიქრობდი, ვინმეს რაიმე ხომ არ ვაწყენინე-მეთქი. თავად ბატონ ოთართან საკმაოდ ნორმალური დამოკიდებულება მქონდა და გამოვრიცხავ, რომ მან რაიმე მოიგონა. ასე რომ, გაურკვევლობასთან გვაქვს საქმე და აუცილებლად დავადგენ, ვინ გამივრცელა ხმები. არ ვიცი, ამის შემდეგ დაიჯერებთ თუ არა, მაგრამ ჩემთვის უმთავრესი სტიმული ნაკრებში თამაში იყო და ამაზე საკუთარი ნებით უარს არ ვიტყოდი! ნაკრებში სათამაშოდ ყოველთვის მზად ვარ.

**- იმ სიტყვებს ვინ მოიგონებდა? პირიქით, მწვრთნელები საჯაროდ მსგავს განცხადებებს ერიდებიან...**

- ფაქტია, რომ მას შემდეგ არავინ დამკავშირებია.

**- თავად თუ დაუკავშირდით გაბელიას, სიტუაცია რომ აგეხსნათ?**

- ვცადე, მაგრამ არ მპასუხობდა. ყოველ შემთხვევაში, კიდევ ვცდი, ჩემს სიმართლეში რომ დავარწმუნო.

**- კარგი, მოდით საკლუბო საკითხებზე ვილაპარაკოთ. ხარკოვის „მეტალისტთან“ კონტრაქტი რა ვადით გააფორმეთ?**

- ეს არ არის კონტრაქტი, „ლე მანმა“ ერთწლიანი არენდით გამიშვა, მაგრამ ხარკოველებს ტრანსფერის გამოსყიდვის უფლება მოიპოვეს. კლუბებმა უკვე სატრანსფერო თანხაც შეათანხმეს. „მეტალისტი“ ჩემით დაინტერესებულია და მჯერა, გუნდში დამკვიდრება არ გამიჭირდება. რაც მთავარია, მწვრთნელ მირონ მარკევიჩს ძალიან მოვწონვარ. რა თქმა უნდა, საფრანგეთში თამაში ჯობია, მაგრამ შანსი არ მომცეს. უკრაინაში კი მწვრთნელი მენდობა, თასზეც მათამაშა... რომ არა ტრავმა, უფრო მეტჯერ მათამაშებდა. ხარკოველებს „ლე მანზე“ ნაკლები გუნდი არ ჰყავთ, ძირითადის ფეხბურთელად მომიაზრებენ და აქ პროგრესიც რეალურია. ჩემს ასაკში წინსვლაზე თუ არ ვიფიქრე, დავრჩები ერთ დონეზე და შემდეგ არავის დავჭირდები.

**- თუმცა, მეორე მხრივ, საფრანგეთის ჩემპიონატი უკრაინისაზე გაცილებით მაღალი დონისაა...**

- რა თქმა უნდა, მაგრამ კარგია იქ, სადაც კარგად ხარ. მე კი „მეტალისტში“ თავს მშვენივრად ვგრძნობ. ხარკოვული კლუბიც ევროპული დონისაა, დასაწუნი არაფერი სჭირს...

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი — პირველი ლიგა

**გურია-ტორპედო 0:2**

0:1 თ. ფარულავა (49), 0:2 ლ. კირკიტაძე (78)

გურია: ეზიეშვილი, იმნაიშვილი, ქურიძე, გოგიბერიძე, რ. კუკულაძე (85. დ. ხიტირი), კილაძე, შენირული (80. ლ. ციკოლია), იმნაძე (65. ჯაყელი), ტ. კუკულაძე, ს. ურუშაძე, კვერენჩხილაძე.

*სათადარიგოები:* გოგუაძე, ნილოსანი, ხ. მგელაძე, ცინცაძე

*მთავარი მწვრთნელი:* ავთანდილ ნარიაშვილი

ტორპედო: მიგინეიშვილი, ზვ. ჩხეტიანი, ღონღაძე, თ. ფარულავა, ჭანკვეტაძე, რ. კვერნაძე, (65. კუხიანიძე), თურმანიძე (78. გ. გურული), ბ. ჩხეტიანი, ლ. კირკიტაძე, გ. ჩხეტიანი, შ. ჯიქია (65. ზვ. ქუთათელაძე).

*სათადარიგოები:* კუჭუხიძე, ბიბილაშვილი, ჩიხლაძე, ხარებავა

*მთავარი მწვრთნელი:* გია გიგატაძე

გაფრთხილება: გოგიბერიძე, ჭანკვეტაძე, თურმანიძე, ბ. ჩხეტიანი

არბიტრი: მ. ბეუქლიშვლი

**ბათუმი-35-ე ს.ქ. 2:0**

1:0 ბოხუა (2), 2:0 ჭაფოძე (3-საკ. კარში)

ბათუმი: მამინაშვილი, რამიშვილი, ფარტენაძე, ხუხია, დემურაძე, ზვ. ლობჟანიძე, სამსეიშვილი, გრიგალაშვილი (72. ზოიძე), ბერიძე (46. გოგიტიძე), ბაციკაძე (46. ჯორბენაძე), ბოხუა.

*სათადარიგოები:* კაკალაძე, თედორაძე, ლ. კალანდაძე, მამეიშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* ამირან გოგიტიძე

35-ე ს.ქ: მანია, უგულავა, ჭაფოძე, თარაშვილი, ბელთაძე, გოგოხია (83. ღვინიაშვილი), პ. ბახტაძე, თექთურმანიძე (62. დ. ყაველაშვილი), ავსაჯანიშვილი (56. ლომსაძე), გავაშელიშვილი, ი. არველაძე.

*სათადარიგოები:* ეძგვერაძე, ფურცელაძე, ყორყოლაძე

*მთავარი მწვრთნელი:* კახი გოგიჩაიშვილი

არბიტრი: პ. დოგრაშვილი

**ჭიათურა-ჩიხურა 1:3**

1:0 დ. ტაბატაძე (27), 1:1 მგალობლიშვილი (36), 1:2 მიქაძე (58), 1:3 ბ. პეტრიაშვილი (78)

ჭიათურა: ბადურაშვილი, მეცხოვრიშვილი, ჭუმბურიძე, დ. შეყილაძე, ცუცქირიძე, თემირ მიშველიძე, ასანიძე (79. თემურ მიშველიძე), გიორგაძე, დ. პეტრიაშვილი (46. ლაშხი), სევასტოპულო, დ. ტაბატაძე.

*სათადარიგოები:* ვაშაძე, სარალიძე, ნ. ტყემალაძე, ღვალაძე, დარბაიძე

*მთავარი მწვრთნელი:* დავით იობაშვილი

ჩიხურა: დოლაძე, ზივზივაძე, რ. ბარაბაძე, მგალობლიშვილი, ი. ტყებუჩავა, ზ. ნოზაძე, ქამუშაძე, სტეფანიშვილი (62. ჩიკვაიძე), დეკანოიძე (69. ბ პეტრიაშვილი), მიქაძე, კობახიძე (85. ა. ივანიშვილი).

*სათადარიგოები:* მწყერაშვილი, ჭილაძე, მაჭარაშვილი, ენუქიძე

*მთავარი მწვრთნელი:* სოსო ფრუიძე

გაფრთხილება: დ. შეყილაძე, სევასტოპულო, ლაშხი, ტყებუჩავა

არბიტრი: კ. ჭაჭუა

**მერანი-კოლხეთი (ხ) 3:2**

0:1 გაგუა (8), 1:1 ი. ხვადაგიანი (11), 2:1 ი. ხვადაგიანი (61), 2:2 გაგუა (63), 3:2 კუჭუხიძე (88)

მერანი: შეროზია, ჩხიკვაძე, იობაშვილი, ლომიძე, ბერიშვილი, წოწორია, ბუკია, ბერუაშვილი (80. ძველაია), ი. ხვადაგიანი, გიორგობიანი (69. ტორაძე), გოგიბერიძე (58. კუჭუხიძე).

*სათადარიგოები:* მელიავა, ფაცაცია, დავითაშვილი, თურმანიძე

*მთავარი მწვრთნელი:* მალხაზ ჟვანია

კოლხეთი: ჭურღულია, ჩაჩიბაია, კვირკველია, ო. ფიფია, გ. გოგენია, ალანია, კ. გომენია, ლეფსაია, სართანია (74. გ. ლომაია), ღლონტი, გაგუა.

*სათადარიგოები:* ზ. გელაშვილი, ჯამბურია, ჩიტაია, ლ. გოგენია, ცობეხია, მ. შონია

*მთავარი მწვრთნელი:* ლევან ნოდია

გაფრთხილება: ბერუაშვილი, ბუკია

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

**მესხეთი-IBSU 0:0**

მესხეთი: ძამუნაშვილი, ცნობილაძე, სუდაძე, თელიაშვილი, ინასარიძე (85. ქურდაძე), გვირჯიშვილი, ბარძიმაძე, ლეკიშვილი, გრიგალაშვილი, ყულიჯანიშვილი, პარუნაშვილი.

*სათადარიგოები:* რეხვიაშვილი, მუმლაძე, მურმანიშვილი, ჯაფარიძე, დ. მერაბიშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* პაატა გოგოლაძე

IBSU: ჯოლოგუა, პირველი, ა. კუჭუხიძე, თავბერიძე, ცხოიძე, მაჩალაძე, ქუცურუა, ნორაკიძე, ბართია (61. ა. ნოზაძე), ჯიშკარიანი, ნიკოლაძე (82. ბენდიანაშვილი).

*სათადარიგოები:* ბილიხოძე, კაკაბაძე, ტეტუნაშვილი, გვიჩია

*მთავარი მწვრთნელი:* გოჩა ჟორჟოლიანი

გაფრთხილება: ლეკიშვილი, ქუცურუა

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

**მეშახტე-კოლხეთი (ფ) 0:3**

0:1 დ. სიჭინავა (2), 0:2 აბურჯანია (72), 0:3 ციცხვაია (85)

მეშახტე: მემარნიშვილი, ჯიშიაშვილი, ბოჭორიშვილი, გ. ტორაძე, ძაგანია, ქომეთიანი, გიზო სიჭინავა, მიქაბერიძე, ჭკადუა (88. რაზმაძე), იაგო დეისაძე (62. ნ. ბაბუნიძე), იაკობ დეისაძე.

*სათადარიგოები:* ხონელიძე, რ. კალანდაძე, ლ. კობახიძე

*მთავარი მწვრთნელი:* დავით გვენეტაძე

კოლხეთი: გ. შენგელია, ნარსია, ფარცვანია, ლუსტა, გელაჭეიშვილი, ჯოჯუა, მალიჩავა (46. თედიაშვილი), ლ. გვალია (69. გ. აბურჯანია), დ. სიჭინავა, ციცხვაია, წიქარიშვილი (62. ჯ. ავალიშვილი).

*სათადარიგოები:* ჩემია, თურქია, გოგონაია, გულუა

*მთავარი მწვრთნელი:* ზაზა ინაშვილი

გაფრთხილება: სიჭინავა, ძაგანია, მიქაბერიძე, გვალია, შენგელია, გელაჭეიშვილი

არბიტრი: თ. ხუჭუა

**პერეთი-მერცხალი 2:2**

1:0 წვერავა (50), 2:0 წვერავა (65), 2:1 გობრონიძე (73), 2:2 ჭეიშვილი (85)

პერეთი: ჯალიაშვილი, ფარულავა, ხარაიშვილი, დონდოლაძე, თანდაშვილი (76. აზარიაშვილი), ყორღანაშვილი (46. მესხი), ყაველაშვილი, ოქრუაშვილი, მაჭარაშვილი, წვერავა, ი. ტაბატაძე (46. კურტანიძე).

*სათადარიგოები:* უშარაული, კუპატაძე, ნათენაძე, პაპუაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* ზურაბ ფოფხაძე

მერცხალი: ლ. ძაგანია, ჩხატარაშვილი, ქობულაძე (68. გობრონიძე), ვ. რამიშვილი, ი. ნაჭყებია, ქათამაძე, ჩიგოგიძე, სურგულაძე, ჭკუასელი (46. ჩიგოგიძე), სიამაშვილი, ჭეიშვილი.

*სათადარიგოები:* ლომჯარია, გოგუა

*მთავარი მწვრთნელი:* ხარიტონ ჩხატარაშვილი

გაფრთხილება: მაჭარაშვილი, წვერავა, ყაველაშვილი, ქათამაძე, რამიშვილი

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

საქართველოს თასი

# დღეს იწყება



**დღე და ხვალ საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშების 1/16 ფინალის მატჩები გაიმართება.**

**25 აგვისტო**

35-ე სკოლა-მესხეთი (ახალციხე)
დინამო (ბათუმი)-ჩიხურა (საჩხ.)
იმერეთი (ხონი)-კოლხეთი (ფოთი)
კოლხეთი (ხობი)-მერანი (მარტვილი)

**26 აგვისტო**

ნ/დინამოელი (თბ.)-სიონი (ბოლნისი)
IBSU (თბ.)-სპარტაკი (ცხინვალი)
პერეთი (ლაგოდეხი)-ლოკომოტ. (თბ.)
ადელი (ბათ.)-ტორპედო 2008 (ქუთ.)
გურია (ლანჩხუთი)-ბაია (ზუგდიდი)
მერცხალი (ოზურგეთი)-ჭიათურა
მეშახტე (ტყიბული)-სამტრედია

**თამაშები დაიწყება 16 საათსა და 30 წუთზე**

*შენიშვნა: „დუშეთი“-„გაგრა“ ჩატარდება 16 სექტემბერს; „ვიტ ჯორჯია“, „დინამო“, „ოლიმპი“ და „ზესტაფონი“ გათამაშებაში მერვედფინალიდან ჩაერთვებიან.*

ბაიერნი






გომესი: რა ვქნათ, ბოს? ვან გაალი: არ ვიცი, არ ვიცი...

# ამბავი მიუნხენური გემის ჩაძირვისა

## შეფების არასწორი სატრანსფერო პოლიტიკა, ვან გაალის ქაოსი და უმოტივაციო ფეხბურთელები

ფრე „ჰოფენჰაიმთან“, ფრე „ვერდერთან“ და მარცხი „მაინცთან“ - თუკი პირველი ორი მატჩის შედეგი „ბაიერნის“ ქომაგებისთვის მეტ-ნაკლებად მისაღები იყო („ჰოფენჰაიმიცა“ და „ვერდერიც“ სუსტი გუნდები ნამდვილად არ არიან), მესამე ტურში განცდილმა მარცხმა მიუნხენში მონასტერი არია და რეკორდმაისტერის ფანები, მწვრთნელი და ხელმძღვანელები საგონებელში ჩააგდო...

### საშიში ტენდენცია

„მაინცთან“ წაგება სავსებით სამართლიანად იქცა იმის მიზეზად, რომ მიუნხენში განგაშის ზარებისთვის შემოეკრათ. შეხვედრის პირველ ტაიმში, ბუნდესლიგაში ახალაღზევებულმა „მაინცმა“, რომელსაც ძალიან გამოუცდელი მწვრთნელი და დიდი ვერაფერი ფეხბურთელები ჰყავს, „ბაიერნი“ კედელთან მიაყენა და მაგრად ურახუნა. შედეგად, „ბაიერნს“ ბოლო 43 წლის განმავლობაში ბუნდესლიგაში ყველაზე უარესი სტარტი გამოუვიდა და როგორც „ბილდი“ წერს, მიუნხენურმა გემმა სეზონის სტარტზევე ჩაძირვა დაიწყო. თუ ბოსებმა სასწრაფოდ რამე არ მოიფიქრეს და მოიმოქმედეს, რეკორდმაისტერი ძალიან მალე შეიძლება ფსკერზე ალმოჩნდეს. ლეგენდარულმა **გიუნტერ ნეტცერმა** ბავარიელთა დაძირვას „ბილდ ამ ზონთაგში“ ასეთი ანალიზი გაუკეთა:

*„ის, რაც „ბაიერნისგან“ პირველ 45 წუთში ვნახეთ, იყო სრული კატასტროფა და ამ გუნდისთვის ძალიან საშიში ტენდენცია. სადისკუსიო არაფერია, გუნდი, რომელსაც აქვს პრეტენზია, იყოს ნომერი პირველი გერმანიაში, „მაინცის“ დონის კლუბთან ასე ამაზრზენად არ უნდა თამაშობდეს. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ფეხბურთელები ძალიან გადაიტვირთნენ მწვრთნელის ტაქტიკური მოთხოვნებით. დიდი ხანია, გუნდის სათავეში ასეთი ტაქტიკოსი არ ყოფილა, რაც „ბაიერნს“ პირველსავე ტურებში დაეტყო. ფეხბურთელები ვან გაალს თითქოს ვერ უგებენ“...*

რატომ დაიწყო „ბაიერნმა“ სეზონის სტარტზე ჩაძირვა?

### მცდარი სატრანსფერო პოლიტიკა

ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგესა** და გენერალურ მენეჯერ **ული ჰიონესს** საფინალო სასტვენის შემდეგ დანა პირს არ უხსნიდათ და თუკი ულიმ „ბრუხვეგშტადიონი“ უკომენტაროდ დატოვა, კარლ-ჰაინცმა თქვა, ძალიან სახიფათო სიტუაციაში ვართო. მაგრამ ფაქტია, რომ ამ ყველაფერში ეს ორი პიროვნებაცაა დამნაშავე.

პირველ რიგში იმის გამო, რომ მათ **ზე რობერტო** (ჰამბურგშია) და **ლუსიო** (ინტერში) გაყიდეს. პირველის არყოფნით ნახევარდაცვას დინამიკა დააკლდა, მეორის წასვლამ კი დაცვა შეასუსტა, მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ყველაზე მთავარი ის არის, რომ „ბაიერნმა“ ტრანსფერებში 50.5 მილიონი ევრო დახარჯა! სამი ტური უკვე გასულია და შედეგი არ ჩანს. მიუნხენურ კლუბს არაფერი ეტყობა იმისა, რომ 50.5 მილიონი ევრო დაიხარჯა. **პრანიჩისთვის** („ჰერენვენიდან“ 7.5 მილიონად იყიდეს) და **ბრააფჰაიდისთვის** („ტვენტედან“ 2 მილიონად) ბუნდესლიგის ყოველდღიურობა ჯერჯერობით უცხო ხილია. იგივე ითქმის უკრაინელ **ანატოლი ტიმოშჩუკზეც**, რომელსაც **მარკ ვან ბომელის** (ჰოლანდიელი ტრავმირებულია) შეცვლა დაევალა. მეტიც, ტიმოშჩუკი, რომელშიც ბავარიელებმა 11 მილიონი გადაიხადეს, ჯერჯერობით არანაირად არ არის „ბაიერნის“ ძირითად შემადგენლობაში თამაშის ღირსი. რუსეთის ჩემპიონატში კარგად თამაში არ ნიშნავს იმას, რომ ფეხბურთელი ბუნდესლიგის დატვირთვებსაც იოლად გაუძლებს. რაც არ უნდა იყოს, რუსეთში გაცილებით ზანტი ფეხბურთი მიდის, ვიდრე გერმანიაში. მაგრამ **ვან გაალი** ვერაფერს იზამს, ანატოლი ვან ბომელის ერთადერთი ნორმალური ალტერნატივაა.

„ბაიერნი“ დღემდე ვერაფრით გაამართლა **მარიო გომესმაც**, რომელშიც მიუნხენელებმა 30 მილიონი ევრო გადაიხადეს. ეს თავდამსხმელი ჯერჯერობით ისეთს ვერაფერს აკეთებს, რაც **ლუკა ტონის** ან **მიროსლავ კლოზეს** არ შეუძლიათ.

...რა უნდა ქნან რუმენიგემ და ჰიონესმა? სატრანსფერო ფანჯარა 31 აგვისტოს იხურება. ამრიგად, ულის და კალეს 7 დღე აქვთ იმისათვის, რომ ვითარება გამოასწორონ. რაც უნდა მტკივნეული იყოს მათთვის, ფაქტია, რომ „ბაიერნს“ კიდევ სჭირდება გაძლიერება. გუნდს მეკარე არ უვარგა, მარჯვენა მცველიც (მაგალითად **დარიო სრნა** ან **ჟოზე ბოსინგვა**) ესაჭიროება და კარგი იქნებოდა ტიპური გამთამაშებლის ყიდვაც (მაგალითად, **რაფაელ ვან დერ ვაარტისა**, რომელსაც „რეალი“ კაპიკებში იძლევა).

### ვან გაალის ქაოსი

ვან გაალი კვირას „მაინცთან“ მატჩის ვიდეოჩანაწერს ჩაუჯდა. იმ დროს, როცა გუნდს მისი ასისტენტები ავარჯიშებდნენ, ჰოლანდიელი თავის კაბინეტში იყო ჩაწერილი და შაბათს განცდილ მარცხს აანალიზებდა. ამ დღეებში ის ფეხბურთელებთან სერიოზულ საუბარს გეგმავს, რადგან მაინცში აშკარად გამოჩნდა, რომ „ბაიერნში“ ტაქტიკური ქაოსია. თუკი **იურგენ კლინსმანის** დროს ფეხბურთელები მუდმივად ერთი ტაქტიკით თამაშობდნენ, ვან გაალი დიდი სტრატეგია და მთელი სეზონის, ან ერთი თვის განმავლობაში კი არა, უშუალოდ მატჩის დროსაც კი 2-ჯერ ან 3-ჯერ ცვლის ტაქტიკურ სქემას. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ ფეხბურთელებს ასეთი მწვრთნელისთვის ალღოს აღება უჭირთ.

პირველ ორ თამაშში ვან გაალმა გუნდი 4-4-2-ით ათამაშა, სადაც ნახევარდაცვა რომბისებულად (ერთი საყრდენი, ერთი ფლეიმეიკერი, ორი ფლანგის ნახევარმცველი) იყო განლაგებული. „მაინცში“ კი სქემა შეცვალა და ორი საყრდენით (**შვაინშტაიგერი**, ტიმოშჩუკი) ითამაშა. თანაც, კლოზე უკან, გამთამაშებლის პოზიციაზე (!) დახია და ასეთი სქემა გამოუვიდა: 4-4-1-1. ჯერ კიდევ შესვენებამდე ვან გაალმა ტაქტიკა ისევ შეცვალა, 4-2-3-1-ზე გადავიდა და ფაქტობრივად ოთხი თავდამსხმელით თამაშობდა, მაგრამ აქედანაც არაფერი გამოვიდა. ახლა კი საგონებელშია და აღარ იცის, რა ქნას. კარგია, რომ ვან გაალი თვითკრიტიკულია. *„საკუთარ თავს ვეკითხები, რა არ გავაკეთეთ სწორად მოსამზადებელ პერიოდში. უფრო მაგრად უნდა ვიმუშაო.“* ალბათ უპრიანი იქნებოდა იმ ფეხბურთელების ძირითადი შემადგენლობიდან ამოგდება, რომლებმაც „ტიტების გენერალს“ იმედები ყველაზე მეტად გაუცრუეს.

### უმოტივაციო ფეხბურთელები

ხელმძღვანელები და მწვრთნელი ჰო, მაგრამ „ბაიერნის“ წარუმატებლობაში ბრალი პირველ რიგში თვითონ ფეხბურთელებს მიუძღვით. პირველი 45 წუთის განმავლობაში მოედანზე ისე დასეირნობდნენ, თითქოს ეს არაფრის მომცემი მატჩი იყო. უსუსტესმა მარიო გომესმა საფინალო სასტვენის შემდეგ აღიარა: *„ყველანი დარწმუნებულები ვიყავით, რომ „მაინცზე“ დიდი გუნდი ვართ და რომ უპრობლემოდ უნდა მოგვეგო. ალბათ ამის ბრალია, რომ არ ვიბრძოლეთ. არადა, დღეს ფეხბურთში ბრძოლის გარეშე ვერაფერს მოიპოვებ. იმედი მაქვს, დღეის შემდეგ იქით ყველას ეცოდინება, რომ აბსოლუტურად ყველა მატჩში სირბილი და ბრძოლაა საჭირო. „მაინცთან“ მარცხი კარგი გაკვეთილი უნდა იყოს.“*

უსუსტესი იყო კლოზეც, რომელიც ნელ-ნელა აუხსნელი ფენომენი ხდება. დიდი ხანია, კლოზე „ის კლოზე“ აღარ არის. დაცვაში კატასტროფულად ითამაშა **დანიელ ვან ბუიტენმა** და საინტერესოა, რა იმედით ყიდდნენ ბავარიელები ლუსიოს და რჩებოდნენ ვან ბუიტენის იმედზე. დაიმტვრა **მარტინ დემიკელისიც** და ახლა, უნდა თუ არა, ვან გაალს დაცვის ბურჯად სწორედ ვან ბუიტენი ჰყავს, რომელიც არაფრად ვარგა. კიდევ ერთხელ გამოჩნდა ისიც, რომ არც **მიხაელ რენზინგია** „ბაიერნისთვის“ შესაფერისი მეკარე. მაგრამ თუკი გომესისა და კლოზეს შემთხვევაში ვიცით, რომ მათ ფეხბურთის თამაში გაცილებით უკეთ შეუძლიათ, ვან ბუიტენსა და რენზინგზე ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით. ბევრჯერ დამტკიცებულა და კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ მათ ამაზე მეტი, უბრალოდ, არ შეუძლიათ - ვერც ვან ბუიტენი გახდება ახალი **თომას ჰელმერი** და ვერც (მით უმეტეს) რენზინგი ახალი **ოლივერ კანი**...

**გოტფრიდ ლენცი**

კრიმინალი

# კოშმარი ბრედფორდის ქუჩაზე

როგორც გაირკვა, კაცი, რომელსაც პრემიერლიგის ფეხბურთელის, **კალუმ დევენპორტის** მოკვლა სურდა, მისი დის საყვარელია. „ლელოს“ მკითხველისთვის ცნობილია, რომ „ვესტ ჰემის“ 26 წლის მცველს შაბათ დილით, ბრედფორდში, დედამისის სახლში მიუვარდნენ და ორივე ფეხში მძიმედ დაჭრეს. ფეხბურთელი სახლის წინ სისხლის გუბეში ცურავდა და სწორედ აქედან წაიყვანეს საავადმყოფოში. დაჭრილია დევენპორტის დედაც.

გუშინ მოგახსენეთ, რომ ამ საქმის ძიებამ პოლიცია ორ ეჭვმიტანილთან მიიყვანა, რომელთაგან ერთ-ერთი 19 წლისაა, თუმცა დღეს ინგლისურმა მას მედიამ დააზუსტა, რომ მთავარი ეჭვმიტანილი ის 19 წლის ახალგაზრდა კი არა, 25 წლის კაცია, რომელიც, როგორც ახლობლებმა ტაბლოიდებს გაუმხილეს, დევენპორტის დის, **კარას** საყვარელია. მეტიც, კარა ამ კაცისგან ბავშვს ელოდება - მეხუთე თვეშია. 28 წლის ქალი და ეჭვმიტანილი ერთი წელიწადია ჰყვარობენ ერთმანეთს.

კალუმ დევენპორტი და დედამისი დილის ხუთ საათზე დაჭრეს. ამ საშინელ ამბავს წინ და-ძმის, კალუმისა და კარას ჩხუბი უძღოდა. განვმარტოთ: კარას ერთი შვილი უკვე ჰყავს და, რაკილა ქალი ეჭვმიტანილს მხოლოდ წელიწადია, ხვდება, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ამ ბავშვის მამა სულ სხვა კაცი უნდა იყოს. მოკლედ, ძმა დის ცხოვრების წესით შეშფოთებული ყოფილა და იმ საღამოსაც საყვედურები დაუყრია, ვისთან დადიხარ, რა ჯურის ხალხში ითქვიფებიო. კარას მავანმა ნაცნობმა გაზეთ „სანს“ უამბო:

*„კარას საყვარელმა იცოდა, რომ კალუმი სტუმრად იყო დედამისთან და სახლთან ტრიალებდა. შემდეგ შეუვარდა. ატყდა ჩხუბი, რომელმაც სახლიდან ქუჩაში გადაინაცვლა და კალუმიც სწორედ იქ დაჭრეს. საერთოდ კი, კარას ცხოვრების წესის გამო დევენპორტების ოჯახში დაძაბულობა ჩვეულებრივი ამბავი იყო“.*

დევენპორტის ერთმა მეგობარმა საავადმყოფოდან საშინელი ამბავი გამოიტანა, შესაძლოა კალუმს ორივე ფეხი მოაჭრანო:

*„ექიმები ამბობენ, რომ გადაჭრით რაიმეს თქმა ჯერ ძალიან ადრეა, თუმცა არ არის გამორიცხული, კალუმმა ფეხბურთის თამაში ვეღარც შეძლოს. თუმცა იმის იმედიც არის, რომ ასე არ მოხდება, და ეს იმედი დევენპორტის ჯან-ღონესა და ახალგაზრდობას ეფუძნება“.*

ბრედფორდის საავადმყოფოს პრესმდივანმა განაცხადა, რომ კალუმ დავენპორტის მდგომარეობა მძიმე, მაგრამ სტაბილურია. ჩხუბს შეესწრო ბრედფორდის მაცხოვრებელი, 17 წლის **ალექს უოლესი**, რომელმაც ჟურნალისტებს უამბო:

*„ხმაური გავიგონე. ქალი ჰკიოდა გიჟურად, რაც ძალი და ღონე ჰქონდა და ისმოდა კაცის ყვირილიც. ეს კაცი თავს ადგა მეორეს, რომელიც მის წინ გაუნძრევლად იწვა. გარშემო სისხლის გუბე იდგა, მაგრამ ის, ვინც ფეხზე იდგა, წაქცეულს თავში მაინც ურტყამდა წიხლებს. მეგონა წაქცეული ცოცხალი აღარ იყო. ის საერთოდ ვეღარ ინძრეოდა“.*

კალუმ დევენპორტის 50 წლის დედა, **კიმ სტაპლი** მუცლის ჭრილობებს იშუშებს. სახლი, რომელშიც დედა ცხოვრობს კალუმმა მას ერთი წლის წინ 160 ათას ფუნტად უყიდა, თავად კი მეუღლე **ზოისთან** და ოთხი წლის გოგონასთან **ეინჯელ-სქაისთან** ერთად შორიახლოს ცხოვრობს. დევენპორტი ცენტრალური მცველია, რომელიც „ვესტ ჰემმა“ „ტოტენჰემისგან“ 3 მილიონ ფუნტად 2007 წელს იყიდა.

**ილია ბაბუნაშვილი**




კალუმ დევენპორტი



დევენპორტის და



დედის სახლი

შალკე




წავა რაფინია მილანში?

# რაფინია და მილანი: ჯერ კონტაქტი, მერე კონტრაქტი?

## რაკიტიჩს გელზენკირხენიდან წასვლა არ სურს

სპეკულაციებს ბოლო არ უჩანს - გერმანელი მიმომხილველები სულ უფრო და უფრო ხშირად წინასწარმეტყველებენ, რომ „შალკეს" ბრაზილიელი მარჯვენა მცველი **რაფინია** გელზენკირხენულ კლუბს ახლავე დატოვებს და რომელიმე ევროპულ გრანდში გადაბარგდება. მთელი კვირის განმავლობაში ვრცელდებოდა ცნობები იმის შესახებ, რომ 23 წლის ბრაზილიელის გადაბირება „იუვენტუსსა" და „მილანს" სურთ.

თვითონ ფეხბურთელი კომენტარს არ აკეთებს და ამბობს, სათქმელი არაფერი მაქვსო. „კიკერის" ინფორმაციით, მისმა მრჩეველმა უკვე ლაამყარა კონტაქტი „მილანის" ხელმძღვანელებთან, რომლებსაც ძალიან სურთ რაფინიას გადაბირება, რადგან „როსონერის" მაღალი კლასის მარჯვენა მცველი სჭირდება. „მილანის" თავკაც **ლეონარდოს** ყველაზე მეტად სწორედ თანამემამულე რაფინია მოსწონს. წესით, მის გასხვისებაზე არც „შალკეს" მწვრთნელმა და მენეჯერმა **ფელიქს მაგათმა** უნდა თქვას უარი, რადგან მას ფული სჭირდება გუნდის გასაძლიერებლად.

გასულ კვირაში ხშირი იყო ცნობები იმის შესახებაც, რომ დიდი შანსია, „შალკე" 21 წლის გამთამაშებელმა **ივან რაკიტიჩმა** დატოვოს - მას „ინტერი" და „იუვენტუსი" უხმობენო. *„შალკეში თავს შესანიშნავად ვგრძნობ, არსად წასვლას არ ვაპირებ. მინდა, აქ ძალიან დიდხანს დავრჩე,"* - უთხრა რაკიტიჩმა „კიკერს".

...

ამასობაში, „ბილდი" არ გამორიცხავს, რომ გელზენკირხენული კლუბის სამეთვალყურეო საბჭომ მაგათს ტრანსფერებისთვის რამდენიმე მილიონი მისცეს. მეტიც, ხსენებული გამოცემა წერს, რომ **ჯერალდ ასამოასთან, ალბერტ შტრაიტთან და კარლოს გროსმიულერთან** ერთად, გაყიდვის კანდიდატია **ლევან კობიაშვილიც**, რაზეც გუშინდელ ნომერშიც ვწერდით. ამჯერად, „ბილდის" ინფორმაციას შემოგთავაზებთ: *„ამ ოთხ ფეხბურთელს ერთად, 9 მილიონ ევროს უხდიან და მათი მოშორება გუნდს ფინანსურად ამოსუნთქვის საშუალებას მისცემდა."*

*„შაბათს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ტიონისთან ხანგრძლივი შეხვედრა მქონდა. ცხადია, ჩვენ შესაძლო ტრანსფერებზეც ვისაუბრეთ. გამორიცხული არაფერია,"* - ეს მაგათის კომენტარი გახლავთ.

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

### როზენბერგი ბერლინში?

ბერლინის „ჰერტას" თავდასხმაში ძალიან გაუჭირდა. როგორც იცით, **ანდრეი ვორონინი** ლივერპულში დაბრუნდა, რის შემდეგაც „ჰერტამ" ახალგაზრდა ფორვარდი **ამინ ხერმიტი** გაანათხოვრა და **არტურ ვიხნიარეკი** გადაიბირა. მაგრამ ამ უკანასკნელმა ტრავმა მიიღო და ახლა კიდევ ერთი თავდამსხმელი **რაფაელიც** დაშავდა, რომელიც გუნდს მინიმუმ სამი კვირის განმავლობაში ვერ დაეხმარება. შესაბამისად, ბერლინელებს სასწრაფოდ მინიმუმ ერთი კარგი თავდამსხმელი სჭირდებათ.

„ვერდერში" **მარკუს როზენბერგი** სათადარიგოთა სკამს ხეხავს და **კლაუდიო პისაროს, მარსელო მორენოს, აარონ ჰანტისა** და **უგო ალმეიდას** შემდეგ, მხოლოდ და მხოლოდ მეხუთე ფორვარდია. გაირკვა, რომ შვედს ბერლინში ეპატიჟებიან. იმის გამო, რომ „ლივერპულიდან" ვორონინის კონტრაქტის გამოსყიდვა ვერ ხერხდება, არენდაზე კი ინგლისური კლუბი ამბობს უარს, ბერლინელებს უკრაინელზე ხელი თითქმის ჩაქნეული აქვთ. „ჰერტას" მენეჯერი **მიხაელ პრეეტცი** კი ამბობს, ახალი ფორვარდი ძალიან გვჭირდებაო.

როზენბერგის გარდა, „ჰერტაში" გადაბარგების კანდიდატები არიან **იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკი, ადრიან რამოსი** და **კრის ბოიდი**. მარკუს როზენბერგს შვედეთის ნაკრებში 73 მატჩში 29 გოლი აქვს გატანილი.

### 2 გოლი 6 მილიონისთვის

3:0 მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან", პირველი გამარჯვება ახალ სეზონში - ბრემენის „ვერდერი" დაბრუნდა! „მუსიკოსების" ბრწყინვალე გამარჯვებაში „ჩელსიდან" დაბრუნებულმა **კლაუდიო პისარომ** ლომის წილი შეიტანა - პერუელმა თავდამსხმელმა „გლადბახს" დუბლი შეუსრულა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ „ვერდერისთვის" ზედგამოჭრილი ფორვარდია.

ბრემენელებმა პისაროსთვის რამდენიმე კვირა იბრძოლეს. წინა სეზონი მან „ვერდერში" არენდის წესით გაატარა (და 17 გოლი გაიტანა), ახლა კი სრულფასოვანი ბრემენელია, რადგან „მუსიკოსებმა" „ჩელსის" 6 მილიონი ევრო გადაუხადეს - კონტრაქტი 2012 წლამდე.

*„ვფიქრობ, ყველა მიხვდა, რატომაც გადავიხადეთ კლაუდიოს სანაცვლოდ ამდენი ფული. ეს ფეხბურთელი ფაქტობრივად გარანტიაა იმისა, რომ ყველა თამაშში მინიმუმ ერთ გოლს გავიტანთ,* - აცხადებს „ვერდერის" სპორტული დირექტორი **კლაუს ალოფსი**, - *„პისა" ნამდვილად ღირდა 6 მილიონი!"*

**გოტფრიდ ლენცი**

ესპანეთის სუპერთასი — საპასუხო მატჩი

# მესის შოუ და მეოთხე ტიტული

„ბარსელონამ" „კამპ ნოუზე" 3:0 გაანადგურა ბილბაოს „ატლეტიკი" და ორი მატჩის ჯამში 5:1 შედეგით 2009 წლის მეოთხე ჯილდოს, ესპანეთის სუპერთასს დაეუფლა. მაყურებელს გოლების ნახვა მხოლოდ მეორე ტაიმში ეღირსა, თუმცა მოცდა ამად ღირდა - **ლეო მესიმ** დუბლი შეასრულა, ხოლო მესამე გოლი შეცვლაზე შესულმა **ბოიან კრკიჩმა** გაიტანა. ბასკებმა შემტევი ფეხბურთი აირჩიეს, რაც „კამპ ნოუზე" ძალიან სარისკო გადაწყვეტილებაა, „ბლაუგრანას" ხელ-ფეხი ეხსნება, ხოლო „ბარსაზე" კარგად ნახევარდაცვაში ბურთის კონტროლი სხვა კლუბს არ შეუძლია.

პირველი სახიფათო მომენტი 22-ე წუთზე შეიქმნა- **პაბლო ორბაისმა** კარგად შეასრულა საჯარიმო დარტყმა და **ვიქტორ ვალდესს** თამაშში პირველი სეივის გაკეთებამ მოუწია. „ბარსას" პასუხი არანაკლებ მწვავე იყო, **ხავის** ჩაწოდების შემდეგ **ტიერი ანრიმ** ოდნავ ააცილა თავური. ტაიმის ბოლომდე მესიმ, ხავიმ და **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** ხელიდან ხელსაყრელი მომენტები გაუშვეს. შვედმა დარტყმა ეფექტურად, მაკრატელათი შეასრულა.

მეორე ტაიმის მე-4 წუთზე მესიმ დიდებული გოლი გაიტანა, მან **უსტარიცი** მშრალზე დატოვა, საჯარიმოში შეიჭრა და მახვილი კუთხიდან ულამაზესი გოლი გაუტანა **გორკა ირაისოსს**. ამის შემდეგ მოედანზე ერთი გუნდი თამაშობდა - „ბარსა", ბასკები ცდილობდნენ „ბლაუგრანასთვის" ხელის შეშლას. არც ეს გამოვიდა, 67-ე წუთზე უსტარიცი და **დანი ალვეში** ერთმანეთს სტუმართა საჯარიმოში შეეჯახნენ, „ბარსელონას" მარჯვენა ფლანგელი წაიქცა და რეფერიმ პენალტის ნიშნულზე მიუთითა. მსაჯის გადაწყვეტილება საკამათო იყო, თუმცა „ატლეტიკის" ფეხბურთელების პროტესტს შედეგი არ მოჰყოლია, მესიმ პენალტით დუბლი შეასრულა - 2:0. უსტარიცს საშინელი საღამო ჰქონდა, 26 წლის მცველმა, რომლის სრული სახელია უსტარიც ალდეკოაოტალორა ასტარლოა, 71-ე წუთზე უკან პასისას უხეში შეცდომა დაუშვა და ბოიან კრკიჩმა ბასკის პასი ჩაჭრა და მეკარეს დუელი მოუგო - 3:0. ამის შემდეგ „ატლეტიკის" ფეხბურთელები აშკარა უხეშობაზე გადავიდნენ და მასპინძლებმაც, ტრავმების შიშით, ანგარიშის მეტად გაზრდაზე უარი თქვეს. „ბარსელონამ" ისტორიაში მე-12-ედ მოიპოვა ესპანეთის სუპერთასი.

მატჩის შემდეგ **პეპ გვარდიოლა** კმაყოფილებას ვერ მალავდა: *„წინასასეზონო გეგმაში სუპერთასის მოგებაც შედიოდა, მოხარული ვარ, რომ ეს შევძელით. ეს ჩვენი პირველი ტროფეია ახალ სეზონში. ასეთი სახის მატჩებში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მით უმეტეს, როცა ისეთი გაუტეხელი მეტოქე გყავს, როგორიც „ატლეტიკია". სეზონი რომ გახურებული იყოს, ასეთი თამაშის დონით შეიძლება უკმაყოფილო დავრჩენილიყავი, მაგრამ ამ ეტაპისთვის ძნელია სრულყოფილი თამაშის ჩვენება. თუმცა სასაყვედურო ბევრიც არაფერი მაქვს, გუნდი კარგად მოძრაობდა, მომენტებს ქმნიდა. იბრაჰიმოვიჩის თამაშით კმაყოფილი ვარ. მესი კი ბრწყინვალე იყო, მას მხოლოდ თამაში სურს, თითქოს ყოველ ჯერზე სურს გავიდეს მოედანზე და ყველა ჩვენგანს დაგვიმტკიცოს, რომ საუკეთესოა".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ბარსელონა-ბილბაო 3:0 (2:1)**

**ბარსელონა:** ვალდესი - დანიელ ალვეში, პუიოლი, პიკე (74. ბუსკეტსი), მაქსველი - ტურე, კეიტა, ხავი - მესი - ანრი (74. პედრო), იბრაჰიმოვიჩი (70. კრკიჩი)

**ბილბაო:** ირაისოსი - ირაოლა, ეჩებარია, უსტარიცი, კოიკილი - ორბაისი, გურპეგი, ლოპესი (60. იტურასპე), გაბილონდო - ეჩებერია (56. ტოკერო), დიასი (46. ველესი)

**გოლები:** 1:0 მესი (49), 2:0 მესი (67-პენ), 3:0 კრკიჩი (71)

ტრანსფერი

# სილვინიო სიტის დარჩა



„მანჩესტერ სიტიმ" „ბარსელონას" 35 წლის ბრაზილიელ მცველ **სილვინიოს** ერთწლიანი ხელშეკრულება გაუფორმა. სილვინიოს კატალონიურ კლუბთან კონტრაქტი სეზონის დასრულებისთანავე გაუვიდა და „ნისლიან ალბიონზე" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა.

*„სილვინიოს უმაღლეს დონეზე თამაშის უდიდესი გამოცდილება* **აქვს**, *მას ბრაზილიის ნაკრებში და მოწინავე ევროპულ კლუბებში უთამაშია. როდესაც შევიტყვე, რომ მისი აყვანა თავისუფალი აგენტის სტატუსით შეიძლებოდა, წუთითაც არ მიყოყმანია. სილვინიო შარშანდელი სეზონის ტრიუმფატორია „ბარსელონასთან" ერთად და ის აუცილებლად გააძლიერებს „მანჩესტერ სიტის" დაცვის ხაზს"*, - განაცხადა **მარკ ჰიუზმა** „სიტის" ოფიციალურ საიტთან ინტერვიუში.

სილვიო მენდეშ კამპოს ჟუნიორი - საფეხბურთო სამყარო მას უფრო სილვინიოს სახელით იცნობს. ის სან პაულოელია, 1994-1999 წლებში თამაშობდა „კორინთიანსში". 1999 წელს პირველი ბრაზილიელი ფეხბურთელი გახდა, რომელმაც „არსენალთან" გააფორმა ხელშეკრულება. 2001 წელს სილვინიო ესპანეთში გადავიდა, სადაც „სელტაში" გამოდიოდა. ხუთი წლის წინათ კი „ბარსელონამ" მის სანაცვლოდ 2 მილიონი ევრო გადაიხადა. ბრაზილიელმა „ბლაუგრანას" მაისურით ბოლოს 27 მაისის ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშა. „სიტის" ხელმძღვანელობა მისით 19 აგვისტოს ბარსელონაში გამართული ამხანაგური მატჩისას დაინტერესდა, რომელსაც სილვინიოც ესწრებოდა. ბრაზილიის ნაკრებში სილვინიომ 6 მატჩი გამართა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ესპანური ქრონიკები

**18 აგვისტო:** ბელგიელი ნახევარმცველი **რიჩი კიტოკო** 2 მილიონ ევროდ „ალბასეტედან" იტალიურ „უდინეზეში" გადავიდა. ურუგვაულმა „პენიაროლმა" 29 წლის ფორვარდი **კარლოს ბუენო** „რეალ სოსიედადში" გაანათხოვრა. „სევილიამ" ცენტრალური მცველი **დავიდ პრიეტო** კვლავ „ხერესში" გაანათხოვრა.

**19 აგვისტო:** „ლივერპულმა" 19 წლის უნგრელი ფორვარდი **ანდრაშ შიმონი** სეგუნდა დივიზიონის „კორდობაში" გაანათხოვრა. „რეალმა" **ალვარო ნეგრედო** „სევილიაში" 14 მილიონ ევროდ გაყიდა.

**20 აგვისტო:** „ვალენსიამ" „ელჩეში" გაანათხოვრა 20 წლის ბრაზილიელი მარცხენა მცველი **ტიაგო კარლეტო**. „მალიორკამ" თავისუფალი აგენტის სტატუსით 27 წლის პორტუგალიელი ნახევარმცველი **ბრუნო ჩინა** აიყვანა, რომელიც „ლეიქსოეში" თამაშობდა.

**21 აგვისტო:** „ხეტაფემ" 4 მილიონი ევრო გადაიხადა 23 წლის **პედრო ლეონის** („ვალიადოლიდი") სანაცვლოდ. ბრაზილიელი **ფაბიანო როსატო** „მალაგადან" უსასყიდლოდ გადავიდა „სალამანკაში". „მალიორკამ" ცენტრალური მცველი **რუბენ გონსალესი** („სელტა") შეიძინა, ხოლო „იანგ ბოისიდან" არგენტინელი ნახევარმცველი **გილერმო პერეირა**.

**22 აგვისტო:** **რუბენ კასტრო** „დეპორტივომ" „რაიო ვალეკანოში" გაანათხოვრა. არგენტინელი **ოსკარ ტრეხო** „მალიორკადან" იჯარით „ელჩეში" გადავიდა. 21 წლის მარცხენა მცველი **ივან ობრადოვიჩი** ბელგრადის „პარტიზანიდან" „სარაგოსაში" გადავიდა.

**23 აგვისტო:** 28 წლის გარემარბი სისკო „ბეტისმა" „ლევანტეში" გაუშვა იჯარით.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჰოლანდია

ერედივიზიე. IV ტური

# აიაქსის როტერდამული შლაგბაუმი



კეისუკე ჰონდამ თავი გამოიჩინა და „ფეიენოორდის" ყურადღებაც დაიმსახურა

ერედივიზიეს ოთხი ფავორიტიდან მეოთხე ტურში ერთს ფეხი დაუცდა - „აიაქსმა" ამსტერდამში ვერ შეძლო მოკრძალებული „სპარტას" დამარცხება. ჩვენც ამ თამაშის პერიპეტიებით დავიწყოთ ჰოლანდიის ჩემპიონატის ტურის მიმოხილვა: მასპინძელთა თინეიჯერ ნახევარმცველ **სიმ დე იონგს** შეეძლო უკვე მეორე წუთზევე დაეწინაურებინა „აიაქსი", მაგრამ მას ნერვებმა უმტყუნა. უეფას ევროპის ლიგის მატჩში პოკერის შემსრულებელი ურუგვაელი **ლუის სუარესიც** აქტიურობდა, მაგრამ იმ საღამოს ფორტუნა როტერდამელთა მხარეს იყო. ბომბარდირთა დავაში დაწინაურებული სუარესის დარტყმულები ხან ძელს ხვდებოდა, ხან - ხარიხას, ხან კი მეკარე ყოჩაღობდა. მაგრამ გოლის გატანის ყველაზე რეალური შანსი შეცვლაზე შესულ სერბ **მირალემ სულეიმანის** ჰქონდა, მაგრამ როგორ „მოახერხა" „მიკიმ" ახლო მანძილიდან ბურთი ცარიელ კარისთვის აეცილებინა, თავადაც ვერ ახსნა მატჩის შემდეგ. 4 თამაშის შემდეგ 7 ქულა და მე-5 ადგილი - არცთუ კარგი დასაწყისი გამოუვიდა **მარტინ იოლს** მისთვის ახალ კლუბში.

**რონალდ კუმანის** და **შოთა არველაძის** „ალკმაარმა" სტუმრად 2:0 დაამარცხა „ჰეერენვეენი". თავიდანვე ცხადი შეიქმნა, რომ ჩემპიონი უკეთესი გუნდი იყო. ანგარიშის გახსნა **ბრეტ ჰოლმანს** და **მუნირ ელ ჰამდაუის** შეეძლოთ, მაგრამ ვინ აცალა - მასპინძელთა გოლკიპერმა **მარტინ ლეისალმა** ჰამდაუის დარტყმული თავად შეაგდო კარში, რა თქმა უნდა, უნებლიედ. მეორე ტაიმის შუაში ელ ჰამდაუიმ უკვე ისე დაარტყა, რომ „ჰეერენვეენის" გოლკიპერი გოლის ავტორობაში არ შესცილებოდა. „ალკმაარი" 9 ქულით კვალში უდგას დაწინაურებულ „ფეიენოორდს" და „ტვენტეს", რომელთაც 10-10 ქულა მოაგროვეს. „ალკმაარი" „აიაქსში" გადასულ **დემი დე ზეუვის** შემცვლელად პარაგვაელი **სელსო ორტისის** აყვანას გეგმავს. 20 წლის ფეხბურთელის ტრანსფერი კვირის ბოლოს უნდა შედგეს.

„ფეინოორდმა" „დე კუიპზე" „როდა" გაალცამტვერა - 4:0. მე-4 წუთზე როტერდამელთა ახალწვეულმა **სეკუ სისემ** ახალ კლუბში თავისი პირველი გოლი გაიტანა. 33-ე წუთზე დანიელმა **იონ დალ ტომასონმა ჯონათან დე გუზმანის** ბრწყინვალე პასის წყალობით გაიტანა. შემდეგ უკვე კანადური წარმოშობის ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა თავად შეასრულა დუბლი. „ფეიენოორდი" მიღწეულით არ კმაყოფილდება და სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე „ვენლოს" იაპონელი ბომბარდირის **კეისუკე ჰონდას** გადაბირებას აპირებს. ჰონდამ ამ ტურშიც გაიტანა („გრონინგენის" კარში) და ახლა 4 თამაშიდან 5 გოლით სუარესთან და ელ ჰამდაუისთან ერთად ბომბარდირთა დავაში ლიდერობს.

ეინდჰოვენში მოულოდნელად „ბრედა" დაწინაურდა, მე-8 წუთზე სტუმართა მობილურმა ნახევარმცველმა **ედვინ დე გრააფმა** გაიტანა. პსვ-მ ვერაფრით დაალაგა თამაში და რომ არა შეცვლაზე შესული **დენი კუვერმანსის** გოლები, „ბრედა" ტურის სიურპრიზს შემოგვთავაზებდა. კუვერმანსს ასისტენტობას ჯერ **სტანისლავ მანოლევი** უწევდა, შემდეგ - **დანკო ლაზოვიჩი**. ამის შემდეგ მასპინძლებს მექსიკელი მცველი **ფრანსისკო როდრიგესი** გაუძევეს, „ბრედა" მთელი გუნდით გადავიდა შეტევაზე გასათანაბრებლად და, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, აქეთ გაუშვა - 3:1.

„ტვენტე" ლიდერთა შორისაა, „ვაალვაიკს" პირველი გოლი შვეიცარიის ნაკრების წევრმა **ბლეზ კუფომ** (რომელსაც, ხშირად არასწორად ნკუფოს უწოდებენ) გაიტანა. მისივე პასით **ბრაიან რუისმა** ორამდე გაზარდა „ტვენტეს" უპირატესობა. „ვაალვაიკმა" **ჩარლისონ ბენშოფის** გოლით გაიბრძოლა, თუმცა 20 წლის ანტილელს თანაგუნდელები ვერ აჰყვნენ - 2:1.

**ვიტესი-დენ ჰააგი** 1:3

გოლები: 0:1 მილიჩი (18), 0:2 ჰორვატი (42), 0:3 სოლტანი (63), 1:3 სპროკელი (89)

**ვილემი-ჰერაკლესი** 0:1

გოლი: 0:1 დოსტი (66)

**ვენლო-გრონინგენი** 2:2

გოლები: 1:0 ჰონდა (7), 1:1 პედერსენი (13), 1:2 გრანკვისტი (15), 2:2 კალაბრო (20)

**ტვენტე-ვაალვაიკი** 2:1

გოლები: 1:0 რუისი (18), 2:0 კუფო (27), 2:1 ბენშოფი (60)

**ეინდჰოვენი-ბრედა** 3:1

გოლები: 0:1 გრააფი (8), 1:1 კუვერმანსი (63), 2:1 კუვერმანსი (73), 3:1 აფელაი (91)

გაძევება: როდრიგესი (79. ეინდჰოვენი)

**ფეიენოორდი-როდა** 4:0

გოლები: 1:0 სისე (4), 2:0 დალ ტომასონი (33), 3:0 დე გუზმანი (39), 4:0 დე გუზმანი (86)

**ჰეერენვეენი-ალკმაარი** 0:2

გოლი: 0:1 ლეისალი (30 ს.კ.), 0:2 ელ ჰამდაუი (64)

**აიაქსი-სპარტა** 0:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფეიენოორდი | 4 | 3 | 1 | 0 | 7-0 | 10 |
| 2. ტვენტე | 4 | 3 | 1 | 0 | 6-2 | 10 |
| 3. ალკმაარი | 4 | 3 | 0 | 1 | 12-3 | 9 |
| 4. ეინდჰოვენი | 4 | 2 | 2 | 0 | 11-8 | 8 |
| 5. აიაქსი | 4 | 2 | 1 | 1 | 9-5 | 7 |
| 6. უტრეხტი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| 7. ჰერაკლესი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| 8. ბრედა | 4 | 2 | 1 | 1 | 5-5 | 7 |
| 9. როდა | 4 | 1 | 2 | 1 | 2-5 | 5 |
| 10. ვენლო | 4 | 0 | 4 | 0 | 9-9 | 4 |
| 11. დენ ჰააგი | 4 | 1 | 1 | 2 | 6-6 | 4 |
| 12. სპარტა | 4 | 1 | 1 | 2 | 2-5 | 4 |
| 13. ჰეერენვეენი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-6 | 4 |
| 14. ნაიმეგენი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-4 | 3 |
| 15. ვილემი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-5 | 3 |
| 16. გრონინგენი | 4 | 0 | 2 | 2 | 4-7 | 2 |
| 17. ვიტესი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-7 | 1 |
| 18. ვაალვაიკი | 4 | 0 | 0 | 4 | 2-13 | 0 |

**ბომბარდირები:** 5 - ლუის სუარესი (აიაქსი), მუნირ ელ ჰამდაუი (ალკმაარი), კეისუკე ჰონდა (ვენლო); 3 - იონ დალ ტომასონი (ფეიენოორდი), ბალაშ ჟუჟაკი (ეინდჰოვენი), ბლეზ კუფო (ტვენტე).

ბელგია

ჟუპილერ პრო. IV ტური

# ანდერლეხტი სრული სვლით

მართალია, ევროპის ლიგაზე „ლიონთან" შერცხვა, მაგრამ შინაურ პირველობაში „ანდერლეხტს" მაინც ბადალი არ ჰყავს - ოთხი ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით ლიდერობს. ბრიუსელელები „ვარეგემს: ეწვივნენ და ორივე ტაიმის მიწურულს თითო გოლი გაუტანეს - 2:0. მასპინძლები კონტრშეტევებისა და სწრაფი **შევალიეს** იმედად იყვნენ. სტუმრებს კი პასებით არგენტინელი **ბილია** ამარაგებდა. ტაიმი თითქოს უგოლოდ სრულდებოდა, როცა **მბარკ ბუსუფამ** გაისროლა და მეოთხე მატჩში მეოთხე გოლი ჩაიწერა პირად ანგარიშზე. მეორე ტაიმში „ანდერლეხტი" აღარ რისკავდა, ხოლო „ვარეგემი" უკბილოდ უტევდა. მატჩის ინტრიგა 88-ე წუთზე **რომელო ლუკაკუს** სეზონის პირველმა გოლმა მოკლა.

ბელგიის ჩემპიონმა კვლავ წაიფორხილა - „სტანდარდმა" შინ ვერ შეძლო „შარლერუას" დამარცხება - 1:1. გუნდებმა პირველ ტაიმში გაცვალეს გოლები, ჯერ მასპინძელმა **იოვანოვიჩმა** გაიტანა, 7 წუთში კი ფრანგმა **ჰაბიბ ჰაბიბუმ მბოკანის** შეცდომით ისარგებლა და გაათანაბრა - 1:1. გუშინ ლიეჟურმა კლუბმა 4-წლიანი კონტრაქტი 19 წლის კოტდივუარელ ფორვარდ **მუსა ტრაორეს** გაუფორმა.

„ვესტერლოს" და „ბრიუგეს" გზას „მეხელენმა" „ბეერსხოტი" გაუყენა, სტუმრად 3:1 დაამარცხა და 9 ქულით, მოულოდნელად, ლიდერთა სამეულში ამოყო თავი.

**სტანდარდი-შარლერუა** 1:1

გოლები: 1:0 იოვანოვიჩი (22), 1:1 ჰაბიბუ (29)

**სტ. ტრუიდენი-რუზელარე** 2:1

გოლები: 0:1 ელ გააუირი (64), 1:1 ვილმეტი (69), 2:1 სიდიბე (77)

**ვარეგემი-ანდერლეხტი** 0:2

გოლები: 0:1 ბუსუფა (43), 0:2 ლუკაკუ (88)

**გენტი-ლოკერენი** 4:1

გოლები: 1:0 კუსტოვიჩი (5), 2:0 ვილსი (52), 2:1 კარევიჩი (59), 3:1 კუსტოვიჩი (73 პ), 4:1 ლეპოინტი (89)

**მუსკრონი-სერკლ ბრიუგე** 0:1

გოლი: 0:1 ფოლი (40)

**ბეერსხოტი-მეხელენი** 1:3

გოლები: 0:1 გორიუსი (7), 1:1 მალკი (12), 1:2 ნონგი (45), 1:3 იდი (90)

**ბრიუგე-კორტრაიკი** 2:2

გოლები: 0:1 იბუ (21), 0:2 იბუ (39), 1:2 აკპალა (40), 2:2 ოჯიჯა ოფოე (62 პ)

**ვესტერლო-გენკი** 0:1

გოლი: 0:1 კამუსი (68)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 4 | 4 | 0 | 0 | 10-2 | 12 |
| 2. გენტი | 4 | 3 | 1 | 0 | 10-4 | 10 |
| 3. მეხელენი | 4 | 3 | 0 | 1 | 10-5 | 9 |
| 4. სტ. ტრუიდენი | 4 | 2 | 2 | 0 | 6-4 | 8 |
| 5. ბრიუგე | 4 | 2 | 1 | 1 | 7-5 | 7 |
| 6. სტანდარდი | 4 | 1 | 3 | 0 | 9-5 | 6 |
| 7. გენკი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| 8. მუსკრონი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| 9. შარლერუა | 4 | 1 | 2 | 1 | 3-3 | 5 |
| 10. სერკლ ბრიუგე | 4 | 1 | 1 | 2 | 6-8 | 4 |
| 11. კორტრაიკი | 4 | 0 | 3 | 1 | 5-7 | 3 |
| 12. ვარეგემი | 4 | 0 | 3 | 1 | 5-7 | 3 |
| 13. ბეერსხოტი | 4 | 0 | 2 | 2 | 3-6 | 2 |
| 14. რუზელარე | 4 | 0 | 2 | 2 | 3-8 | 2 |
| 15. ლოკერენი | 4 | 0 | 1 | 3 | 3-9 | 1 |
| 16. ვესტერლო | 4 | 0 | 1 | 3 | 2-9 | 1 |

**ბომბარდირები:** 5 - მილან იოვანოვიჩი (სტანდარდი); 4 - ჯეისი (მუსკრონი), მბარკ ბუსუფა (ანდერლეხტი); 3 - დავიდ დე სტორმე (მეხელენი), ჟულიენ გორიუსი (გენტი), დომინიკ ფოლი (სერკლ ბრიუგე).

პორტუგალია

ლიგა საგრეშ. II ტური



პორტუ-ნასიონალი

# სპორტინგი კრიზისშია?

პორტუგალიის ჩემპიონატის პირველ ტურში 8-დან 7 მატჩი ფრით დასრულდა და გოლზე მეტი ვერც ერთმა გუნდმა გაიტანა. მეორე ტურმაც მძიმედ ჩაიარა. რომ არა „პორტუ" ვერც ამ ტურში ვიხილავდით უხვგოლიან მატჩს, ისიც მხოლოდ მაშინ გაიტანა პორტუგალიურმა გრანდმა სამი უპასუხო გოლი „ნასიონალის" კარში, რაც მსაჯმა მადეირელებს ერთბაშად ორი მოთამაშე გაუგდო. ამის შემდეგ მასპინძლებმა გაინავარდეს, ჯერ პენალტი **რადამელ ფალკაომ** გაიტანა, შემდეგ **ჟორჟე როლანდომ** გამოიჩინა თავი, „ნასიონალის" რბევა კი შეცვლაზე შესულმა **კრისტიან როდრიგესმა** დაასრულა. „ბენფიკამაც" ორი კაცით რიცხვმცირე მეტოქეს აჯობა. „გიმარაეშს" მეორე ტაიმში **ფლავიო მეირელეში** და **ნუნუ ასისი** გაუძევეს. გამარჯვების გოლი კი „ბენფიკას" ბრაზილიელმა ლეგიონერმა **დონასიმენტო რამირესმა** მსაჯის მიერ დამატებულ წუთზე გაიტანა - 1:0.

ლისაბონის „სპორტინგი" „ბრაგამ: 2:1 დაამარცხა და ჩემპიონატს 6 ქულით ჩაუდგა სათავეში. ლისაბონური კლუბის ცუდმა სტარტმა მის გულშემატკივრებს დიდი საფიქრალი გაუჩინა. კლუბის პრეზიდენტმა **ჟოზე ბეტენკორტმა** გულშემატკივრებს პირობა მისცა, რომ კარგად გამოიკვლევს რა სჭირს გუნდს და შესაბამის გადაწყვეტილებებსაც მიიღებს. რაც გუნდს 2005 წელს **პაულუ ბენტო** ჩაუდგა სათავეში, „სპორტინგს" ასეთი ცუდი სტარტი არ ჰქონია. შეშფოთებას იწვევს ისიც, რომ გუნდს ყველაზე მეტად დაცვაში უჭირს, არადა ბოლო წლებში სწორედ დაცვის კარგი თამაშის წყალობით აღწევდა ლისაბონური გუნდი წარმატებას. **ფაბიო როშემბაკი** უკმაყოფილოა, რომ ზედიზედ ორი ტურია სათადარიგოთა სკამზე რჩება, ბრაზილიელმა უკვე განუცხადა კლუბის ხელმძღვანელობას - ან მათამაშეთ, ან სხვა კლუბში გამიშვითო.

**ოლანენსე-ლეირია** 0:0

გაძევება: ტალი (89. ლეირია)

**აკადემიკა-ფერეირა** 1:1

გოლები: 1:0 ფიდალგო (3), 1:1 პედრინია (43)

**სპორტინგი-ბრაგა** 1:2

გოლები: 0:1 ალანი (11), 1:1 იანიკი (70), 1:2 მეიონგი (80)

**მარიტიმუ-ლეიქსოეში** 1:0

გოლი: 1:0 მორაიში (68 ს.კ.)

**რიო ავე-სეტუბალი** 1:0

გოლი: 1:0 გამა (35)

**გიმარაეში-ბენფიკა** 0:1

გოლი: 0:1 რამირესი (90)

გაძევება: მეირელეში (61. გიმარაეში), ასისი (90. გიმარაეში)

**პორტუ-ნასიონალი** 3:0

გოლები: 1:0 ფალკაო (67 პ.), 2:0 როლანდო (73), 3:0 როდრიგესი (86)

გაძევება: კლებაო, ოლივეირა (65. ნასიონალი)

**ბელენენსეში-ნავალი** 2:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრაგა | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| 2. ბენფიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 3. მარიტიმუ | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 4. პორტუ | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 5. ბელენენსეში | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 4 |
| 6. რიო ავე | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 7. ოლანენსე | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 |
| 8. ლეირია | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 9. ფერეირა | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 10. სპორტინგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 11. ნასიონალი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| 12. გიმარაეში | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 13. სეტუბალი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 14. ლეიქსოეში | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 15. აკადემიკა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 16. ნავალი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთი

პრემიერლიგა. XIX ტური



სამედოვს სატურნის ცარიელ კარში გააქვს

# მსაჯმა დინამო განირა

რუსული პრემიერლიგის მე-19 ტურში ჩემპიონმა „რუბინმა" და მისმა უშუალო მდევარმა „სპარტაკმა" იმარჯვეს. ყაზანელებმა უშუალო კონკურენტი „დინამო" მოსკოვში 3:0 გაანადგურეს. თუმცა ანგარიში მაცდურია, სინამდვილეში ჩემპიონს მაგრად გაუჭირდა და მსაჯები, რომ არ დახმარებოდნენ, ვინ იცის, შეძლებდა კი დედაქალაქიდან ქულების წამოღებას. მსაჯმა მასპინძლებს ფეხბურთელი გაუგდო და მათ კარში ორი პენალტი დანიშნა, ორივე საკამათო, სხვათა შორის. „დინამო" მატჩის რეფერის **ილდუს ბიგლოვს** კი უჩივის, მაგრამ აქედან, ყველაზე მეტი მსაჯის მცირეხნიან დისკვალიფიკაციას თუ გამორჩება, რაც ვერაფერი შეღავათია. „დინამო" კი უკვე 10 ქულით ჩამორჩა ყაზანურ კლუბს და, ვგონებ, საჩემპიონო რბოლასაც ჩამოშორდა.

„სპარტაკმა" გროზნოში შეძლო 3 ქულის აღება, თავიდან **ვალერი კარპინის** გუნდს თავი ქუდში ეგონა, მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა **იაკოვლევმა** ანგარიში გახსნა, ხოლო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა **ველიტონმა** დუბლი შეასრულა. შემდეგ მასპინძლები კი გააქტიურდნენ, მაგრამ უკვე დაგვიანებული აღმოჩნდა - 2:3. ერთი კურიოზული გოლი გავიდა „მოსკვასა" და „სატურნის" მატჩში - მეკარე **ანტონინ კინსკი** მასპინძელთა საჯარიმოში ჩავიდა გოლის გასატანად, **ალექსანდრ სამედოვმა** კი მოედნის ცენტრიდან ბურთი კინსკისგან მიტოვებულ კარში შეაგორა.

მე-19 ტურის სიმბოლური ნაკრები: **სერგეი ნარუბინი** (ამკარი) - **ვლადიმირ კისენკოვი** (ნალჩიკი), **სესარ ნავასი** (რუბინი), **რომან შარონოვი** (რუბინი), **ბოავენტურა** (ყუბანი) - **ალექსი** (სპარტაკი), **მარკ გონსალესი** (ცსკა), **გიოქდენიზ კარადენიზი** (რუბინი) - **შამილ ასილდაროვი** (ნალჩიკი), **ველიტონი** (სპარტაკი), **ფათიჰ თექე** (ზენიტი).

**ნალჩიკი-ტომი** 3:0
გოლები: 1:0 კისენკოვი (13), 2:0 ასილდაროვი (39 პ), 3:0 ასილდაროვი (76)

**ცსკა-ხიმკი** 2:1
გოლები: 1:0 ნეციდი (14), 2:0 კრასიჩი (22), 2:1 ანტიპენკო (69)

**მოსკვა-სატურნი** 3:1
გოლები: 1:0 იაკუბკო (3), 2:0 სტრელკოვი (76), 2:1 ანგბვა (88), 3:1 სამედოვი (93)

**კრილია სოვეტოვი-როსტოვი** 2:2
გოლები: 1:0 კოლერი (48), 1:1 აკიმოვი (52), 2:1 ივანოვი (56), 2:2 ახმეტოვიჩი (80)

**ზენიტი-ლოკომოტივი** 1:1
გოლები: 0P:1 ვაგნერი (9), 1:1 თეკე (29)

**დინამო-რუბინი** 0:3
გოლები: 0:1 დომინგესი (28 პ), 0:2 დომინგესი (79 პ), 0:3 რიაზანცევი (90)
გაძევება: უილკშირი (68. დინამო)

**ყუბანი-ამკარი** 1:0
გოლი: 1:0 ტრაორე (77)
შენიშვნა: ტრაორემ 77-ე წუთზე ვერ გაიტანა პენალტი

**ტერეკი-სპარტაკი** 2:3
გოლები: 0:1 იაკოვლევი (25), 0:2 ველიტონი (29), 0:3 ველიტონი (33), 1:3 კუტარბა (62), 2:3 ლახიალოვი (92)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუბინი | 19 | 12 | 4 | 3 | 39-13 | 40 |
| 2. სპარტაკი | 19 | 12 | 3 | 4 | 37-18 | 39 |
| 3. ცსკა | 19 | 10 | 3 | 6 | 29-19 | 33 |
| 4. მოსკვა | 19 | 9 | 6 | 4 | 24-14 | 33 |
| 5. დინამო | 19 | 9 | 3 | 7 | 20-21 | 30 |
| 6. ლოკომოტივი | 19 | 7 | 8 | 4 | 23-19 | 29 |
| 7. ზენიტი | 19 | 7 | 7 | 5 | 29-22 | 28 |
| 8. სატურნი | 19 | 7 | 5 | 7 | 21-24 | 26 |
| 9. კრილია | 19 | 7 | 4 | 8 | 21-24 | 25 |
| 10. ტერეკი | 19 | 6 | 6 | 7 | 22-29 | 24 |
| 11. ტომი | 19 | 6 | 5 | 8 | 18-23 | 23 |
| 12. როსტოვი | 19 | 5 | 8 | 6 | 14-18 | 23 |
| 13. ამკარი | 19 | 4 | 6 | 9 | 17-28 | 18 |
| 14. ყუბანი | 19 | 4 | 6 | 9 | 12-26 | 18 |
| 15. ნალჩიკი | 19 | 2 | 8 | 9 | 16-22 | 14 |
| 16. ხიმკი | 19 | 2 | 4 | 13 | 15-37 | 10 |

**ბომბარდირები:** 15 - ველიტონი (სპარტაკი); 11 - ალეხანდრო დომინგესი (რუბინი); 10 - ალექსანდრ ბუხაროვი (რუბინი), ალექსანდრ კერჟაკოვი (დინამო).

საბერძნეთი

სუპერლიგა. I ტური

# თემურ ქეცბაია ხანძარმა შეაჩერა

წლევანდელი საბერძნეთის სუპერლიგა ქართველ გულშემატკივარს თემურ ქეცბაიას გამო უფრო დააინტერესებს. ამ უქმეებზე ჩემპიონატი კი დაიწყო, მაგრამ ათენის ირგვლივ მოდებულმა ხანძარმა ტურის მთავარი მატჩი, ათენური დერბი აეკ-სა და „ოლიმპიაკოსს" შორის გადადო. არადა, თემურის დებიუტი მისი ყოფილი გუნდის (ფეხბურთელობისას) წინააღმდეგ უნდა შემდგარიყო. 30-კილომეტრიანი არეალი მთლიანად ხანძარმა მოიცვა, დედაქალაქში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, რის გამოც დერბი და „პანიონიოსი"-პაოკ-ის შეხვედრა არ ჩატარდა.

კრეტაზე „პანათინაიკოსმა" ბდღვინი ადინა **გიორგი შაშიაშვილის** „ერგოტელისს" - 3:0. ამ დღეს **ჯიბრილ სისეს** შემჩერებელი მასპინძლებს არ ჰყავდათ. გუნდში დებიუტი დუბლით აღნიშნა ყოფილმა ლივერპულელმა **სებასტიან ლეტომ**. არგენტინელი გასულ სეზონში იჯარით „ოლიმპიაკოსში" ირიცხებოდა, მაგრამ ზაფხულში ქეცბაიას გუნდს „პაომ" დაასწრო და „ლივერპულს" მარცხენაფლანგელის სანაცვლოდ 3 მილიონი ევრო გადაუხადა.

ტურის სხვა მატჩებიდან აღვნიშნავთ რუმინელი ფორვარდის, **ნიკოლაე დიკას** დუბლს მის სადებიუტო მატჩში „ირაკლისის" მაისურით.

**ქსანთი-იანინა** 1:1
გოლები: 0:1 ცანისი (35), 1:1 მარსელო (58)

**არისი-ატრომიტოსი** 1:0
გოლი: 1:0 ნასუტი (68)

**ერგოტელისი-პანათინაიკოსი** 0:3
გოლები: 0:1 სისე (9), 0:2 ლეტო (40), 0:3 ლეტო (90)

**ლევადიაკოსი-კავალა** 0:1
გოლი: 0:1 დობრაშინოვიჩი (29)

**ასტერასი-ლარისა** 0:0

**პანტრაკიკოსი-ირაკლისი** 1:2
გოლები: 0:1 დიკა (29), 1:1 მიტუ (69), 1:2 დიკა (77)

თურქეთი

თურქსელ სუპერლიგი. III ტური



გალათასარაი-ქაისერი

# აქეთ-იქით მაკუკულას თავურით

„ბეშიქთაშმა" მესამე ტურში მეორე ფრე ითამაშა. ამჯერად, სტუმრად „გენჩლერბირლიგისთან" დაპირისპირებაში. „ბეშიქთაშს" ერთი რეალური საგოლე მომენტიც არ შეუქმნია მასპინძელთა კართან.

სამაგიეროდ, 9-9 ქულით ლიდერობენ „გალათასარაი" და „ფენერბაჰჩე". „გალათასარაისა" და „ქაისერის" შეხვედრაში სტუმართა პორტუგალიელმა ფორვარდმა **არიზა მაკუკულამ** თავი ორივე კარში გატანილი გოლებით გამოიჩინა. მან ჯერ 31-ე წუთზე გაათანაბრა ანგარიში, ხოლო ოთხ წუთში საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. სწორედ ამ გოლის შემდეგ აირია „ქაისერი" საბოლოოდ. მაკუკულამ ორჯერვე თავით გაიტანა, თანაც მეორე შემთხვევაში მან ოსტატურად დაასწრო საკუთარ გოლკიპერს საჰაერო დუელში. ჩეხმა **მილან ბაროშმა** ორივე გოლი **არდა თურანის** პასით გაიტანა, ხოლო ბრაზილიელმა **ელანომ** შესანიშნავი შორეული დარტყმით შეაგდო - 4:1.

გუშინ „ფენერბაჰჩემაც" იმარჯვა - სტამბოლელებმა სტუმრად 3:1 მოუგეს „დიარბაქირს".

**ბურსა-ანკარაგიუჯუ** 1:0
გოლი: 1:0 ომერი (25)

**ბუიუქშეჰირი-ესქიშეჰირი** 0:0

**გენჩლერბირლიგი-ბეშიქთაში** 0:0

**გაზიანთეფი-ანკარა** 1:1
გოლები: 0:1 ბრაბეცი (29), 1:1 ჟულიო სეზარი (82)
გაძევება: ტაბატა (83. გაზიანთეფი)

**გალათასარაი-ქაისერი** 4:1
გოლები: 1:0 ბაროში (14), 1:1 მაკუკულა (31), 2:1 მაკუკულა (35 ს.კ.), 3:1 ელანო (65), 4:1 ბაროში (89)

**მანისა-ტრაბზონი** 1:0
გოლი: 1:0 ისააკი (16)

**ანთალია-კასიმფაშა** 2:0
გოლები: 1:0 ჟედინაკი (60), 2:0 სიჰანი (84)

**დიარბაქირი-ფენერბაჰჩე** 1:3
გოლები: 1:0 ტაზამეტა (20), 1:1 გიონული (36), 1:2 ქაზიმი (55), 1:3 შენთურქი (69)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გალათასარაი | 3 | 3 | 0 | 0 | 11-4 | 9 |
| 2. ფენერბაჰჩე | 3 | 3 | 0 | 0 | 8-1 | 9 |
| 3. ბურსა | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| 4. ესქიშეჰირი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 5. ბუიუქშეჰირი | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 5 |
| 6. ბეშიქთაში | 3 | 1 | 2 | 0 | 3-1 | 5 |
| 7. მანისა | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| 8. ანკარა | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 9. დიარბაქირი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-6 | 4 |
| 10. გენჩლერბირ. | 3 | 0 | 3 | 0 | 1-1 | 3 |
| 11. ტრაბზონი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| 12. ანთალია | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 |
| 13. გაზიანთეფი | 3 | 0 | 2 | 1 | 4-5 | 2 |
| 14. ქაისერი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-5 | 2 |
| 15. ანკარაგიუჯუ | 3 | 0 | 2 | 1 | 3-4 | 2 |
| 16. სივასი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |
| 17. დენიზლი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-6 | 0 |
| 18. კასიმფაშა | 3 | 0 | 0 | 3 | 2-7 | 0 |

შოტლანდია

პრემიერლიგა. II ტური

# ტომსონის უიღბლო დაბრუნება

„რეინჯერსმა" შეცვლაზე შესულმა **კრის ბოიდმა** ბოლო წუთზე გატანილი პენალტით აჯობა „ჰართსს" - 2:1. არადა, თითქმის მთელი მატჩი გლაზგოურმა გუნდმა 10 კაცით ითამაშა, მე-13 წუთზე „რეინჯერსს" **კევინ ტომსონი** გაუძევეს **იან ბლეკის** ნაქცევისთვის. ასე უიღბლო გამოდგა ტომსონის დაბრუნება მძიმე ტრავმის შემდეგ, რომლის „წყალობითაც" ის ნოემბრიდან მოყოლებული უქმობდა.

„რეინჯერსს" გაუჭირდა 3 ქულის მოპოვება, „სელტიკმა" კი „სენტ ჯონსტონი" 5:2 გაანადგურა. **ტონი მოუბრეის** გუნდში პრემიერლიგაში დაბრუნებულ „სენტ ჯონსტონთან" თავი **მარკ-ენტონი ფორჩუნმა** (სადებიუტო გოლები „სელტიკში") და **შონ მელონიმ** დუბლებით გამოიჩინეს. შოტლანდიურ პრემიერლიგას 6-6 ქულით „სელტიკი", „რეინჯერსი" და „ჰიბერნიანი" ლიდერობენ.

**სელტიკი-სტ. ჯონსტონი** 5:2
გოლები: 1:0 ფორჩუნი (21), 2:0 მელონი (28), 2:1 სამუელი (36), 3:1 მელონი (53), 4:1 ფორჩუნი (54), 5:1 მაკდონალდი (74), 5:2 მორისი (76)

**ფალკირკი-ჰიბერნიანი** 1:3
გოლები: 1:0 ფლინი (25), 1:1 ბამბა (41), 1:2 რიორდანი (57), 1:3 რიორდანი (80)

**ჰამილტონი-აბერდინი** 0:3
გოლები: 0:1 მალგროუ (23), 0:2 კონსიდინი (29), 0:3 მაგუირი (63)

**მოზერუელი-კილმარნოკი** 3:1
გოლები: 1:0 სატონი (14), 2:0 ფორბსი (45), 3:0 ჰატჩისონი (68), 3:1 ჰემილი (88)

**სტ. მირენი-დანდი იუნ** 0:0

**ჰართსი-რეინჯერსი** 1:2
გოლები: 1:0 ვიტვეენი (31), 1:1 მაკკალოხი (63), 1:2 ბოიდი (90)
გაძევება: ტომსონი (13. რეინჯერსი)

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 2 | 2 | 0 | 0 | 8-3 | 6 |
| 2. რეინჯერსი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| 3. ჰიბერნიანი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| 4. მოზერუელი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-3 | 4 |
| 5. დანდი იუნ. | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 4 |
| 6. აბერდინი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 7. კილმარნოკი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 8. სტ. მირენი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 9. სტ. ჯონსტონი | 2 | 0 | 1 | 1 | 4-7 | 1 |
| 10. ჰართსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 11. ფალკირკი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-7 | 0 |
| 12. ჰამილტონი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-6 | 0 |



კევინ ტომსონს (მარცხნივ) დაბრუნება ჩაუმწარეს

ეროვნული ბიბლიოთეკა


მოსაზრება



სერ ალექს ფერგიუსონი სპორტული აფერისტობის წინააღმდეგ

# ფერგი: დავამარცხოთ მატყუარები!

სერ ალექს ფერგიუსონმა პრემიერლიგელ აფერისტებს, ვინ იცის მერამდენედ, შეუტია და მათ მისი საყვარელი სახეობის განადგურებაში დასდო ბრალი. თუ მიგიქცევიათ ყურადღება, „ლელოს" ფურცლებიდანაც შეამჩნევდით, რომ საკვირაო გაზეთ News of the world-ს კამპანიების მოწყობა უყვარს. ხან აგრესიული ფეხბურთელებისგან მსაჯებს იცავს, ხანაც სხვა მოძრაობას იწყებს. ამჯერად, გაზეთმა მატყუარების წინააღმდეგ გაილაშქრა და კამპანიაში „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცი ჩართო, რომელსაც მწარე-მწარეების სათქმელად დიდი ხვეწნა არ დასჭირვებია.

*„მე თუ მკითხავთ, ფეხბურთს მსაჯები კი არ კლავენ, არამედ არაპროფესიონალი ფეხბურთელები"* - უთხრა სერ ალექსმა News of the world-ის ჟურნალისტს.

აშკარაა, ფერგიუსონს მატყუარებმა თავიანთი სიმულაციით უკვე ისე მოაბეზრეს თავი, რომ მან „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელებს ერთი შეხედვით არაჯენტლმენური განკარგულება მისცა - როდესაც დაინახავენ, რომ მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელი წაიქცა და ბალახზე გორაობს, ბურთი აუტში არ გადააგდონ. შესაძლოა, ვინმეს არ ახსოვდეს, რომ წლების წინ ზუსტად იმავეს გაკეთებას „იუვენტუსის" მაშინდელი თავკაცი **მარჩელო ლიპიც** აპირებდა. ალექს ფერგიუსონი კი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას მოუწოდებს გააქტიურებისკენ:

*„ამის ატანა აღარ შეიძლება, აუცილებლად რაღაც ღონე უნდა ვიხმაროთ. ვილაც გაგორდება, დანარჩენი ფეხბურთელები კი ჩერდებიან, ბურთს აუტში აგდებენ და მაყურებელიც უსტვენს, რადგან მისთვის სანახაობა შეწყდა. ვფიქრობ, ასეთ დროს დანარჩენი ფეხბურთელები ისეთივე დამნაშავენი არიან, როგორიც ის, ვინც დაბლა კოტრიალობს. რატომ შეაჩერეს თამაში? მათ ხომ წარმოდგენა არ აქვთ, რა სჭირს ბალახზე გაწოლილს, არადა, უმეტესწილად არაფერიც არ სჭირს, უბრალოდ იტყუება. აქ კიდევ ერთი პრობლემაა, მატყუარები მსაჯებმა არ უნდა დაინდონ. დარწმუნებით გეუბნებით, აფერისტობამ კომიკურ მასშტაბებს მიაღწია და მართალი გითხრათ, არც კი ვიცი, როგორ უნდა შეჩერდეს ეს ყველაფერი. მსაჯების შეფმა, კით ჰეკიტმა ჯერ კიდევ სამი წლის წინ გააფრთხილა ფეხბურთელები, ვილაცის წაქცევის შემთხვევაში ბურთი აუტში არ გადაეგდოთ. მეც ველაპარაკე ჩემს ფეხბურთელებს და იგივე ვუთხარი. დაე, მსაჯმა გადაწყვიტოს გასაჩერებელია თამაში თუ არა, ეს რა ფეხბურთელის საქმეა. მაგალითად, თავის ტრავმა სახიფათოა და ასეთ დროს არბიტრმა ჩასტვინოს - აი, ასეთი კრიტერიუმების შემუშავებას ვცდილობ. დღეს კი ასეთი სურათი გვაქვს: თუ მეტოქე მოედანზე გაგორდება და შენ ამ დროს ბურთს აუტში არ გადააგდებ, იმ გუნდის ფეხბურთელებსა და ფანებს დაუპირისპირდები. ჰოდა, ეს რომ არ მოხდეს, აგდებენ და აგდებენ მოთამაშეები ბურთს აუტში, რაც, მე თუ მკითხავთ, დიდი სისულელეა, რადგან იმ დროს შეიძლება მეტოქის საჯარიმოს სიახლოვეს, მოედნის მესამე მესამედშიც კი იყო. და ბურთს რომ გადააგდებ, ამით რას მიიღებ? მეტოქე მას შენს მეკარეს დაუბრუნებს. ეს მარტივი ხრიკი მილიონჯერ გვინახავს, ზეპირად ვიცით".*

მანჩესტერული ამბები

# დაცვას უნდა დაცვა...

დაცვაში „მანჩესტერ იუნაიტედს" საქმე რთულად რომ აქვს, პრემიერლიგის საქმეებში ჩახედული ნებისმიერი გულშემატკივრისთვის ცნობილია - ნაცვლად იმისა, რომ მოედანზე მოწინააღმდეგეს ებრძოლოს, ინგლისის ჩემპიონის ბევრი მოთამაშე სამედიცინო კაბინეტებში ტრავმებს ეჭიდავება. ბოლო ტურში, **ნემანია ვიდიჩის** დაბრუნებამ მდგომარეობა მანჩესტერელთათვის თითქოს ცოტა სასიკეთოდ შეცვალა. ახლა არ არის გამორიცხული, საქმე ისევ გაფუჭდეს: ვინც ბოლო ტურში „იუნაიტედისა" და „უიგანის" შეხვედრის ტელეტრანსლაციას ადევნებდა თვალს, დაინახავდა, რომ ერთ ეპიზოდში ვიდიჩმა მეტოქის თავდამსხმელი **უგო როდალეგა** ლაზათიანად მოისროლა, რასაც ამ უკანასკნელის გაცეცხლება და პატარა ინციდენტი მოჰყვა. ერთი სიტყვით, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტი ეპიზოდის გარჩევას აპირებს და თუ ვიდიჩს უხეშობა დაუდგინეს, შესაძლოა სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯონ.

ცუდად არის **ჯონ ევანსის** საქმეც. არა, ევანსს დისკვალიფიკაცია არ ემუქრება, მაგრამ „უიგანთან" შეხვედრის 72-ე წუთზე ის **ჯონ ოშიმ** იმიტომ შეცვალა, რომ ძველი ტრავმა არა და არ ანებებს თავს. „იუნაიტედის" ბანაკიდან გამოსულ ხმათა თანახმად, კლუბში ახლა სწორედ იმაზე მსჯელობენ, გაუკეთონ ამ ფეხბურთელს ოპერაცია თუ არა. ცნობისათვის: ევანსს ის ტრავმა აწუხებს, რომელმაც მთელი გასული სეზონი მოუწამლა.

ბუნებრივია, ვიდიჩისა და ევანსის გამოკლება სერ **ალექს ფერგიუსონისთვის**, რომელსაც ვერა და ვერ დაუბრუნდა კაპიტანი **რიო ფერდინანდი**, ბედის სიმუხთლე იქნება.

ჩვენ კი ვიდიჩისა და როდალეგას ეპიზოდს დავუბრუნდეთ. შეხვედრის მსაჯმა **ჰოვარდ ვებმა** განსჯის საგნად ქცეული მომენტი ვერ დაინახა, მაგრამ ასოციაციაში მას მაინც დაიბარებენ და ჰკითხავენ, რომ დაენახა, რას მოიმოქმედებდა. მიმომხილველების აზრით, ამ ინციდენტის დროს თავად როდალეგამაც დააშავა - ეპიზოდი გაბერა, ბუზისგან სპილო შექმნა და არ არის გამორიცხული, ისიც დასაჯონ. თან, „უიგანის" თავდამსხმელმა, მასთან დასაწყნარებლად მისულ არბიტრს ცოტა არ იყოს, უხეშადაც დაუბრიალა თვალები...



უგო როდალეგა ნემანია ვიდიჩს საქმეს ურჩევს

ტრანსფერი

# ანქი, რად გინდა ეგეთი?

ბოლოს და ბოლოს, „ევერტონი" გატყდა და „მანჩესტერ სიტის" **ჯოლიონ ლესკოტი** დაუთმო. მხარეებმა სატრანსფერო თანხა დაადგინეს და ხელი ხელსაც დაჰკრეს, ასე რომ, საქმე ტექნიკურ დეტალებზეღაა: ლესკოტმა ისტლენდზე სამედიცინო შემოწმება უნდა გაიაროს და ქაღალდები გააფორმოს.

რა დაჯდა ევერტონელი მცველი? ამ კითხვაზე პასუხს ჯერჯერობით საგულდაგულოდ მალავენ, მაგრამ რამდენადაც BBC-ისთვის გახდა ცნობილი, რთული მოლაპარაკებების შემდეგ კლუბები 24 მილიონ ფუნტზე შეთანხმდნენ. შეთანხმების შემდეგ „ევერტონის" ვებგვერდზე ოფიციალური განცხადება გამოჩნდა, სადაც წერია:

*„მენჩესტერელთა შემოთავაზებებმა ფეხბურთელის საქმისადმი და ჩვენი კლუბისადმი დამოკიდებულება შეცვალა. თანდათან სულ უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა, რომ ჯოლიონ ლესკოტის გაყიდვა „ევერტონისთვის" საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა".*

მოკლედ შეგახსენებთ ვაჭრობის ისტორიას. მას მერე, რაც ისტლენდერთა მთავარმა მიზანმა, „ჩელსის" კაპიტანმა **ჯონ ტერიმ** გუნდის გამოცვლაზე საბოლოო უარი თქვა, „მანჩესტერ სიტი" ლესკოტისკენ შეტრიალდა და „ევერტონს" 15 მილიონი ფუნტი შესთავაზა. პირველ შეთავაზებაზე ლივერპულელების პასუხი, რასაკვირველია, უარყოფითი იყო, რის შემდეგაც „სიტის" მწვრთნელმა **მარკ ჰიუზმა** მაგიდაზე უკვე 18 მილიონი დაყარა. უარი გაისმა 18 მილიონის პასუხადაც. საქმე ის გახლავთ, რომ „ევერტონის" მწვრთნელს, **დევიდ მოიესს** მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ამ ზაფხულს არავინ გაეყიდა და ძირითადი შემადგენლობა მთლიანად შეენარჩუნებინა - კაცი ბრძოლაზე ფიქრობდა.

მაგრამ ორი კვირის წინ უკვე თავად ლესკოტმა ამოიღო ხმა - „ევერტონს" ტრანსფერის ნებართვა სთხოვა, თუმცა იმხანად ჯერ კიდევ შეუვალი მოიესისგან უარი მიიღო. მოიესი ინტერვიუებში „მანჩესტერ სიტის" აცამტვერებდა და ამბობდა, რომ კლუბის ზურგს უკან ფეხბურთელის მოთაფვლა უსინდისო საქციელია. მაგრამ, აი, დადგა პრემიერლიგის პირველი დღე და „ევერტონმა" „არსენალთან"... 1:6 წააგო. ამ დღის შემდეგ „ევერტონმა" კიდევ ორჯერ ითამაშა, ოღონდ მოიესს ლივერპულის გუნდის ცენტრალური მცველი შემადგენლობისთვის აღარ მიუკარებია. კვირას, „ბარნლის" წინააღმდეგ („ევერტონმა" კვლავ წააგო, 1:0) მის ფუნქციას **ფილ ნევილი** ასრულებდა.

ცნობისათვის, ამიერიდან, მოიესის განკარგულებაში ერთადერთი ნომინალური ცენტრალური მცველიღაა - **ჯოზეპ იობო.**



ჯოლიონ ლესკოტი

ტრავმა



სესკ ფაბრეგასი ტრავმირებულია

# ფაბრეგასის პრობლემები

ორთავა კუნთის დაზიანების გამო, შაბათს არსენალელმა **სესკ ფაბრეგასმა** შესაძლოა „მანჩესტერ იუნაიტედთან" პრინციპულ დაპირისპირებაში მონაწილეობა ვერ მიიღოს. ჩრდილოლონდონელი ექიმები იმასაც კი შიშობენ, რომ კაპიტანმა შეიძლება სამი კვირა გამოტოვოს - მოგეხსენებათ, პრემიერლიგის მესამე ტურში, „პორტსმუთთან" 4:1 მოგებულ შეხვედრაში, ფაბრეგასი პირველი ტაიმის მერე გამოცვალეს.

„მეთოფეთა" მწვრთნელ **არსენ ვენგერის** თქმით, „არსენალის" კატალონიელი კაპიტნის მდგომარეობა ჯერ ბოლომდე ცნობილი არ არის და ის დამატებითი გამოკვლევებით უნდა დაზუსტდეს. რასაკვირველია, გამორიცხული არ არის, რომ სინამდვილეში ფაბრეგასი ძალიანაც არ იყოს დაშავებული, თუმცა, ხვალ, ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფის საპასუხო შეხვედრაში, „სელტიკთან" რომ ვერ ითამაშებს, ეს ფაქტია. ვენგერმა ბრძანა:

*„სესკს ორთავა კუნთის პრობლემა აქვს და „სელტიკთან" რომ ვერ ითამაშებს, ამას ლაპარაკი არ უნდა. თუ კუნთი ცოტათი მაინც დაჭიმულია, შეიძლება სამკვირიანი დასვენებაც დასჭირდეს, უკეთეს შემთხვევაში კი „სელტიკის" თამაშის შემდეგ დაგვიბრუნდება".*

ფაბრეგასის გამოკლება „არსენალისთვის", რასაკვირველია, დიდი დარტყმა იქნება, რადგან ის ამ ზაფხულს ჩინებულ ფორმაში იყო, მაგრამ ფეხბურთელი სამკვირიანი დასვენების შემდეგ მოედანს როგორ ფორმაში დაუბრუნდება, კაცმა არ იცის.

სხვათა შორის, იმავე კუნთის გამო, ფაბრეგასის მოედანზე გასვლა „სელტიკთან" პირველი შეხვედრის წინაც ეჭვქვეშ იდგა, მაგრამ ექიმებმა გარისკეს და კაპიტანი ორივე ტაიმით დატვირთეს. შეგახსენებთ, რომ ის შეხვედრა, „პარკჰედზე" „არსენალმა" 2:0 მოიგო.

ტრავმის გამო სესკმა შესაძლოა ვერც ესპანეთის ნაკრების უახლოეს შეხვედრებში მიიღოს მონაწილეობა. რაც შეეხება „არსენალისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" ზემოთ ნახსენებ თამაშს, ის შაბათს, 29 აგვისტოს, „ოლდ ტრეფორდზე", საქართველოს დროით 20 საათსა და 15 წუთზე გაიმართება.

ინციდენტი

# ურტყეს და ურტყეს ერთმანეთს...

„ჩელსის" ახალგაზრდებს საქმე დასჯაზე აქვთ - ამას წინათ, ამხანაგურ შეხვედრაში ისეთი მუშტიკრივი გამართეს, თქვენი მოწონებული. ის კი არა, შეხვედრა შეწყდა კიდეც. ერთი სიტყვით, სანამ დასავლეთლონდონელების პირველი გუნდი პრემიერლიგაში თამაშს თამაშზე იგებს და სამი ტურის შემდეგ ცხრა ქულით „ტოტენჰემ ჰოთსპურთან" ერთად ცხრილშიც ლიდერობს, რეზერვისტებმა კობჰემის საწვრთნელ ბაზაზე არაბთა გაერთიანებული საამიროების „ალ ჰაილისთან" ბურთის გაგორება სცადეს, მაგრამ, ვაი, ასეთ ბურთის გორებასა და ამხანაგობას... 35-ე წუთზე ისეთი დაკადაკა ატყდა, რომ შეხვედრის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. საინტერესოა, რომ თავ-პირის მტვრევაში მონაწილეობა მიიღო ყველამ: ორივე გუნდის ფეხბურთელებმა, მწვრთნელებმა და სხვა თანამშრომლებმა. მიზეზი? მავანი არაბი ფეხბურთელი ლონდონელ მარცხენა მცველს **ბენ გორდონს** უკნიდან ტყუპი ფეხით ეუხეშა... და ამ ყველაფერს, კობჰეიმში, ერთ-ერთი საგანგებო პროგრამით მიყვანილი ბავშვები უყურებდნენ.

მეტისმეტად ამხანაგურ მატჩზე მსაჯი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას ჰყავდა მივლენილი. ჰოდა, ხუთი წუთი უყურა არბიტრმა, როგორ ამტვრევდნენ მოწინააღმდეგეები ერთმანეთს ცხვირპირს და შეხვედრა გაუქმებულად გამოაცხადა. თვითმხილველნი ამბობენ, რომ არაბი ფეხბურთელები ჩხუბში კარატესა და „აი-გუგინგის" (ჩვენებურად რომ ვთქვათ, თვალის გამოჩიჩქნაა) ილეთებს იყენებენ. „ჩელსის" მთავარ მწვრთნელ **კარლო ანჩელოტის** ინციდენტი არ უნახავს...

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო | ინტერვიუ შოთა ხაბარელთან

# ხაბარელმა, გაგვიჭირდებაო

## თუმცა მაინც ოპტიმისტურადაა



შოთა ხაბარელი

**ძიუდოისტთა** ნაკრების რამდენიმე წევრი უკვე როტერდამშია. ვინც მსოფლიოს ჩემპიონატში ადრიდანვე ებმება, ისინი ჰოლანდიაში გუშინ წავიდნენ - ნესტორ ხერგიანი (60), ზაზა კედელაშვილი (66) და დავით ქევხიშვილი (73), დანარჩენები კი იმავე მიმართულებით ამ დილით გაფრინდნენ. შეგახსენებთ, სხვა წონებში საქართველოს ღირსებას ლევან ნიკლაური (81), ვალერი ლიპარტელიანი (90), ირაკლი ცირეკიძე (100) და ზვიად ხანჯალიაშვილი (+100) დაიცავენ.

ნაკრების თავკაც **შოთა ხაბარელთან** ინტერვიუს ძირითადი მიზანიც წინასაჩემპიონატო ამბებზე საუბარი იყო, თუმცა ვერც ქართულ ძიუდოში არსებულ დაპირისპირებას ავცდით. ხაბარელი, რომელიც აქამდე დიპლომატიურ დუმილს ამჯობინებდა (მიგვაჩნია, ბევრი რამ ამანაც მოიტანა - სათქმელი დროზე უნდა ეთქვა), გვპირდება, რომ ქართული ძიუდოს გადასარჩენად მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ყველაფერს იტყვის. ჩვენი ინფორმაციით, ნაროტერდამევს ქართულ ძიუდოში შექმნილი ვითარების განხილვას სპორტის მმართველ წრეებშიც აქტიურად აპირებენ. ერთი სიტყვით, წინ მართლაც ცხელი სექტემბერი გველოდება, მაგრამ მანამდე არანაკლებ ცხელი 5-დღიანი მსოფლიოს პირველობაა - 26 აგვისტოდან 30-მდე. იმედია, ჩვენი ნაკრები წარმატებით იასპარეზებს.

**- რამდენად კმაყოფილი ხართ გუნდის მომზადებით, არის ფორმის პიკში?**

- ბოლო ორი შეკრება ნორმალურად გავიარეთ და ამით კმაყოფილი ვარ. სამწუხაროდ, საბაზო შეკრება რამდენიმე სპორტსმენმა სრულყოფილად ვერ გაიარა და ცოტა პრეტენზიები ამაზე მაქვს. თუმცა სადღეისოდ გუნდის მდგომარეობა ნორმალურია და კმაყოფილი ვარ. მოსამზადებელ პერიოდში არსებული საკმაოდ სერიოზული პრობლემების მიუხედავად, მაინც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. მიმაჩნია, რომ ნორმალური გუნდი დავაყენე და შედეგსაც ველოდები.

**- საინტერესოა, როგორ შედეგს ელოდებით - წინა მსოფლიოს პირველობის მიღწევის გამეორებას, სადაც სამივე სინჯის თითო მედალი მოიპოვეთ, თუ უფრო უკეთესს?**

- იმ შედეგის გამეორება ძნელი იქნება, მაგრამ მედლების მოპოვების რეალური შანსები გვაქვს. როგორც გითხარით, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი.

**- ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ყველაზე დიდი იმედი ვალერი ლიპარტელიანია, რომელსაც მოსამზადებელ პერიოდში პატარ-პატარა ტრავმები აწუხებდა. როგორ ფორმაშია ამჟამად, გაკმაყოფილებთ მისი მომზადების დონე?**

- ახლა არანაირი ტრავმა არა აქვს და ნორმალურ ფორმაშია. მეორე შეკრების მერე მართლაც აწუხებდა პატარა ტრავმა, მაგრამ დღეს საბრძოლო ფორმაშია.

**- ირაკლი ცირეკიძეც ის გამორჩეულად საიმედო ფალავანია, რომლისგანაც ასევე დიდ წარმატებას ველით. მის მომზადებაზე რას იტყვით?**

- მიმაჩნია, რომ ძველ უთანხმოებებს მის ამჟამინდელ მომზადებაზე გავლენა არ მოუხდენია. მან მთელი მოსამზადებელი ციკლი კარგად გაიარა და სრული დატვირთვით ემზადებოდა. გითხარით, რომ საბაზო შეკრება ყველას სრულად არ გაუვლია, მაგრამ ცირეკიძე თავიდანვე ჩამოვიდა ბაკურიანში. ასეთი გულმოდგინე შრომა ეტყობა კიდეც მის სადღეისო ფორმას - კარგად გამოიყურება და ერთი პრეტენზიაც არ მაქვს.

**- ის ახალ წონაში იჭიდავებს, სადაც ახალი გარემო ხვდება. მის შანსებს როგორ შეაფასებთ?**

- ცირეკიძემ ორჯერ იჭიდავა ამ წონაში, ორჯერვე გერმანიაში და მაჩვენა, რომ ახალ წონაშიც შეუძლია წარმატებით ჭიდაობა. მისი იმედი ნამდვილად მაქვს.

**- გუნდში სპორტსმენებს შორის ურთიერთობები მოწესრიგდა?**

- ურთიერთობები მართლაც მოწესრიგდა, უკვე ერთმანეთში დამოკიდებულებაც ნორმალურია და ვითარებაც დაწყნარებული. ადრინდელთან შედარებაც არ შეიძლება, თუმცა გუნდის იქით, ქართულ ძიუდოში პრობლემები კვლავაც რჩება.

**- მათ მოსაგვარებლად პირადად თქვენზეც ბევრი რამეა დამოკიდებული. აპირებთ სიმართლე ბოლომდე თქვათ, რასაც საზოგადოება დიდი ხანია, ელის?**

- ცხადია, ვაპირებ. ბევრი რამ თავის ადგილას უნდა დადგეს - ეს დღესავით ნათელია. ამდენი წელიწადია, ნაკრებს ვხელმძღვანელობ, სპორტსმენები ამათზე უფრო ტიტულოვნებიც ყოფილან და ასაკითაც უფროსები, მაგრამ ასეთი რამ არავის გაუბედავს. თუმცა მე ნაკრებზე მეტად ფედერაციას ვადანაშაულებ და, შესაბამისად, მათზე უფრო მეტს ვილაპარაკებ, ვიდრე - ბიჭებზე. ყველაფერი ეს ქაოსი სხვებმა შექმნეს და არა სპორტსმენებმა. ფედერაციისგან მხარდაჭერა რომ არ ჰქონოდათ, ამდენი ამბავიც არ მოხდებოდა. მართალია, ფედერაციაშიც არიან სალად მოაზროვნე ადამიანები და ეს საყვედური მათ არ ეკუთვნით, მაგრამ არის მეორე ნაწილიც, რომელთა მხარდაჭერითაც მოხდა ასეთი უპრეცედენტო რამ. ძიუდოში ყოველთვის სხვანაირი დამოკიდებულება იყო - თბილი, მეგობრული, როგორიც მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობას შეჰფერის, მაგრამ ეს ყველაფერი მავანთა მხარდაჭერამ გამოიწვია. ეს აუცილებლად მისახედია და მსოფლიოს ჩემპიონატიდან დაბრუნების შემდეგ ამაზე ვილაპარაკებ. თუმცა, ისევ ვიმეორებ - ბიჭებზე ნაკლებად გავაკეთებ აქცენტს.

**- ანუ, რასაც აქამდე არ ამბობდით, ყველაფერს იტყვით?**

- კაცმა რომ თქვას, ისეთი დაფარულიც არაფერია, რაც აქამდე არ თქმულა და საზოგადოებაში არ გაჟღერებულა. მაგრამ ცხადია - რაღაცას წერტილი უნდა დაესვას, რაღაცა უნდა დასრულდეს, თორემ ეს უსასრულოდ გაგრძელდება. ასე რომ არ მოხდეს, ფედერაციას ამ მდგომარეობის შემქმნელი ხალხი უნდა მოშორდეს. საქართველოში ძიუდო ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სპორტია, რაშიც ძველებთან ერთად დიდი წვლილი დღევანდელი ნაკრების წევრებმაც, მწვრთნელთა ჯგუფმაც შევიტანეთ და მისი დანგრევის უფლება არავის გვაქვს - არც მე და არც სხვას. ვინც ამას ეცდება, ის კიდეც უნდა მოიკვეთოს ფედერაციიდან.

**ირაკლი თავაძე**

მეკლდეურობა

# ხერგიანის მემორიალი მულახში

აგვისტო მთამსვლელთათვის წლის ყველაზე ხელსაყრელი პერიოდია. ასვლების აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ამ თვეშია დაფიქსირებული. პირველი ქართული ასვლაც მყინვარწვერზე გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით აგვისტოში განხორციელდა 1923 წელს.

ბოლო ხანებში აშკარად შეიმჩნევა საქართველოში ალპინიზმის აღორძინების ტენდენცია მთამსვლელობის ეროვნული ფედერაციისა და „მაგთის" ერთობლივი ძალისხმევით. „ლელოს" 22 აგვისტოს ნომერში გაუწყეთ უშბაზე ურთულესი გზით განხორციელებული ასვლის შესახებ. გუშინ მულახიდან ახალი ინფორმაცია გადმოგვცა საქართველოს მთამსვლელობის ფედერაციის პრეზიდენტმა **გივი ქართველიშვილმა:**

— მულახში დასრულდა მიხეილ ხერგიანის მემორიალი მეკლდეურობაში თბილისის ორი, მთამსვლელობის ეროვნული ფედერაციის, ქუთაისის, ბათუმის, ლენტეხის, ყაზბეგის, მესტიის და მულახის ნაკრები გუნდების მონაწილეობით. შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ მუშაობა სწორი კურსით მიმდინარეობს და თუ ხელშეწყობა იქნება ალპინიზმსა და მეკლდეურობაში, რომელიც ქვეყნისთვის სტრატეგიული სპორტის სახეობებია, მალე დავიბრუნებთ ძველ დიდებას — თქვა ბატონმა გივიმ.

ხერგიანის მემორიალზე ყველაზე მეტი საპრიზო ადგილი პირად პირველობაში მთამსვლელთა ფედერაციის ნაკრებმა დაიმსახურა, მასვე ხვდა გუნდური პირველობაც. მეორე ადგილზე გავიდნენ მულახელები, მესამეზე — პრიზიორი გახდა თბილისის პირველი გუნდი.

**„ლელოს" კორ.**

ჩოგბურთი

# შაფათავამ დაკარგული დაიბრუნა

გუშინ ქალ ჩოგბურთელთა რეიტინგში ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება 20 წლის **სოფიო შაფათავას** შეეხო. მან 46 საფეხურით წაიწია და 354-ე პოზიციაზე გადავიდა. სხვა მხრივ კი რეიტინგში ჩვენთვის უძრაობის ხანაა: 168 (-) **ანა ტატიშვილი** - 354 ქულა; 201 (-1) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 284; 236 (-1) **მაკა ჩახნაშვილი** - 216; 354 (+46) **სოფიო შაფათავა** - 116; 487 (-7) **ეკა გორგოძე** - 69; 494 (-7) **სოფიო ქვაცაბაია** - 68; 568 (-9) **მანანა შაფაქიძე** - 49; 794 (-5) **თათია მიქაძე** - 22.



ვაჟთა კლასიფიკაცია: 646 (-) **ირაკლი ლაბაძე** - 44 ქულა; 683 (+31) **ნიკოლოზ ბასილაშვილი** - 37; 1065 (+11) **ლაზარე კუხალაშვილი** - 10; 1083 (+9) **ლადო ჩიხლაძე** - 9. თითო ქულა აქვთ და სიაში სიმბოლურად იმყოფებიან: **სოზარ გოქაძე, გიორგი ცივაძე, ნოდარ ითონიშვილი და გიორგი რევაზიშვილი.** ნიკოლოზ ბასილაშვილი კარიერაში პირველად შევიდა მე-7 ასეულში. მალე კი ის საქართველოს პირველი ჩოგანი გახდება ვაჟებში. 17 წლის ჩოგბურთელი სოჭშია, სადაც საერთაშორისო ტურნირში კარიერაში პირველად განთესეს. ბასილაშვილი ტურნირის მე-7 ჩოგანია. მისი მეტოქის ვინაობა კი საკვალიფიკაციო ბატალიების დასრულების შემდეგ გაირკვევა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პლაჟბურთი | მსოფლიო რეიტინგი

# გეორ-გია ერთით დაქვეითდა, საქა-რთველო ისევ იქაა

ფინეთის ქალაქ ალანდში დასრულებულ მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე ქართულმა წყვილებმა **გეორ-გიამ** და **საქა-რთველომ** ისევ თანაბარი, ოღონდ ამჯერად უფრო ნაკლები, 120 სარეიტინგო ქულა მიიღეს.

ქულათა ეს რაოდენობა საკმარისი არ აღმოჩნდა საქა-რთველოსთვის, რათა მსოფლიო რეიტინგში დაწინაურებულიყო. ჩვენს ქალებს ახლა 2 140 ქულა აქვთ და მე-16 ადგილზე არიან. სათავეში კი ბრაზილიური დუეტი **ანტონელი-ანტუნესია** 6 600 ქულით. საუკეთესო ათეულისგან საქართველოს ახლა 700 ქულა აშორებს - მე-10 ადგილზე მყოფ ბერძნულ დუეტ **არვანითი-ციარციანის** 2 840 ქულა დაუგროვდა..

2140 ქულა აქვს გეორ-გიასაც. ოღონდ, ჩვენი ქალებისგან განსხვავებით, გეორ-გიას ერთი საფეხურით უკან დახევამ მოუწია. სათავეში ვაჟთა რეიტინგს გერმანელები ჩაუდგნენ. **იულიუს ბრინკს** და **იონას რეკერმანს** 6 140 ქულა აქვთ. საუკეთესო ათეულს ჩვენს ფრენბურთელებს 700 ქულა აშორებთ.

ჩვენი წყვილები მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე, ჰოლანდიის ქალაქ ჰააგაში, ხვალიდან ჩაერთვებიან.

მსოფლიო რეიტინგი. ვაჟები: 1. იულიუს ბრინკი - იონას რეკერმანი (გერ) - 6 140 ქულა, 2. ალისონ ჩერუტი - ჰარლი მარკესი (ბრ) - 5 700, 3. ადრიან გავირა - პაბლო ერერა (ესპ) – 4 140, 4. ემანუელ რეგო - რიკარდო სანტოსი (ბრ) - 3 780, 5. დავიდ კლემპერერი - ერიკ კორენგი (გერ) - 3 700, 6. დიმიტრი ბარსუკი - იგორ კოლოდინსკი (რუს) -3 360, 7. 5. ფილ დალჰაუზერი - ტოდ როჯერსი (აშშ) - 3 300, 8. კრისტიან კაისი - რივო ვესიკი (ესტ) – 3 300, 9. პატრიკ ჰოიშერი - საშა ჰეიერი (შვეიც) - 3 220, 10. რიჩარდ შუილი – რეინდერ ნუმერდორი (ჰოლ) - 2 840, 16. გეორ-გია (საქ) - 2 140.

ქალები: 1.მარია ანტონელი - ტალიტა ანტუნსი (ბრ) - 6 600 ქულა, 2. ჯულიანა სილვა - ლარისა ფრანკა (ბრ) - 6 560, 3. ჯენიფერ კესი - აპრილ როსი (აშშ) - 4 860, 4. სარა გოლერი - ლაურა ლუდვიგი (გერ) - 4 580, 5. დორის შვაიგერი - სტეფანი შვაიგერი (ავსტრია) - 3 760, 6. შელდა ბედე - ანა პაულა კონელი (ბრ) - 3 360, 7. სანე კეიზერი - მარლენ ვან ლერსელი (ჰოლ) - 3 060, 8. კაროლინა სალგადო - მარია კლარა სალგადო (ბრ) - 3 020 9. ენჯი აკერსი – ტაირა თერნერი (აშშ) - 2 920, 10. ვასილიკი არვანითი – მარია ციარციანი (საბ) – 2 840 16. საქა-რთველო (საქ) - 2 140.

**ბესიკ ჯანგავაძე**



# დელისის იპოდრომის პერსპექტივა

გუშინ შევიტყვეთ, რომ დელისის ძველ იპოდრომს თბილისში ახალი პატრონი ეყოლება - ბიძინა ივანიშვილი. ეს ამბავი, თუ კიდევ არაფერი შეიცვალა, ნამდვილად სასიხარულოა, რადგან ბიზნესმენი ყველა საქმეს ქვეყნისა და ხალხის სიყვარულით ეკიდება და დელისის იპოდრომის ტერიტორიის ახალი სიცოცხლეც უთუოდ სიკეთესთან იქნება წილნაყარი.

მივიწყებული ხალხური თამაშები



# მკერდაობა

*კაპიტონ ნაჭყებიას წიგნიდან "ქართული ხალხური ცხენოსნური თამაშები"*

**მკერდაობა** აღწერილა ძველი საერო ლიტერატურის ერთ-ერთ ძეგლში, მოსე ხონელის „ამირან-დარეჯანიანში".

ეს თამაში უძველესი დროიდან არის ცნობილი განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში.

მოედანზე, სადაც ეწყობოდა ასპარეზობა, მუსიკის თანხლებით მაყურებელთა წამქეზებელი ყიჟინით აბჯარ-აბგარით შემოსილი მხედრები ცხენდაცხენ მიქროდნენ ერთმანეთისაკენ, რომ მოწინააღმდეგის ცხენი დაეძლიათ, რის შედეგად მოწინააღმდეგე იძულებული ხდებოდა, გადამჯდარიყო სხვა ცხენზე. გამარჯვებულად ითვლებოდა ის მხედარი, რომელიც ყველაზე მეტ ცხენს გაიყვანდა წყობილებიდან.

თამაშის წესი: თამაშის ჩასატარებლად შემოიხაზება ტერიტორია 12 მეტრის სიგრძით და 6 მეტრის სიგანით, ზუსტად შუაში გატარებულია ხაზი, ეს ტერიტორია წარმოადგენს საბრძოლო მოედანს. თამაშის მონაწილე მხედრები შემოდიან ნავარდით და განლაგდებიან ბრძოლისათვის შემოხაზული მოედნის გარეთ 20-25 მეტრის მოშორებით. მოედნის შუახაზთან შემოდის ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე მხედარი, დგებიან პირისპირ და მსაჯის ნიშანზე იწყებენ თამაშს.

ბრძოლა იწყება შუა წრიდან ცხენების შეტაკებით. ცხენი, რომელიც დაძლევს, ე.ი. უკუაგდებს ან გვერდით გადააგდებს მეორე ცხენს და ამრიგად იძულებულს გახდის მას მოედნიდან გავიდეს, ითვლება გამარჯვებულად.

თუ ცხენი საბრძოლო მოედანზე წაიქცა, წამქცევს ეწერება მოგების ქულა. თუ ბრძოლის დროს მხედარი გადმოვარდა ცხენიდან საბრძოლო მოედანზე, მას ეწერება წაგების ქულა. თამაშის დრო განისაზღვრება 5-6 წუთით. იმ შემთხვევაში, თუ ბრძოლა დამთავრდა მხოლოდ წრის შიგნით და არც ერთი მხედარი წრის გარეთ არ იქნა გასული, გამარჯვებულად ჩაითვლება ის, ვინც მეტი მომგებიანი ქულა დააგროვა.

მათრახი ბრძოლის დროს დასაშვებია. აკრძალულია ხელით ან ფეხით მხედრების შეხება.

## სამძიმარი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი თანაგრძნობას უცხადებს ცნობილ მსოფლიო ველომოგზაურს ჯუმბერ ლეჟავას ქალიშვილის გარდაცვალების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა


ყინულის ჰოკეი

ბათუმის თასი


მონაწილეები, მსაჯები, საპატიო სტუმრები და მასპინძლები

# დიდი სტუმრიანობა და უკრაინული გაკვეთილი

კვირას ბათუმში საზეიმო ვითარებაში საერთაშორისო ოთხთა ტურნირი დაიხურა. მაყურებელმა უკრაინელთა შესრულებით მაღალი დონის ჰოკეი იხილა. მართალია, ტურნირის დანარჩენი მონაწილეები მათთან უიმედოდ დამარცხდნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, ჰაერივით საჭირო გამოცდილება შეიძინეს და დაინახეს, რისკენ უნდა ისწრაფოდნენ.

საქართველოს ყინულის ჰოკეის ფედერაციის ხელმძღვანელობამ (პრეზიდენტი **ნუგზარ პაიკიძე**) აჭარის მთავრობის თანადგომით ყველაფერი გააკეთა, რომ ტურნირი უნაკლო ყოფილიყო. ასპარეზობის მსვლელობისას არაერთი საინტერესო სიახლე შევიტყვეთ, რომლებზეც შემდგომ ნომრებში უფრო ვრცლად ვისაუბრებთ, დღეს კი უმუალოდ "ბათუმის თასის" პერიპეტიებს გავიხსენებთ.

ტურნირის დახურვაზე ოთხივე გუნდი დაჯილდოვდა. განსაკუთრებული პრიზი, ცხადია, უკრაინელებს გადაეცათ. სპეციალური ჯილდო მიიღეს საპატიო სტუმრებმა.

გამოვლინდნენ საუკეთესოები ყველა გუნდის შემადგენლობაში: უკრაინელთაგან **მიხაილ დოლინინი** გამოარჩიეს, სომხეთის ახალგაზრდული ნაკრებიდან **აკოფ ბაირამიანი**, თბილისელთაგან **გენადი კოსიცკი**, ხოლო ბაკურიანელთაგან **კახა ამბროლავა**.

| საბოლოო ცხრილი | თ | მ | წ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. უკრაინა | 3 | 3 | 0 | 46-7 | 9 |
| 2. სომხეთი | 3 | 2 | 1 | 14-22 | 6 |
| 3. თბილისი | 3 | 1 | 2 | 11-25 | 3 |
| 4. ბაკურიანი | 3 | 0 | 3 | 6-23 | 0 |

**21 აგვისტო**

**სომხეთი–ბაკურიანი 5:3**

1:0 გევორგიანი (4:29), 2:0 გევორგიანი (6:17), 2:1 გეფერიძე (18:17), 3:1 გევორგიანი (31:48), 3:2 გეფერიძე (45:02), 3:3 გიორგი ჯეირანაშვილი (49:55), 4:3 აკოფ ბოიამიანი (56:07), 5:3 არტაკ მარტიროსიანი (59:13)

სომხეთი: 20. ჰარიუთიუნ ბალუიანი; 23. არეკ პანოსიანი, 12. ალბერტ ბოიამიანი, 3. აკოფ ბოიამიანი (კაპ.), 5. არტაკ მარტიროსიანი, 22. სამველ ხაჩატრიანი, 21. ლევონ ხაჩატრიანი, 19. ალბერტ გევორგიანი, 17. ჰაიკ მელიქსეტიანი

ბაკურიანი: 1. კახა ამბროლავა; 66. ამირან გეფერიძე, 13. გოჩა ჯეირანაშვილი (კაპ.), 68. გიორგი ჯეირანაშვილი, 55. ვახტანგ გოგიჩაიშვილი, 99. გია ოგანეზიანი, 69. დავით მინასიანი, 8. სერგო აკოფიანი, 4. შალვა ოგანეზოვი, 88. გოგა გოგოლაძე

გაძევება: გიორგი ჯეირანაშვილი (5 წთ, 2 წთ), ამბროლავა (2 წთ), აკოფ ბოიამიანი (5 წთ, 5 წთ, 2 წთ)

მსაჯი: კონსტანტინე სანიკიძე

ზამთარში ჩატარებულ "ბორჯომის თასზე" ბაკურიანელებმა სომხეთის ახალგაზრდულ ნაკრებს ორივე მატჩში უპრობლემოდ სძლიეს – 7:0 და 4:0. სომხებმა მას შემდეგ შემადგენლობა გააძლიერეს და ბათუმში აშშ-ში დაბადებულ-გაზრდილი და იქვე მოთამაშე ძმები **ბოიამიანები** იახლეს. ამ გამარჯვებისა და მეორე ადგილის ბედიც მეტწილად სწორედ მათმა ოსტატობამ გადაწყვიტა. "მიმინო" მატჩის ბოლომდე ინარჩუნებდა ანგარიშის გათანაბრების შანსს, მაგრამ მეტოქის მეკარე **ბალუიანი** სასწაულებს სჩადიოდა...

**უკრაინა–თბილისი 16:4.**

1:0 დემიანუკი (1:11), 2:0 ბურიაჩოკი (2:33), 3:0 დოლინინი (6:56), 4:0 ლიტკოვსკი (12:34), 5:0 მელნიკოვი (13:55), 6:0 მელნიკოვი (14:23), 7:0 მელნიკოვი (17:52), 8:0 დემიანუკი (24:15), 8:1 გლუხოვი (24:53), 9:1 მელნიკოვი (26:14), 9:2 გურგენიძე (31:53), 10:2 დემიანუკი (34:50), 10:3 კოსიცკი (37:48), 11:3 დოლინინი (41:16), 11:4 ნადირაშვილი (41:14, ბულიტი), 12:4 ბურიაჩოკი (43:14), 13:4 ალექსიუკი (44:20), 14:4 ბოგინოვი (54:32), 15:4 ხონინი (55:22), 16:4 ალექსიუკი (57:16)

უკრაინა: 30. ანდრეი ბეზხლებნი; 10. ევგენი მაცასი, 3. ალექსანდრ სლიუსარენკო, 12. მიხაილ დოლინინი, 19. ალექსეი მელნიკოვი, 8. ვალენტინ ალექსიუკი, 2. დენის ხონინი, 17. ვიაჩესლავ ლიტკოვსკი, 6. არტემ ბურიაჩოკი, 26. პაველ ბოგინოვი, 14 დმიტრი დემიანუკი (კაპ.)

თბილისი: 86. კონსტანტინე სანიკიძე; 29. მიხეილ დავითაშვილი, 10. დენის დავიდოვი (კაპ), 55. გიორგი გლუხოვი, 44. გენადი კოსიცკი, 11. პაატა კავკასიძე, 7. ზურაბ ნადირაშვილი, 66. დემურ გურგენიძე, 8. გუგა არჩვაძე, 4. გიორგი გიგაური, 6. ჯაბა ჩალათაშვილი

გაძევება: მელნიკოვი (2 წთ), დოლინინი (2 წთ, 2 წთ), ალექსიუკი (2 წთ), ბეზხლებნი (2 წთ)

მსაჯი: მაქსიმ ურდა (უკრაინა)

უკრაინელებმა თავიდან სრული პოტენციალი გამოავლინეს, მაგრამ მიხვდნენ, რომ გამარჯვებისთვის ბოლომდე დახარჯვა აუცილებელი არ იყო და მას შემდეგ მთელი ტურნირი ნახევარი ძალით ჩაატარეს. ამ შეხვედრაზე სათქმელი ბევრი არაფერია, უბრალოდ, ღირდა, საკუთარი თვალით გენახათ უკრაინის ახალგაზრდული ნაკრების წევრთა ოსტატობა და დამტკბარიყავით.

**22 აგვისტო. უკრაინა-სომხეთი 15:2**

სომხები მეტოქეს პირველ პერიოდში კი გაუძალიანდნენ, მაგრამ შემდეგ დაღლა დაეტყოთ და ფარ-ხმალი დაყარეს. ეს არცაა გასაკვირი, უკრაინელთა გარდა, არც ერთ გუნდს ორი სრული ხუთეულიც კი არ ჰყოლია. ამ და სხვა შეხვედრებშიც სომხეთის ნაკრებს აქტიურად ქომაგობდნენ ბათუმში დასასვენებლად მყოფი თანამემამულეები. ქართველებს კი ძირითადად მოციგურავე გოგონები გულშემატკივრობდნენ.

**თბილისი–ბაკურიანი 3:2**

1:0 კავკასიძე (36:27), 2:0 დავითაშვილი (37:18), 2:1 გიორგი ჯეირანაშვილი (42:16), 3:1 ნადირაშვილი (44:07), 3:2 ოგანეზიანი (55:40)

თბილისი: 86. სანიკიძე; 29. დავითაშვილი, 10. დ. დავიდოვი (კაპ), 55. გლუხოვი, 44. კოსიცკი, 11. კავკასიძე, 7. ნადირაშვილი, 8. არჩვაძე, 4. გიგაური, 6. ჯ. ჩალათაშვილი

ბაკურიანი: 1. ამბროლავა; 66. გეფერიძე, 13. გოჩა ჯეირანაშვილი (კაპ.), 68. გიორგი ჯეირანაშვილი, 55. გოგიჩაიშვილი, 99. ოგანეზიანი, 69. მინასიანი, 8. აკოფიანი, 4. ოგანეზოვი, 88. გოგოლაძე

გაძევება: ჩალათაშვილი (2 წთ, 2 წთ), დავითაშვილი (2 წთ), არჩვაძე (2 წთ), ამბროლავა (2 წთ), ოგანეზოვი (2 წთ, 2 წთ), გეფერიძე (2 წთ, 2 წ), გიორგი ჯეირანაშვილი (2 წთ, მატჩის ბოლომდე)

მსაჯი: მაქსიმ ურდა (უკრაინა)

ტურნირის ერთ-ერთ ყველაზე პრინციპულ მატჩს დაძაბულობა არ აკლდა. პირველი პერიოდი უგოლოდ დასრულდა, შემდეგ კი თბილისელებმა ზედიზედ ორჯერ გაიტანეს და მეტოქე ურთულეს მდგომარეობაში ჩააყენეს. ბაკურიანელებმა ბოლომდე იბრძოლეს და ანგარიშში სხვაობაც შეამცირეს, მაგრამ გათანაბრება ვეღარ შეძლეს. თამაშის ბოლოს მცირე შეხლა-შემოხლა ვიხილეთ, რომელიც, საბედნიეროდ, მალე დასრულდა. სხვათა შორის, სტატისტიკური უპირატესობა ბაკურიანელთა მხარეზე იყო, მაგრამ შესანიშნავად ითამაშა დედაქალაქელთა მეკარე **კონსტანტინე სანიკიძემ**.

**23 აგვისტო.**

**უკრაინა–ბაკურიანი 15:1**

1:0 ალექსიუკი (3:45), 2:0 დოლინინი (6:38), 3:0 ბურიაჩოკი (7:20), 4:0 მელნიკოვი (12:49), 4:1 გეფერიძე (22:00 ბულიტი), 5:1 მელნიკოვი (17:00), 6:1 დემიანუკი (28:16), 7:1 ხონინი (29:28), 8:1 ბოგინოვი (31:45), 9:1 ბოგინოვი (38:14), 10:1 დოლინინი (41;28), 11:1 ბურიაჩოკი (42:11), 12:1 დემიანუკი (43:15), 13:1 მელნიკოვი (49:50), 14:1 დემიანუკი (51:14), 15:1 დოლინინი (56:14)

უკრაინა: 30. ბეზხლებნი; 10. მაცასი, 3. სლიუსარენკო, 12. დოლინინი, 19. მელნიკოვი, 8. ალექსიუკი, 2. ხონინი, 17. ლიტკოვსკი, 6. ბურიაჩოკი, 26. ბოგინოვი, 14 დემიანუკი (კაპ.)

ბაკურიანი: 1. ამბროლავა; 66. გეფერიძე, 13. გოჩა ჯეირანაშვილი (კაპ.), 68. გიორგი ჯეირანაშვილი, 55. გოგიჩაიშვილი, 99. ოგანეზიანი, 69. მინასიანი, 8. აკოფიანი, 88. გოგოლაძე

გაძევება: ხონინი (2 წთ), ლიტკოვსკი (2 წთ), ბოგინოვი (2 წთ), მინასიანი (2 წთ)

მსაჯი: მაქსიმ ურდა (უკრაინა)

ბაკურიანელებმა წამყვანი მცველი **შალვა ოგანეზოვი** მოისაკლისეს, რომელმაც წინა მატჩში ფეხი დაიშავა და ტურნირი ნაადრევად დაასრულა. უკრაინელებმა ამჯერადაც ასიამოვნეს მაყურებელს შესანიშნავი თამაშით, "მიმინომ" კი მედგრად იბრძოლა და მაქსიმალურად შეეცადა, კატასტროფული სხვაობა თავიდან აეცილებინა.

**სომხეთი–თბილისი 7:4**

1:0 აკოფ ბოიამიანი (6:50), 1:1 ნადირაშვილი (7:35), 2:1 აკოფ ბოიამიანი (14:10), 3:1 გევორგიანი (20:25), 4:1 გევორგიანი (31:48), 4:2 კოსიცკი (41:20), 4:3 კოსიცკი (41:50), 5:3 გევორგიანი (57:40), 5:4 კავკასიძე (50:01), 6:4 გევორგიანი (57:40), 7:4 გევორგიანი (59:30)

სომხეთი: 20. ბალუიანი; 23. პანოსიანი, 12. ალბერტ ბოიამიანი, 3. აკოფ ბოიამიანი (კაპ.), 5. მარტიროსიანი, 22. სამველ ხაჩატრიანი, 21. ლევონ ხაჩატრიანი, 19. გევორგიანი, 17. მელიქსეტიანი

თბილისი: 86. სანიკიძე; 29. დავითაშვილი, 10. დ. დავიდოვი (კაპ), 55. გლუხოვი, 44. კოსიცკი, 11. კავკასიძე, 7. ნადირაშვილი, 8. არჩვაძე, 4. გიგაური, 6. ჯ. ჩალათაშვილი, 66. გურგენიძე

გაძევება: დავიდოვი (2 წთ, 2 წთ), დავითაშვილი (2 წთ), არჩვაძე (2 წთ), კავკასიძე (2 წთ), ალბერტ ბოიამიანი (5 წთ, მატჩის ბოლომდე), ს. ხაჩატრიანი (2 წთ), პანოსიანი (2 წთ)

მსაჯი: მაქსიმ ურდა (უკრაინა)

ტურნირის კულმინაცია კი თბილისელთა და სომეხთა დაპირისპირება იყო. ჩვენს გუნდს შეეძლო, სატურნირო ცხრილში ერთი სტუმრისთვის მაინც გაესწრო, რაც, სამწუხაროდ, ვერ მოახერხა. მარცხი ნაწილობრივ საკადრო პრობლემების ბრალიც იყო. თბილისში დაბრუნება მოუხდა თბილისელთა უკრაინელ ლეგიონერ **გიორგი გლუხოვს**, მატჩის მსვლელობისას კი თავი გაუტყდა **ჯაბა ჩალათაშვილს**.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ავტორის ფოტო

კალათბურთი

სატრანსფერო სიახლენი

# რუსებმა ცინცაძეს გზა შეუკრეს ...ბერძნებმა გაუხსნეს

გასულ კვირას გამცნეთ - **გიორგი ცინცაძე** ესტონური "ტარტუ როკიდან" რუსულ „ენისეიში" გადავიდა. დღეს „ბუზე" (ცინცაძის მეტსახელი) ახალ საკონტრაქტო ამბავს მოგახსენებთ - მან კრასნოიარსკის „ენისეისთან" კონტრაქტი გაწყვიტა და ბერძნულ "ტრიკალაში" გადავიდა.

რუსულ კლუბთან დამშვიდობების მიზეზი მეზობელ ქვეყანასთან გართულებული პოლიტიკური სიტუაციაა. აი, რა თქვა „ენისეის" დირექტორმა **ვლადიმირ პეტროკოვსკიმ**:

- მართალია, ქართველ ლეგიონერ გიორგი ცინცაძესთან კონტრაქტი გავაფორმეთ, მაგრამ იგი მომავალ სეზონში ჩვენი კლუბის ღირსებას ვერ დაიცავს. გიორგის სავიზო პრობლემები შეექმნა. მას რუსეთის ვიზა არ მისცეს. ამ საკითხის მოსაგვარებლად სამთავრობო სექტორიც ჩავრთეთ, მაგრამ დადებით შედეგს ვერ მივაღწიეთ.

როგორც იტყვიან, ცინცაძეს შარი ხეირად ექცა – იგი საბერძნეთის ჩემპიონატში ითამაშებს, რომელიც ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა. შესაბამისად, „ბუს" თავის გამოჩენის უკეთესი შანსი მიეცემა. რუსეთის ჩემპიონატში კი ხან ერთ გუნდს ექმნება ფინანსური პრობლემები, ხან – მეორეს...

ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 3-4 წლის წინათ ცინცაძემ რუსეთის რამდენიმე კლუბი მოიარა ("სამარა", "ურალ გრეიტი", ცსკა, "დინამო", მაგრამ სათანადოდ ვერსად აეწყო. სხვათა შორის, "ტრიკალას" ამჟამინდელი მწვრთნელი **ვანგელის ანგელოუ** მოსკოვის "დინამოში" **დუშან ივკოვიჩის** ასისტენტი სწორედ მაშინ იყო, როდესაც ცინცაძე ამ გუნდში თამაშობდა.

**ვაჟა სიმონიშვილი**


გიორგი ცინცაძე

# ტომარაძე მონსონში

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მსროლელი **კოკა ტომარაძე** მომავალ სეზონში ესპანური "მონსონის" ღირსებას დაიცავს. იგი გასულ სეზონში "საბადელის" შემადგენლობაში განათხოვრებით თამაშობდა, კონტრაქტით კი "ბარსელონას" ეკუთვნოდა. ამ ზაფხულს კოკამ "ბარსასთან" კონტრაქტი გაწყვიტა და "მონსონში" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა.

ესპანურმა გამოცემა "რადიო უესკამ" ქართველის ტრანსფერთან დაკავშირებით მცირე სტატია გამოაქვეყნა, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

"19 წლის, 197 სმ სიმაღლის ქართველი უკანახაზელი კოკა ტომარაძე EBA-ს ლიგაში "მონსონის" ღირსებას დაიცავს.

ტომარაძე სწრაფად მზარდი კალათბურთელია და შეუძლია თამაში როგორც პერიმეტრზე, ასევე ფართან სიახლოვეს. თუმცა მისთვის ოპტიმალური ვარიანტი მსროლელის ამპლუაა. კოკა ყოველ მატჩში 5-6 სამქულიანს იყენებს, არც სროლის სიზუსტე დაეწუნება – მინიმუმ 40-პროცენტიანი სიზუსტით სტყორცნის.

"მონსონის" მწვრთნელ, **ხორხე სერნას** ეიმედება, რომ EBA-ს ლიგაში ტომარაძე გუნდს წარმატების მიღწევაში დაეხმარება. გასულ სეზონში "მონსონმა" შეჯიბრება სატურნირო ცხრილის შუაში დაასრულა – 16 მატჩი მოიგო, 14 - წააგო.

კადეტთა ასაკიდან კოკა ტომარაძე საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრების წევრია. მან 2004 წელს 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მიიღო მონაწილეობა, 2008-09 წლებში კი ანალოგიურ შეჯიბრებაში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ღირსებას იცავდა.

ქართველი მსროლელი ესპანეთში ხუთი წლის წინ ჩამოვიდა და ტენერიფეს "არონაში" თამაშობდა. იმ დროს არონელთა ღირსებას ძმები **სემბები, მალიკი** და **ფალი** იცავდნენ... მომდევნო სეზონში კოკა "ბარსელონაში" გადავიდა და ესპანურ გრანდში ოთხი წელი გაატარა. გასულ სეზონში იგი "საბადელში" განათხოვრებით თამაშობდა.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი

ინტერვიუ გიორგი ჩხაიძესთან

# იმედი მაქვს, მწყობრში მალე ჩავდგები

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატში ორი ტურის შეხვედრები გაიმართა. ელიტურ პირველ დივიზიონში საქართველოს ნაკრებისა და "მონპელიეს" პირველხაზელი გიორგი ჩხაიძე დებიუტანტია. მიუხედავად ამისა, "ბინგომ" ორივე შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშა.**


მარჯვნივ - გიორგი ჩხაიძე

- ჩემპიონატის ორივე მატჩში ნორმალურად ვითამაშე, – გვიამბობს გიორგი ჩხაიძე – ნელ-ნელა ვეჩვევი გარემოს, თანაგუნდელებს. ვერ ვიტყვი, რომ ყველაფრით, თუნდაც ჩემი თამაშის ხარისხით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ვფიქრობ დროთა განმავლობაში ვითარება უკეთესობისკენ აუცილებლად შეიცვლება.

**- პირველი შეხვედრა სტუმრად "ბრივთან" იოლად დათმეთ. რა იყო ამის მიზეზი?**

-"ბრივმა" სტატიკურ მდგომარეობაში თამაშში აშკარად დაგვჯაბნა. შერკინება და დერეფანი მთლიანად წავაგეთ. თავიდანვე ძალიან გაგვიჭირდა და მერე სულ მთლად ავირიეთ. თამაში ვერაფრით დავალაგეთ. ხანდახან ასეც ხდება ხოლმე.

**- იმ შეხვედრიდან გამომდინარე, ფრანგულმა პოპულარულმა გაზეთმა "ეკიპმა" დავით ხინჩაგიშვილი ტურის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელა. ასე კარგად ითამაშა დათომ?**

- ძალიან კარგად ითამაშა. ხინჩაგა მარცხენა ბურჯის პოზიციაზე იდგა პირველ ხაზში. უკვე ვთქვი, შერკინებამ დაგვაჯაბნა-მეთქი. რაც იქ ხდებოდა, ეს მსუბუქად ნათქვამია. დათო მართლაც საუკეთესო იყო გუნდში.

**- ამ, შეიძლება ითქვას, ფიასკოს შემდეგ შინ საფრანგეთის ჩემპიონი "პერპინიანი" დაამარცხეთ. რამ გამოიწვია გუნდის ასეთი სახეცვლილება?**

- ალბათ, უფრო იმან, რომ საკუთარ მოედანზე ვთამაშობდით. ეს ფაქტორი ჯერაც დიდად მოქმედებს გუნდებზე. შინ ჩვენი გუნდი ბევრად უკეთ თამაშობს. მერე, ვერც კატალონიელებმა ითამაშეს ისე, როგორც სჩვევიათ. სამი საჯარიმო გაუცუდდათ და მატჩის შედეგზე ამანაც იმოქმედა.

**- რატომ არ ითამაშა განვლილ ორ ტურში თქვენმა თანაგუნდელმა მამუკა გორგოძემ?**

- მამუკას ტრავმა აწუხებს. ერთ-ერთი საწვრთნელი თამაშის დროს ფეხი დაიზიანა. ახლა უკეთაა, ვარჯიშობს კიდეც, მაგრამ ექიმები ურჩევენ, მინიმუმ ორი კვირა არ ითამაშოს. მოწინააღმდეგესთან კონტაქტი ჯერაც არ შეიძლება.

**- "მონპელიე" სეზონის წინ რამდენიმე წამყვანმა მორაგბემ დატოვა, თუმცა არც შევსება გქონდათ ცუდი. რა მიზნები დაგისახათ მიმდინარე ჩემპიონატში გუნდის ხელმძღვანელობამ?**

- თავიდან ექვსეულში გვინდოდა მოხვედრა, მაგრამ ძალიან ბევრი წამყვანი მოთამაშე დაგვემტვრა. დაშავებულთა ოდენობა ყოველი ტურის შემდეგ იზრდება და იზრდება. ეს, ცხადია, თამაშის ხარისხზე გავლენას ახდენს. ამ შემადგენლობით, რომლითაც ეს ორი ტური ვითამაშეთ, ექვსეულში მოხვედრა ძალიან გავიჭირდება.

**- ნოემბერში ქართული რაგბის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული ნაკრები ორ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს არგენტინისა და იტალიის A ნაკრებებთან. იმედი გვაქვს, ბორჯღალოსანთა რიგებს არ დააკლდებით.**

- გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. "პერპინიანთან" შეხვედრაში ხელი ვიტკინე. მაჯაში პატარა ძვალია და ის გავიტეხე. მინიმუმ ერთი თვე ვერ ვითამაშებ. გამორიცხული არაა, ოპერაციის გაკეთება დამჭირდეს. ამ შემთხვევაში სამი თვით მომიწევს დასვენება. შესაბამისად, ალბათ, ნაკრებშიც ვერ შევძლებ თამაშს.

"მონპელიეში" ახალწვეული ვარ და თამაში თავიდანვე ძირითად შემადგენლობაში დავიწყე, რაც ხშირად არ ხდება. დასანანია, რომ სწორედ ამ დროს მივიღე ასეთი ტრავმა, თუმცა უკეთესის იმედი მაქვს და ვფიქრობ, მწყობრში მალე დავბრუნდები.

ბესიკ ჯანგავაძე

ლეგიონერები

# მეორედივიზიონელები მზად არიან


მამუკა მაგრაქველიძე

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტური, მეორე დივიზიონის ქართველ მორაგბეთა კლუბებმა ბოლო საწვრთნელი შეხვედრები გამართეს.

**ანტონ ფეიქრიშვილისა** და **ირაკლი მაჩხანელის** "აჟენმა" ინგლისურ "სარასენზს" უმასპინძლა და 23:33 დამარცხდა. ფეიქრიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 45-ე წუთზე შეცვალეს. მაჩხანელი მოედანზე მეორე ნახევრიდან გამოჩნდა.

საკუთარ მოედანზე დაამარცხა თანადივიზიონელი "კოლომიე" **ლევან დათუნაშვილის** "ორიაკმა" - 26:16. "ჩაქუჩა" თამაშში 57-ე წუთიდან ჩაერთო.

შინ მოუგო ფედერალ 1 დივიზიონში მოასპარეზე "ლურდს" **მამუკა მაგრაქველიძის** "ტარბმა" – 41:14. "კირვანა" ძირითად შემადგენლობაში იყო და 61-ე წუთზე შეცვალეს.

შეგახსენებთ, რომ მეორე დივიზიონში გათამაშება 29 აგვისტოს დაიწყება.

ბესიკ ჯანგავაძე

ტრანსფერები

# ჩვენი კაცი შოტლანდიაში

იმ ქვეყნების საკმაოდ გრძელ სიას, სადაც ქართველი მორაგბეები ირჯებიან კიდევ ერთი - შოტლანდია შეემატა. ახლახან ამ ქვეყნის პრემიერ 1 დივიზიონში მოასპარეზე "დანდისთან" ხელშეკრულება გააფორმა საქართველოს ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერის, თბილისის "ლელოს" პირველხაზელმა **შოთა ცხოვრებაშვილმა.**

შოტლანდიის ჩემპიონატი რეგიონული პრინციპით ტარდება. სულ ორი დივიზიონია: პრემიერ და ნაციონალ დივიზიონები, რომლებიც, თავის მხრივ, სამ-სამ ჯგუფადაა დაყოფილი. რანგით უფრო მაღალი, ცხადია, პრემიერ დივიზიონია.

კიდევ ერთი ქართული ტრანსფერი განხორციელდა საფრანგეთში. შერკინების პირველხაზელმა **ავთანდილ კოპალიანმა** კონტრაქტი გააფორმა ფედერალ 1 დივიზიონში მოთამაშე "ორლეანთან". კოპალიანი აქამდე ელიტურ, მეორე დივიზიონში მოასპარეზე "კოლომიეში" ირიცხებოდა.

ბესიკ ჯანგავაძე

ჭადრაკი

# ისინი ნანგბოში ითამაშებენ

ორი სექტემბრიდან ჩინეთში მოჭადრაკე ქალთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება, რომელშიც სხვადასხვა კონტინენტის 10 უძლიერესი ნაკრები იასპარეზებს. ბოლო მომენტში კუბელებმა შეჯიბრებაში მონაწილეობაზე უარი თქვეს, ამიტომ ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ მასპინძლებს მეორე გუნდის გამოყვანის უფლება მისცა, ხოლო ალჟირელთა უსუსტესი ნაკრები ვიეტნამელებით ჩაანაცვლა, თუმცა რეიტინგით ვერც ისინი უწევენ მეტოქეობას სხვებს და მოპაექრეთა შორის მე-10 პოზიცია უკავიათ. 2490 ქულით სათავეში ჩინეთის პირველი ნაკრებია, რომელსაც 16 პუნქტით ჩამორჩება 2008 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული საქართველოს გუნდი. 2471 ქულით მესამე ადგილზე რუსები არიან.

ბრძენთა თამაშის მოყვარულთათვის, ალბათ, საინტერესო იქნება არა მარტო გუნდების საშუალო რეიტინგი, არამედ ის შემადგენლობები, რომლებითაც ნანგბოში მედლებისთვის იბრძოლებენ:

1. **ჩინეთი-1** (2490): ჰოუ იფანი (2584), ჟაო სიუ (2544), შენ იანი (2453), ჟუ ვენიუნი (2443), ჰუან ქიანი (2424).

2. **საქართველო** (2474): მაია ჩიბურდანიძე (2506), ნანა ძაგნიძე (2541), ლელა ჯავახიშვილი (2463), მაია ლომინეიშვილი (2447), სოფიო ხუხაშვილი (2424).

3. **რუსეთი** (2471): ტატიანა კოსინცევა (2539), ნადეჟდა კოსინცევა (2482), ელენა ტაიროვა (2450), მარინა რომანკო (2447), ვალენტინა გუნინა (2437).

4. **უკრაინა** (2444): ანა უშენინა (2478), ნატალია ჟუკოვა (2461), ინა იანოვსკა (2428), მარია მუზიჩუკი (2441), ნატალია ზდებსკა (2412).

5. **ინდოეთი** (2390): ჰარიკა დრონავალი (2474), ტანია საჩდევი (2423), კრუტიკა ნადიგი (2361), ეიშა კარავადი (2359), მერი ენ გომესი (2332).

6. **პოლონეთი** (2378): ივეტა რაილიჩი (2448), იოლანტა ზავადსკა (2387), იოანა მაიდანი (2382), იოანა დვორაკოვსკა (2345), კარინა ჟერკოვსკა-პოროვსკა (2327).

7. **სომხეთი** (2372): ელინა დანიელიანი (2503), ლილით მკრტიჩიანი (2479), ლილით გალოიანი (2323), ნელი აგინიანი (2322), სირანუშ ანდრიასიანი (2235).

8. **აშშ** (2372): ირინა კრუში (2458), ანა ზატონსკიხი (2466), რუსუდან გოლეთიანი (2391), ალისა მელიოხინა (2270), თათევ აბრაჰამიანი (2273).

9. **ჩინეთი-2** (2356): თან ჟონგი (2435), ჟან სიაოვენი (2391), ვან იუ (2380), დინ ისინი (2343), ვან სიაოჰუი (2231).

10. **ვიეტნამი** (2177): ჰოანგ თი ბაო თრამი (2274), ფამ თაო ნგუენი (2314), ჰოანგ თი ნჰუი (2119), ფამ ბიჩ ნგოკი (2105), ვო თი კიმ ფუნგი (2073).

საქართველოს ნაკრები ჩინეთში 28 აგვისტოს გაემგზავრება.

# აზმაიფარაშვილმა, შესაძლოა, აზერებს უკაპიტნოს



აზერბაიჯანის მოჭადრაკე ვაჟთა ნაკრები აქედანვე ინტენსიურად ემზადება ევროპის წლევანდელი გუნდური ჩემპიონატისთვის. აზერთა ამასწინანდელი განცხადებით, ისინი ვაჟთა გუნდის კაპიტანს უცხოელ სპეციალისტთა შორის ეძებდნენ. როგორც ჩანს, მიაკვლიეს კიდეც: აზერბაიჯანის ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის **მაირ მამედოვის** ცნობით, ამ თანამდებობაზე ჯერჯერობით ერთი კანდიდატი ჰყავთ — ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი, ევროპის ჩემპიონი, ქართველი დიდოსტატი **ზურაბ აზმაიფარაშვილი,** რომელიც ერთხანს ჩვენი მეზობლების უძლიერეს მოჭადრაკეს — **თეიმურ რაჯაბოვს** ავარჯიშებდა. მოსალაპარაკებლად ზურაბ აზმაიფარაშვილი ბაქოს 2-3 სექტემბერს ეწვევა. შეთანხმების შემთხვევაში, ქართველი დიდოსტატი აზერბაიჯანის ვაჟთა ნაკრებს კონტინენტის პირველობაზე უკაპიტნებს.

# ანა ლიდერებშია

ბარსელონაში მოჭადრაკეთა დიდ საერთაშორისო ტურნირზე ზედიზედ მესამე პარტია მოიგო დიდოსტატმა **ანა მათნაძემ.** ამჯერად მან **ეინარ გასტელანო** დაამარცხა. ძლიერი მეტოქე შეხვდა **სოფიო გურამიშვილს** — შეჯიბრებაზე მე-4 ნომრად განთესილი **სერგეი გრიგორიანცი.** ორთაბრძოლა სომეხი მოჭადრაკის გამარჯვებით დამთავრდა.

3 ტურის შემდეგ უდანაკარგოდ ერთბაშად 27 დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი მეწინავეობს, მათ შორის — ანა მათნაძე, რომელიც მე-4 ტურში შავი ფიგურებით **ვიაჩესლავ იკონიკოვს** დაუპირისპირდება, სოფიო გურამიშვილს (2 ქულა) **დავით ვიგო** შეხვდება.

საბერძნეთის საერთაშორისო ტურნირზეც სამი ტური გათამაშდა, ოღონდ აქ უდანაკარგოდ დაწინაურებულთა რიცხვი საგრძნობლად ნაკლებია. 3-3 ქულა ხუთმა მოჭადრაკემ მოაგროვა — სერბმა **სინიცა დრაჟიჩმა,** ინდოელმა **არუნ პრასადმა,** გერმანელმა **შტეფან ბრომბერგმა,** პოლონელმა **პაველ იარაჩმა** და თურქმა **მერთ ერდოგდუმ.** მესამე ტურში **თამაზ გელაშვილი** სწორედ ბრომბერგმა დაგვიმარცხა თეთრი ფიგურებით, დრაჟიჩმა კი **ნიკოლოზ შავთვალაძეს** სძლია. **ლევან აროშიძე ბარტ მიჩელს** დაუზავდა.

მე-4 ტურში გელაშვილი (2 ქულა) **ანტონიოს პავლიდისს** ეთამაშება, ლევან აროშიძე (2,5) — **სტამატის აგირუდისს,** ნიკოლოზ შავთვალაძე (2) კი **ფოტინი პამბალუს** გამოცდის.

# ალმართი ანი იწყება

ერთბაშად 14 ქართველი მოჭადრაკე მონაწილეობს საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც იზმირი მასპინძლობს. სულ კი სხვადასხვა ქვეყნის 265 წარმომადგენელი ჩაება ორთაბრძოლებში.

ჩვენებურებმა (**დავით ჯოჯუა, დავით მალალაშვილი, შოთა აზალაძე, ივერი ჭილლაძე, მაკა ფურცელაძე, დავით ლომსაძე, ნინო ბაციაშვილი, გაიოზ ნიგალიძე, მალხაზ სულაშვილი, კონსტანტინე შანავა, ბაჩანა მორჩიაშვილი, ბელა ხოტენაშვილი, თამარ წერეთელი, არტემ გრიგორიევი**) პირველი სამი ტური, ფაქტობრივად, ერთი ამოსუნთქვით გადაირბინეს — მხოლოდ მორჩიაშვილმა დაკარგა ნახევარი ქულა. სამაგიეროდ, მე-4 ტურიდან, ასე ვთქვათ, ალმართს შეუდგებიან და დანაკარგთა რაოდენობაც გაიზრდება.

ქართველი მოჭადრაკეები მე-4 ტურში ასე დაწყვილდნენ:

**დავით ჯოჯუა-ბელა ხოტენაშვილი; თამარ წერეთელი-ლევონ ბაბუჯიანი; კონსტანტინე შანავა-მაკა ფურცელაძე; დავით ლომსაძე-დავით მალალაშვილი; ფარხან მოჰანადი-გაიოზ ნიგალიძე; მალხაზ სულაშვილი-ტურჩან ილმაზი; შოთა აზალაძე-ნინო ბაციაშვილი; ივერი ჭილლაძე- არმენ გრიგორიევი; ბაჩანა მორჩიაშვილი (2,5)-ანარ ალიაკბაროვი.**

ვაჟა დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA.

სეზონის წინ

# დასავლეთი 2010: ელიტა



**გასულ სეზონთან შედარებით, დასავლეთ კონფერენციაში ძალთა თანაფარდობა არ შეცვლილა. ლიდერად კვლავ "ლოს ანჯელეს ლეიკერსი" უნდა მივიჩნიოთ, დანარჩენი გუნდები კი, როგორც ეს აღმოსავლეთი კონფერენციის შემთხვევაში გავაკეთეთ, ხუთ ჯგუფად უნდა დავყოთ. დღეს დასავლეთის ელიტას გავიცნობთ.**

## ლოს ანჯელეს ლეიკერსი

ეს გუნდი ჩემპიონი გახდა ისე, რომ პლეი ოფში **ენდრიუ ბინუმისგან** პრაქტიკულად არანაირი დახმარება არ მიუღია. თუ ახალგაზრდა ცენტრი უმძიმესი ტრავმის შემდეგ აღიდგენს სპორტულ ფორმას და ძველ დონეზე ათამაშდება, "ლეიკერსი" ძალიან ძლიერი გუნდი გახდება.

რაც შეეხება ჩემპიონის რიგებში ამ ზაფხულს მიმდინარე მოვლენებს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში **ტრევორ არიზას რონ არტესტით** შეცვლა უნდა გამოვყოთ. არტესტი რთული ხასიათით გამოირჩევა, გასულ სეზონში შეტევაში თამაშს უკლო, მაგრამ დაცვაში კვლავაც უძლიერეს სპეციალისტად რჩება და თან უკეთ ისვრის, ვიდრე არიზა. გასული პლეი ოფის მატჩებს თუ არ ჩავთვლით, ტრევორი სამქულიანებს დაბალი - 29 პროცენტის სიზუსტით აგდებდა და მხოლოდ სეზონის ბოლოს გამოასწორა ეს მაჩვენებელი. როგორც ჩანს, უბრალოდ, სროლა ნაუვიდა.

არტესტთან ხუთწლიანი კონტრაქტის გაფორმება, შესაძლოა, ბოლომდე გამართლებული ნაბიჯი არ იყოს, მაგრამ უახლოეს პერსპექტივაში "ლეიკერსი", რა თქმა უნდა, კიდევ უფრო გაძლიერდება. იმის გათვალისწინებით, რომ კლუბმა შეინარჩუნა **ლამარ ოდომი** და **შენონ ბრაუნი**, აგრეთვე მოელაპარაკა მთავარ მწვრთნელ **ფილ ჯექსონს** და ის გუნდში დაიტოვა, ეს ზაფხული "ლეიკერსისთვის" საკმაოდ წარმატებულად უნდა ჩაითვალოს.

კალიფორნიელებს იმ მხრივადაც უმართლებთ, რომ გუნდი დასავლეთ კონფერენციაში თამაშობს. აღმოსავლეთში სამი ძლიერი კონკურენტია - "ორლანდო", "ბოსტონი" და "კლივლენდი" და მათ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა მოსალოდნელი. "ლეიკერსი" კი სავარაუდოდ, მშვიდად მოიპოვებს NBA-ის ფინალური სერიის საგზურს და გადამწყვეტ დაპირისპირებაში ზემოთ ნახსენები სამეულიდან ერთ-ერთს შეხვდება.

■ ■ ■

შევთანხმდით, რომ დასავლეთის ელიტაში "ლეიკერსი" განცალკევებით დგას. ახლა კი ის გუნდები ჩამოვთვალოთ, რომლებსაც შეუძლიათ კონკურენცია გაუწიონ მოქმედ ჩემპიონს. ასეთი სამი გუნდია.

## სან ანტონიო სპურსი

ერთი შეხედვით, "სპურსი" დასავლეთში მეორე გუნდია და კონფერენციაში "ლეიკერსის" დამარცხების ყველაზე დიდი შანსი აქვს. "სან ანტონიომ" ყველა მნიშვნელოვანი ფიგურა შეინარჩუნა და თან **რიჩარდ ჯეფერსონი** და **ანტონიო მაკდაესი** დაიმატა. ეს კი სასტარტო ხუთეულის შეტევითი პოტენციალის გაზრდას ნიშნავს. სწორედ ეს სჭირდებოდა გუნდს ბოლო პერიოდში. დაუმატეთ ამას დრაფტზე აყვანილი "თავხედი" ფორვარდი **დეჟუან ბლერი** და ტრავმის შემდეგ მომჯობინებული **იან მაინმი. გრეგ პოპოვიჩმა** როტაციის კარგი საშუალება მიიღო.

ამ დადებითი ელემენტების წარმატებით ამოქმედება მეტწილად იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ ითამაშებენ გუნდის ვარსკვლავები. **ტიმ დანკანი** და **მანუ ჯინობილი** შარშანდელი სეზონის ბოლოს გატყდნენ. ძნელი დასაჯერებელია, რომ მათ ასაკში ისინი იმ ფორმას დაიბრუნებენ, რომელიც საჩემპიონო წლებში ჰქონდათ და მთელი სეზონი უმაღლეს დონეზე ითამაშებენ, მაგრამ ნურც ის დაგვავიწყდება, რომ "ბებრები" ხანდახან ბრუნდებიან.

## დენვერ ნაგეტსი

გასულ გაზაფხულზე "ნაგეტსმა" პლეი ოფში გვარიანად ანერვიულა "ლეიკერსის" კალათბურთელები და კალიფორნიელი გულშემატკივრები. ყველამ დაინახა ამ გუნდის პოტენციალი, მაგრამ ზაფხულში პრობლემები შეიქმნა. წარმატებული სეზონის მიუხედავად, "დენვერი" ყველაზე შემოსავლიან გუნდად არ ითვლება და კლუბმა უკვე გადააჭარბა სახელფასო ბიუჯეტის ზღვარს. ასე რომ, გუნდის ხელმძღვანელები თანხებს ფრთხილად უნდა მოეპყრნენ. შედეგად, **ლინას კლეიზა** და **დანტეი ჯონსი** შესაბამისად "ოლიმპიაკოსში" და "ინდიანა პეისერსში" გადავიდნენ.

მაგრამ "ნაგეტსის" ექვსი საუკეთესო კალათბურთელი შემადგენლობაში დარჩა, მათ შორის **კრის ანდერსენიც**. ტრეიდების წყალობით დაიმატეს კარგი გამთამაშებელი **ტაი ლოუსონი** და **არონ აფლალო**. დღეს ვერავინ მოჰყვება იმის მტკიცებას, რომ დამდეგ სეზონში "დენვერი" ისევ გაიბრწყინებს პლეი ოფში, მაგრამ თუ გუნდის ლიდერები მწყობრში იქნებიან და სერიოზულ ტრავმებს აიცილებენ თავიდან, კოლორადოს სავსებით შეუძლია კიდევ ერთი საინტერესო გაზაფხულის იმედი ჰქონდეს.

## პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი

ბევრი სპეციალისტი "ბლეიზერსს" არ განიხილავს დასავლეთ კონფერენციაში მაღალი მიზნებისთვის მებრძოლ გუნდად, მაგრამ არც ასეთი კატეგორიულობა ვარგა. გასულ სეზონში "ყველა ვარსკვლავის მატჩის" შემდეგ "პორტლენდს" მოპოვებულ და გაშვებულ ქულებს შორის ყველაზე კარგი სხვაობა ჰქონდა. ESPN-ის მიმომხილველ **ჯონ ჰოლინგერის** აზრით, ეს მაჩვენებელი უფრო ნათლად წარმოაჩენს გუნდის მომავალს, ვიდრე მოგება-წაგების შეფარდება.

2008-09 წლების პლეი ოფში "პორტლენდი" პირველივე რაუნდში გავარდა, მაგრამ ახლა მისგან პროგრესს ელიან. კლუბში მივიდა **ანდრე მილერი**, რომელიც მნიშვნელოვნად გააძლიერებს უკანა ხაზს, **მარტელ უებსტერიც** ტრავმის შემდეგ უნდა დაუბრუნდეს გუნდს. ერთადერთი დანაკლისია **ჩენინგ ფრაი**, რომელიც გასული სეზონის ბოლოს ისედაც ამოვარდა როტაციიდან.

ლიგის ყველაზე ახალგაზრდა და ნიჭიერმა გუნდმა პლეი ოფში თამაშის საჭირო გამოცდილება მიიღო და საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა. ამ გუნდს უნდა დავაკვირდეთ და მისგან სიუპრიზებს ველოდოთ.

# ბოსტონი ალენს იტოვებს



"ბოსტონ სელტიქსის" ხელმძღვანელობა მოლაპარაკებებს აწარმოებს ნამყვან მცველ **რეი ალენთან**, რომელსაც 2008 წლის ჩემპიონთან მომავალი სეზონის ბოლოს უმთავრდება კონტრაქტი. "კელტებს" ვეტერანი კალათბურთელის შენარჩუნება სურთ, მაგრამ პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ რეის არ ხიბლავს თავის ქალიშვილთან ხანგრძლივი განშორება, რომელიც ჩრდილოეთ კაროლინაში ცხოვრობს. როგორც ალენი ამბობს, მას სურს უფრო ხშირად ხედავდეს ბავშვს და ამიტომაც ჯერ არ განუცხადებია თანხმობა კლუბის ახალ წინადადებაზე.

მიუხედავად ამისა, "სელტიქსის" გენერალური მენეჯერი **დენი ეინჯი** აცხადებს, რომ მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს და სულ მალე, მხარეები პრინციპულ შეთანხმებას მიაღწევენ.

ჩოგბურთი

# ფედერერი მზადაა

მსოფლიოს წამყვანმა ჩოგბურთელებმა ამერიკის ღია პირველობისთვის მზადება დაასრულეს. და კვლავ, "დიდი სლემის" რიგით მეოთხე ტურნირის წინ მთავარ ფავორიტად მსოფლიოს პირველი ჩოგანი **როჯერ ფედერერი** გვევლინება. მან ეს სტატუსი ცინცინატის მასტერსის მოგებით მიიღო.

ფინალში შვეიცარიელის მეტოქე სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** იყო, რომელსაც ურთიერთშეხვედრებში 7:4-ს უგებდა. ნოვაკმა თავად აღიარა, რომ ამ სეზონში საუკეთესო თამაში სწორედ ცინცინატიში აჩვენა, ამიტომაც ჩოგბურთის მოყვარულებს იმედი ჰქონდათ, რომ ფინალში საინტერესო ბრძოლას იხილავდნენ, მაგრამ პირველმა სეტმა მათი მოლოდინი არ გაამართლა.

როჯერმა დამაჯერებლად დაიწყო შეხვედრა - საკუთარ მოწოდებაზე პირველი გეიმი იოლად აიღო, მეორეში კი მეშვიდე ბრეიკ-პოინტიდან მეტოქის მოწოდებაც მიითვალა და 2:0 დაწინაურდა. ასეთი დასაწყისის შემდეგ ჯოკოვიჩი დიდხანს ვერ მოვიდა გონს და პირველი გეიმი 0:5-ზე აიღო. სეტი ფედერერმა 6:1 მოიგო. აღსანიშნავია, რომ ამ პარტიაში სერბმა მიღებაზე მხოლოდ სამი ქულა მოიპოვა და ეს იმ დროს, როცა ფედერერი პირველ მოწოდებას 41 პროცენტის სიზუსტით ასრულებდა. სეტი სულ 32 წუთი გაგრძელდა.

სამაგიეროდ, მეორე პარტიის დასაწყისი ჯოკოვიჩისა იყო - მან ბრეიკი გააკეთა და წინ გაიჭრა - 3:0. ფედერერმა მაინც მოახერხა ინიციატივის ხელში ჩაგდება, წაგებული მოწოდება დაიბრუნა და ანგარიში გაათანაბრა. მეცხრე გეიმში, 5:4-ზე ჯოკოვიჩს მეტოქის მოწოდებაზე სეტპოინტი ჰქონდა, მაგრამ როჯერმა პარტია გადაარჩინა. საბოლოოდ მომდევნო გეიმში შვეიცარიელმა მატჩში მეოთხე ბრეიკი გააკეთა და მშვიდად მიიყვანა შეხვედრა ლოგიკურ დასასრულამდე.

ეს გამარჯვება ფედერერისთვის მეოთხეა ამ სეზონში და 61-ე კარიერაში. გარდა ამისა, როჯერმა "მასტერსის" მე-16 ტიტული მოიგო და მიუახლოვდა ლეგენდარულ ამერიკელ **ანდრე აგასის**, რომლის აქტივშიც 17 ასეთი გამარჯვებაა. ცინცინატიში ტრიუმფმა ფედერერს 443 500 დოლარი მოუტანა.

■ ■ ■

ტორონტოში ქალთა ტურნირზე რუსების ფინალი ვიხილეთ. შარშანდელი აპრილის შემდეგ **მარია შარაპოვამ** პირველად ითამაშა WTA-ის ტურნირის ფინალში, მაგრამ მისი მოგება ვერ მოახერხა. ამ ეტაპზე უკეთესი მზადყოფნა **ელენა დემენტიევამ** გამოავლინა, რომლისთვისაც მარია ყოველთვის უხერხულ მეტოქედ ითვლებოდა. შარაპოვას წინა ათი შეხვედრიდან რვაჯერ ჰყავდა დამარცხებული თავისი გამოცდილი მეტოქე.

სტარტზე მოპოვებული ბრეიკის წყალობით დემენტიევა 4:1 დაწინაურდა, მაგრამ კინაღამ დათმო მოგებული პარტია. ზედიზედ სამი მოგებული გეიმით შარაპოვამ ანგარიში გაათანაბრა. და მაინც, სეტის ბოლოს ელენამ იმარჯვა - 4:4-ზე ორი გეიმი აიღო და სეტებს შორის დაწინაურდა.

მეორე პარტიაში ცოტა ხანი მიდიოდა თანაბარი ბრძოლა: 2:2-ზე დემენტიევამ მეტოქის მოწოდებაზე მორიგი გეიმი მიითვალა და სეტის ბოლომდე აღარ გასჭირვებია ამ უპირატესობის შენარჩუნება.

დემენტიევამ პროფესიულ კარიერაში მე-14 ტიტული მოიგო. ამ გამარჯვებისთვის მას 350 ათასი დოლარი გადაეცა.

**ATP**

**W & S Financial Grp**

ცინცინატი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 3 000 000 დოლ.

**ფინალი**

**როჯერ ფედერერი** (შვეიც, 1)-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 4) 6:1, 7:5.

**WTA**

**Rogers Cup**

ტორონტო (კანადა). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 2 000 000 დოლ.

**ფინალი**

**ელენა დემენტიევა** (რუს, 4)-მარია შარაპოვა (რუს) 6:4, 6:3.



# დეტროიტმა ყიდვა-გაყიდვა დაამთავრა

"დეტროიტ პისტონზის" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ ახალი სეზონის დაწყებამდე აღარ აპირებს მესამე გამთამაშებლის შეძენას. როგორც გამოცემა Detroit Free Press-ი იუწყება, ამ ამპლუაში ძირითადი მოთამაშე 23 წლის **როდნი სტაკი** იქნება, მისი შემცვლელის როლს კი **უილ ბინუმი** შეასრულებს.

გარდა ამისა, არსებობს ვარიანტი, რომელიც გამთამაშებლის პოზიციაზე გუნდის დებიუტანტის **ბენ გორდონის** გამოყენებას ითვალისწინებს. ბრიტანელმა კალათბურთელმა ცოტა ხნის წინ გამოაცხადა, რომ ის იმაზე მეტად უნივერსალური მოთამაშეა, ვიდრე საკალათბურთო საზოგადოებას წარმოუდგენია.

*"ჩიკაგოში" თამაშისას მწვრთნელი მხოლოდ ქულების დაგროვებას მთხოვდა. მაგრამ მე მეტის გაკეთება შემიძლია: პასების დარიგება, მეტოქეზე ზეწოლის მოხდენა, პარტნიორებისთვის მომენტების შექმნა... გულშემატკივარს ჯერ არ უნახავს ჩემი შესაძლებლობების სრული არსენალი. ვფიქრობ, "დეტროიტს" ქულების დაგროვების გარდა, სხვა ბევრ სარგებელს მოვუტან"*, - ამბობს გორდონი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



მძლეოსნობა

# ბოლტი: სიგრძეზე ხტომა უნდა ვცადო

## იამაიკაში 5-6 ახალი უსაინ ბოლტი იზრდება




მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, კვლავაც აქტუალურია იამაიკელი სპრინტერის **უსაინ ბოლტის** პიროვნება. ბრიტანული "გარდიანისთვის" მიცემულ ინტერვიუში მსოფლიოს ჩემპიონატისა და ოლიმპიადის სამგზის ჩემპიონმა გამოაცხადა, რომ გამორიცხული არ არის, მომავალში სიგრძეზე ხტომაში სცადოს ბედი.

*"ჩემს მწვრთნელს ვუთხარი, რომ მინდა სიგრძეზე ხტომაში ვცადო ბედი. ვფიქრობ, გამომივა. 400 მეტრი? არ ვიცი. სურვილი არ მაქვს, მაგრამ თუ მწვრთნელი გადაწყვეტს, რომ ესეც უნდა ვცადო, შევეცდები ამის გაკეთებას.*

*გარშემო ყველა მცნობს. ისეთივე პოპულარული ვარ, როგორიც თავის დროზე ბობ მარლი იყო, რადგან ჩემი გვარი ყველგან ისმის. მე უიშვიათესი ნიჭი მაქვს, რომელსაც 10 წელიწადში ერთხელ თუ ალმოაჩენ.*

*სეზონის დარჩენილ ნაწილში რეკორდები აღარ იქნება. უბრალოდ ვირბენ, მეტი არაფერი"*, - ამბობს ბოლტი.

უსაინის სიგრძეზე ხტომაში სავარაუდო გამოსვლას ლეგენდარული ამერიკელი **მაიკ პაუელი** გამოეხმაურა, რომელიც ამ დისციპლინაში 1991 წლიდან მსოფლიო რეკორდის მფლობელია (8,95 მეტრი).

*"სულ მცირე თანხად შემიძლია ვასწავლო ბოლტს, როგორ უნდა გადახტეს ცხრა მეტრზე. მისი სიმაღლისა (195 სმ) და სისწრაფის პატრონს ეს არ გაუჭირდება. სიტყვებით ვერ ალვწერ, იმდენად დიადი სპორტსმენია ბოლტი"*, - აცხადებს ლეგენდარული ამერიკელი. ბერლინელებმა ბოლტი სამშობლოში უსაჩუქროდ არ გაუშვეს. ქალაქის მთავრობამ ჩემპიონატის ბოლო დღეს სპეციალური ცერემონია მოუწყო იამაიკელს და მას ბერლინის ცნობილი კედლის დიდი ნატეხი აჩუქა. საჩუქრის წონა თითქმის სამი ტონაა, მასზე თავად სპორტსმენია გამოსახული და იქვეა წარწერა - "მსოფლიოს ახალი რეკორდი". კედლის ნატეხს მორბენლის სამშობლოში - იამაიკაში ჩაიტანენ.

*"ბერლინი არასოდეს დამავიწყდება"*, - განაცხადა ბოლტმა ცერემონიაზე.

ამასობაში ჟურნალისტები უსაინ ბოლტის ფენომენის შესახებ იამაიკის მძლეოსანთა ნაკრების ექიმს **ჰერბერტ ელიოტს** დაეკითხნენ, რომელმაც მეტად საინტერესო მოსაზრება გამოთქვა:

*"იამაიკელები მრავალწლიანი მონობის შემდეგ გახდნენ ასეთი ძლიერები. იმ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, სანამ იამაიკაში ფაქტობრივად არ იყვნენ თავისუფალი ადამიანები, ხალხის გენეტიკა შეიცვალა - მათ გიგანტური დატვირთვებისას თავის გადარჩენა ისწავლეს. ამის წყალობით თანამედროვე იამაიკელების მუსკულატურა ევროპელებზე უფრო სწრაფად ვითარდება. გარდა ამისა, ჩვენი სკოლების უფროს კლასებში ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი უძლიერესი პროგრამა მოქმედებს. ხანდახან მოსწავლეებს შორის ჩემპიონატები უფრო დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობს, ვიდრე ეს ევროპის პირველობებზე ხდება.*

*უსაინ ბოლტი სწორედ ერთ-ერთი ასეთი შეჯიბრების დროს შევამჩნიეთ. 13 წლის ბიჭი სარბენ ბილიკზე იოლად გაუსწორდა ხუთი-ექვსი წლით უფროსებს. ჩვენ ის სპეციალურ სპორტინტერნატში გავამწესეთ და იქიდან მოყოლებული ვაკვირდებით. ორი წლის შემდეგ იუნიორებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო და რეკორდიც დაამყარა. მაშინ ის მხოლოდ 15 წლის იყო. თუმცა ამ ტურნირის შემდეგ უსაინი გაქრა მძლეოსნობის მსოფლიო სპეციალისტების თვალთახედვის არიდან. საქმე ისაა, რომ მისმა განუვითარებელმა მუსკულატურამ დატვირთვებს ვერ გაუძლო. მაგრამ ბოლტის ფიზიკურ მომზადებაზე რამდენიმე მწვრთნელი მუშაობდა და ის 19 წლის ასაკში დაუბრუნდა საერთაშორისო არენას.*

*ახლა ჩვენთან ყოველ მოსწავლეს ბოლტზე სწრაფად სირბილი სურს. და ვხედავ ისეთ ყმაწვილებს, რომლებიც შეძლებენ ამის გაკეთებას. მაგალითად, ცოტა ხნის წინ ერთმა ბიჭმა ლონდონში 100 მეტრი 9,93 წამში გაირბინა. ის სულ 19 წლისაა და ეს შედეგი - მხოლოდ დასაწყისია. ჩვენს საწვრთნელ ბანაკებში კიდევ 5-6 ბოლტი იზრდება. სულ მალე, ერთ-ორი წლის შემდეგ, მათ საერთაშორისო არენაზე გამოვიყვანთ. და თქვენ მოგიწევთ მათზე წერა".*

ფორმულა 1

# ბადოერის ნაცვლად ფიზიკელა?

საინტერესო ინფორმაცია მიაწოდა ჟურნალისტებს ფორმულა 1-ის აუტსაიდერი გუნდის "ფორს ინდიას" მენეჯერმა **ენრიკო ძანარინიმ**. "ფერარის" ხელმძღვანელობა მოლაპარაკებებს აწარმოებს ინდურ გუნდთან იტალიელი **ჯანკარლო ფიზიკელას** გადაბირების თაობაზე. "სკუდერიას" ჩანაფიქრით, ჩემპიონატის მომდევნო რბოლებში სწორედ ფიზიკელამ უნდა შეცვალოს ტრავმირებული **ფელიპე მასა**.

*"ჩვენ "ფერარისთან" მჭიდრო კონტაქტი გვაკავშირებს და ამ მოლაპარაკებებში პრობლემას ვერ ვხედავთ. ვიცით, რომ ჯანკარლოს ოცნება "ფერარიში" გამოსვლაა, მაგრამ ფიზიკელას უფასოდ არ გავუშვებთ. მასთან ჩვენ კონტრაქტი გვაკავშირებს"*, - ამბობს ძანარინი ფრანგული "ეკიპისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

როგორც იტყობინებიან, ფიზიკელამ, შესაძლოა, უკვე მომდევნო რბოლაში ბელგიის "სპაზე" დაიკავოს ადგილი "ფერარის" ბოლიდში.

შეგახსენებთ, რომ კვირას ევროპის გრან-პრიზე ფელიპე მასას "ფერარის" ტესტ-პილოტი **ლუკა ბადოერი** ცვლიდა, რომელმაც, რბილად რომ ვთქვათ, ცუდი შთაბეჭდილება დატოვა. ვეტერანმა ახალბედამ, რომელსაც კარგა ხანია, არ ჰქონია სარბოლო პრაქტიკა, კვალიფიკაციაში ბოლო ადგილი დაიკავა და კვირას რბოლის დროსაც ბევრი უცნაურობა ჩაიდინა: ტრასაზე მოცურდა და სტარტის დროს მოგებული პოზიციები დაკარგა; ბოქსებში შესვლისას ზრდილობიანად გაატარა უშუალო კონკურენტი და ამ საქმემ ისე გაიტაცა, რომ



თეთრი ხაზი გადაკვეთა, რის გამოც ჯარიმის სახით ბოქსებში დამატებითი შესვლა დაიმსახურა. საბოლოოდ ლუკა ფინიშზე მისულ პილოტებს შორის ბოლო ადგილზე ალმოჩნდა.

ასე რომ, ბადოერის ნაცვლად ფიზიკელას მიწვევა ლოგიკური ნაბიჯი იქნება, თუმცა "ფერარის" ხელმძღვანელობა ჯერ არ ადასტურებს "ფორს ინდიასთან" მოლაპარაკებების ფაქტს.

# ევროპის გრან-პრის სილვერსტოუნს მისცემენ

ფორმულა 1-ის მთავარმა პრომოუტერმა **ბერნი ექლსტოუნმა** 2007 წელს შვიდწლიანი კონტრაქტი გააფორმა ვალენსიას მთავრობასთან ევროპის გრან-პრის ჩატარების თაობაზე. იმ დროისთვის ამ ეტაპისგან ბევრს ელოდნენ - ითვალისწინებდნენ "რენოს" პილოტის **ფერნანდო ალონსოს** პოპულარობას, მონაკოს მსგავსად ქუჩის რბოლის გამართვის საინტერესო იდეას, მოსალოდნელ საერთო კომერციულ წარმატებას... მაგრამ წელს ბილეთების ნახევარი გაუსაღებელი დარჩა.

ზოგიერთი ამ ფაქტს "რენოს" წარუმატებლობებითა და გამარჯვებაზე ალონსოს დაბალი შანსებით ხსნის, ვილაცა-განუხორციელებელი იდეით - ვალენსიაში რთულია გასწრება და ტრასას არ გააჩნია ერთი საერთო კონცეფცია.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, გასულ კვირას ევროპის გრან-პრის სარბოლო უიქ ენდზე ბევრს ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ მომავალ წელს ვალენსია, შესაძლოა, გაქრეს მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდრიდან და ევროპის გრან-პრი სილვერსტოუნს გადასცენ. ამ შემთხვევაში ინგლისი ორ რბოლას მიიღებს. ეს გადაწყვეტილება იქიდან გამომდინარეობს, რომ 2008 და 2009 წლებში ბრიტანეთის გრან-პრიზე ანშლაგი დაფიქსირდა.

ჯერჯერობით ეს ინფორმაცია ოფიციალურად დადასტურებული არ არის, მაგრამ ბრიტანული და გერმანული პრესა ასეთ სცენარს არ გამორიცხავს.

**გვერდი მოამზადა**
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ევროპის ჩემპიონატი

#### ქალები

| | |
|---|---|
| გერმანია-ნორვეგია | 4:0 |
| ისლანდია-საფრანგეთი | 1:3 |

### ამხანაგური მატჩი

| | |
|---|---|
| რეალი-რუსენბორგი | 4:0 |

### ინგლისი

| | |
|---|---|
| ლივერპული-ასტონ ვილა | 1:3 |

ლივერპული: რეინა, ჯონსონი, კარაგერი, შკრტელი, ინსუა, კუიტი, მასკერანო, ლუკასი (66. ვორონინი), ბენაიუნი (75. ბაბელი), ჯერარდი, ტორესი

ასტონ ვილა: ფრიდელი, ბეიე, კუელიარი, დევისი, შორი, მილნერი, რეო-კოკერი, სიდველი, იანგი (80. ჰესკი), პეტროვი, აგბონლაორი.

გოლები: 0:1 ლუკასი (31-საკ. კარში), 0:2 დევისი (45), 1:2 ტორესი (72), 1:3 იანგი (75-პენ)

გაფრთხილება: 3-2; კუთხური: 10-4; ჯარიმა: 14-11; თამაშგარე: 1-3; კარში დარტყმა: 24-11(8-4); ბურთის ფლობა: 68%-32%.

მაყურებელი: 43 667

### ლიგის თასი

| | |
|---|---|
| ნორვიჩი-სანდერლენდი | 1:4 |

### იტალია

#### სერია B

| | |
|---|---|
| ჩეზენა-რეჯინა | 0:1 |

#### სერია C1/B

| | |
|---|---|
| პესკარა-რიმინი | 2:0 |

### გერმანია

#### II ბუნდესლიგა

| | |
|---|---|
| მიუნხენი-კარლსრუე | 1:3 |

### საფრანგეთი

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| მეცი-ბასტია | 1:0 |

### ჰოლანდია

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| გრააფსხაპი-ტოპ ოსი | 4:0 |
| ემენი-იგლზი | 0:1 |
| დენ ბოში-ეინდჰოვენი II | 1:1 |
| ომნივორლდი-ფორტუნა | 0:0 |
| ვოლენდამი-კამბური | 2:2 |
| ცვოლე-დორდრეხტი | 3:5 |
| ჰაარლემი-აპელდოორნი | 1:2 |
| ჰელმონდი-ექსელსიორი | 3:1 |
| მაასტრიხტი-ვეენდამი | 3:1 |
| როსენდაალი-ტელსტარი | 0:3 |

### პორტუგალია

| | |
|---|---|
| ბელენენსეში-ნავალი | 2:0 |

### დანია

| | |
|---|---|
| ოდენსე-რანდერსი | 1:0 |

### ნორვეგია

| | |
|---|---|
| ბრანი-სანდეფიორდი | 0:1 |

### შვეიცარია

#### ჩელენჯლიგა

| | |
|---|---|
| კრინსი-გოსაუ | 1:1 |

### შვედეთი

| | |
|---|---|
| იურგორდენი-გიოტებორგი | 0:0 |
| გეფლე-ჰამარბიუ | 1:0 |
| იორგრიტე-მალმიო | 1:0 |
| ტრელებორგი-ჰალმსტადი | 4:0 |

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ლანდსკრონა-ტროლჰატანი | 3:1 |
| ნორჩოპინგი-სირიუსი | 3:0 |
| სუნდსვალი-ანგელჰოლმი | 4:1 |
| იონჩოპინგი-ატვიდაბერგი | 2:2 |

### თურქეთი

| | |
|---|---|
| დიარბაქირი-ფენერბაჰჩე | 1:3 |

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ჰაჩეთეფე-რიზე | 0:0 |

### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ბანიკი-ბრნო | 1:1 |

### ბულგარეთი

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი (პ)-ჩერნო მორე | 1:0 |

### ისრაელი

| | |
|---|---|
| ბეითარი-ჰაპოელი (თ-ა) | 0:0 |

### იაპონია

| | |
|---|---|
| ოიტა-კობე | 0:2 |

### არგენტინა

| | |
|---|---|
| ბანფილდი-რივერ პლეიტი | 2:0 |
| კოლონი-ველესი | 0:1 |

### ბრაზილია

| | |
|---|---|
| ავაი-ფლამენგო | 3:0 |
| კრუზეირო-ნაუტიკო | 4:2 |
| გოიაში-სანტოსი | 2:1 |

### ჩილე

| | |
|---|---|
| უნ. ჩილე-ევერტონი | 1:1 |

### კოლუმბია

| | |
|---|---|
| ატ. უილა-ინდეპენდიენტე | 0:2 |
| ენვიგადო-დეპ. პერეირა | 0:0 |

### ეკვადორი

| | |
|---|---|
| ბარსელონა-ელ ნასიონალი | 1:1 |

### აშშ

| | |
|---|---|
| ჩიკაგო-კოლორადო | 3:2 |
| ნიუ ინგლენდი-სოლტ ლეიკი | 3:1 |
| ჰიუსტონი-სიეტლი | 1:1 |

## ჩოგბურთი

### ATP. ნიუ ჰევენი

| | |
|---|---|
| ბოლელი-ო. როხუსი | 6:3, 6:4 |
| გაბაშვილი-კიმი | 4:6, 7:5, 3:6 |
| ზვერევი-სტარაჩე | 3:6, 6:2, 3:6 |
| ბეკერი-ფაუ | 6:2, 2:6, 3:6 |
| გოლუბევი-კუევასი | 3:6, 4:6 |
| კენდრიკი-ნილსენი | 6:3, 7:5 |
| აკასუსო-მ. გონსალესი | 6:1, 6:7, 6:2 |
| ბალდატისი-ჟილი | 4:6, 3:6 |
| გარსია ლოპესი-ლუ | 2:6, 2:6 |

### WTA. ნიუ ჰევენი

| | |
|---|---|
| ვესნინა-დულკო | 7:6, 6:2 |
| ა. რადვანსკა-ვინჩი | 2:6, 6:2, 7:6 |
| მაკაროვა-პავლიუჩენკოვა | 3:6, 3:6 |
| სკიავონე-რიბარიკოვა | 4:6, 4:6 |
| ბენეშოვა-ლეპჩენკო | 4:6, 6:2, 6:1 |
| შნიდერი-რაზანო | 3:6, 6:3, 3:6 |
| კლეიბანოვა-ვიკმაიერი | 6:3, 1:6, 4:6 |
| მორესმო-სუგიამა | 6:4, 6:1 |

TV პროგრამა

## 25 აგვისტო. სამშაბათი

### I არხი

13:30 გოლი - საფეხბურთო პროგრამა.
22:30 ჩემპიონთა ლიგა. IV საკვალიფიკაციო რაუნდი. საპასუხო მატჩი (LIVE).
01:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. IV საკვალიფიკაციო რაუნდი. მიმოხილვა.

### რუსთავი 2

22:30 ჩემპიონთა ლიგა. IV საკვალიფიკაციო რაუნდი. საპასუხო მატჩი. ანდერლეხტი-ლიონი (LIVE).
01:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. IV საკვალიფიკაციო რაუნდი. მიმოხილვა.

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

07:35 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
08:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:10 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:10 იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ბარი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ასტონ ვილა.
14:10 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:20 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:25 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:45 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:25 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:30 ჩემპიონთა ლიგა. IV საკვალიფიკაციო რაუნდი. საპასუხო მატჩი. ატლეტიკო-პანათინაიკოსი (LIVE).
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:05 ჩემპიონთა ლიგა. IV საკვალიფიკაციო რაუნდი. საპასუხო მატჩი. ანდერლეხტი-ლიონი.
03:10 ჩემპიონთა ლიგა. IV საკვალიფიკაციო რაუნდი. საპასუხო მატჩი. ციურიხი-ვენტსპილსი.
05:15 ჩემპიონთა ლიგა. IV საკვალიფიკაციო რაუნდი. საპასუხო მატჩი. ატლეტიკო-პანათინაიკოსი.

### НТВ-პლუსი (ონლაინი)

06:15 რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. სტ. ელენსი-ჰადერსფილდი.
08:00 სპორტული დილა.
08:45 ბრძოლა წესების გარეშე.
10:30 ახალი ამბები.
11:00 მძლეოსნობა. IAAF-ის ოქროს ლიგა. გერმანია.
13:00 ჰოკეი. საერთაშორისო ტურნირი. სკა (რუსეთი)-დავოსი (შვეიცარია).
15:00 სპორტული დღე.
15:45 გასული სეზონის გახსენება.
17:55 ახალი ამბები.
18:25 ბრძოლა წესების გარეშე.
19:50 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. სეზონის საუკეთესო მატჩები. 1/8 ფინალი. ნიუ ჯერსი-კაროლინა. VII მატჩი.
22:00 სპორტული საღამო.
22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. IV საკვალიფიკაციო რაუნდი. საპასუხო მატჩი. მაკაბი (ჰ)-ზალცბურგი (LIVE).
00:50 ახალი ამბები.
01:20 სპორტული გლობუსი - TRANS WORLD SPORT წარმოგიდგენთ.
01:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. IV საკვალიფიკაციო რაუნდი. მიმოხილვა.
02:30 მძლეოსნობა. IAAF-ის ოქროს ლიგა. ნორვეგია.
05:30 ახალი ამბები.
05:40 მაგიდის ჩოგბურთი. პრო-ტური. კაცები. ფინალი. კორეა.

### EUROSPORT

10:30 მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. მიმოხილვა.
11:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
12:15 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ნორვეგია. ტურკუ. ფინეთი.
13:15 ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრან-პრი. HS134. ზაკოპანე. პოლონეთი.
15:00 მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. მიმოხილვა.
16:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
16:45 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ნორვეგია. ტურკუ. ფინეთი.
18:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ახალგაზრდული ნაკრებები. ეგვიპტე.
18:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. ინგლისი-იტალია. ტურკუ. ფინეთი (LIVE).
20:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:45 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. შვედეთი-რუსეთი. ტურკუ. ფინეთი (LIVE).
23:00 პროფესიული კრივი. მჩატე წონა. მ. კვინტერო (მექსიკა)-ტაირონ ჰარისი (აშშ). აშშ.
00:30 რალი. IRC-ის სერია. ჩეხეთი.
01:00 ავტოსპორტი. ლე მანის რბოლა ამტანობაზე. 1000 კმ. პორტუგალია.
01:30 სანაოსნო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. შვედეთი.
02:00 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
02:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. ინგლისი-იტალია. ტურკუ. ფინეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი



# როგორ იპოვა ენდიმ ბრუკლინი

ამერიკელი ჩოგბურთელის, **ენდი როდიკის** მეუღლემ **ბრუკლინ დეკერმა** მამაკაცების ჟურნალ GQ-ისთვის საკმაოდ თამამ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. ამერიკელი მოდელის ფოტოები ჟურნალის სექტემბრის ნომერში ალიბეჭდება.

ახალ ნომერში დეკერი მკითხველს თავისი მომავალი მეუღლის გაცნობის ამბავს უყვება.

ბრუკლინი გვიამბობს, რომ მათ გაცნობას ხელი შეუწყო Sports Illustrated-ისთვის მოწყობილმა ფოტოსესიამ, რომელიც მოდელს ოთხი წლის წინ, 17 წლის ასაკში ჰქონდა. ეს იყო გოგონას სადებიუტო ფოტოგადაღებები. ბიკინიში გამოწყობილი ბრუკლინის ფოტო როდიკს ძალიან მოეწონა და მან თავის აგენტს მოდელთან დაკავშირება სთხოვა.

*"მეგობრებთან ერთად ვიყავი, როცა მისმა აგენტმა დამირეკა და შეხვედრის თარიღი დამითქვა,* - იხსენებს დეკერი. *- პირველი პაემნის დროს კომედიურ შოუზე - Upright Citizens Brigade-ზე წავედით. სწორედ მაშინ გამიმხილა ენდიმ საკუთარი გრძნობები".*

გვერდი მოამზადა **გია თვალაბეიშვილმა**





ფეხბურთი



# VIP-ლოჟები კაკასთვის და რონალდოსთვის

მადრიდის "რეალის" ახალწვეულები - **კაკა** და **კრისტიანო რონალდო** თავიანთი გალაქტიკური ხელფასების ნაწილს "სანტიაგო ბერნაბეუს" ხუთიდან ორი VIP-ლოჟის არენდაში დახარჯავენ. მადრიდელი მეგავარსკვლავები კლუბის სალაროში 238 820 ევროს (თითოეული) გადარიცხავენ იმის სანაცვლოდ, რომ მათმა სტუმრებმა და ნათესავებმა მთელი სეზონი "რეალის" საშინაო თამაშებს თითოეულ ლოჟაში განთავსებული 20 კომფორტული სავარძლიდან უყურონ.

ეს ლოჟები სტადიონის კუთხეებში მესამე იარუსის დონეზეა, მათ ტყვიაგაუმტარი შუშა იცავს, აქვს საკუთარი ლიფტი, ბარი, ტუალეტი... ბრაზილიელისა და პორტუგალიელის გარდა, ასეთი ლოჟა "რეალის" კაპიტან, **რაულსაც** აქვს დაქირავებული - მან ამ ზაფხულს არენდის ვადა კიდევ ერთი სეზონით გაახანგრძლივა.

"რეალი" საპატიო ლოჟებში აბონემენტების გაყიდვით სოლიდურ მოგებას ნახულობს, თუმცა **რამონ კალდერონის** პრეზიდენტობისას მათზე მოთხოვნა თანდათან დაეცა. როგორც ჟურნალი Cinco Dias-ი გვაუწყებს, დღეისთვის სტადიონის სხვადასხვა ლოჟაში სავარძლებს დაახლოებით 400 კომპანია ფლობს. პრეზიდენტის პოსტზე **ფლორენტინო პერესის** დაბრუნების შემდეგ აბონემენტის შეძენა იმ 155-მა კომპანიამ გადაწყვიტა, რომელიც მანამდე დროებით უარს ამბობდა ამ ძვირი სიამოვნების მიღებაზე. ამ კომპანიათა რიცხვშია - Coca-Cola, Endesa, Heineken და Sacyr Vellehermoso... სხვათა შორის რამონ კალდერონის მმართველობისას ლოჟებში ადგილებისთვის ფასი 65 პროცენტით გაიზარდა, ფლორენტინო პერესმა კი ამ სერვისის ღირებულება კიდევ 5 პროცენტით აამაღლა.

საერთო ჯამში "სანტიაგო ბერნაბეუს" 236 ლოჟა (7-25 ადგილიანი) და 4953 VIP-სავარძელი აქვს, რომლისთვისაც კომპანიები წელიწადში 8900 ევროდან (მინიმალური თანხა) 400 ათას ევრომდე (მაქსიმალური თანხა 25-ადგილიანი ლოჟისთვის) იხდიან. ასეთი დიდი თანხის გაღება მხოლოდ მსხვილ კომპანიებს შეუძლიათ, ამიტომაც კლუბი საშუალო მასშტაბის ფირმებსაც იწვევს და მათ ნახევარსეზონიან სპეციალურ პაკეტებს სთავაზობს. შესაძლებელია ლოჟის დაქირავება ცალკეული მატჩისთვის, ან იაფი ლოჟის არენდა "სულ რაღაც" 65 ათას ევროდ. ამ მომენტისთვის, კლუბს გასაქირავებელი დარჩა VIP-სავარძლების 15 პროცენტი. "რეალში" კრისტიანო რონალდოსა და კაკას გამოჩენის შემდეგ, სტადიონზე კომფორტული ადგილების შეძენის სურვილი გამოთქვეს პორტუგალიურმა და ბრაზილიურმა კომპანიებმა, მათ ჩინურმა და იაპონურმა ფირმებმაც მიჰბაძეს.

■ ■ ■

ცნობილია, რომ გერმანული ავტოგიგანტი "აუდი" მადრიდის "რეალის" ოფიციალური სპონსორია და ყველა ფეხბურთელსა თუ სამწვრთნელო შტაბის წევრს თავისი ხაზის ნებისმიერ მოდელს სთავაზობს. მადრიდელები ვალდებულნი არიან, ვარჯიშებსა და კლუბის მიერ ჩატარებულ ყველა ოფიციალურ ღონისძიებაზე "აუდის" მანქანებით იარონ. დანარჩენ დროს კი ფეხბურთელები არჩევანში თავისუფალნი არიან.

"რეალის" ოფიციალურმა ვებგვერდმა გვამცნო, რომ კრისტიანო რონალდომ გადაადგილებისთვის Audi R8 5.2 FSI Quattro-ის მოდელი აირჩია.






მძლეოსნობა

# კაცი ყოფილა?

ინგლისურმა გაზეთმა "დეილი ტელეგრაფმა" სანდო წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქალებს შორის 800 მეტრზე სირბილში გამარჯვებულის - სამხრეთაფრიკელი **კასტერ სემენიას** ორგანიზმში მამაკაცური ჰორმონის - ტესტოსტერონის გადაჭარბებული შემცველობა აღმოჩნდა. გენდერულმა ტესტმა, რომელიც 18 წლის სემენიას დაუწესეს, ტესტოსტერონის სამჯერ მეტი დოზა დააფიქსირა, ვიდრე ჩვეულებრივ ქალებს აქვთ ხოლმე.

ოფიციალურად ეს ინფორმაცია არ დადასტურებულა. სავარაუდოდ, გენდერული ტესტის შედეგები რამდენიმე კვირის შემდეგ გამოქვეყნდება.

მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას ბევრი სპეციალისტი აღნიშნავდა, რომ სემენიას აღნაგობა, სახეზე თმების რაოდენობა და დაბალი ხმა უფრო მამაკაცებისთვის არის დამახასიათებელი. მორბენლის მშობლებმა და ნათესავებმა განაცხადეს, რომ კასტერის სქესის შესახებ არანაირი ეჭვი არ უნდა არსებობდეს და გენდერული ტესტის ჩატარების გამო პროტესტი გამოთქვეს.



როგორც "დეილი ტელეგრაფი" აღნიშნავს, სამხრეთ აფრიკის მძლეოსანთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი გერმანელი **ეკარტ არბაიტია**, რომელიც 70-80-იან წლებში გდრ-ის ნაკრებთან მუშაობდა. არბაიტის ერთ-ერთი აღზრდილი იყო **ჰაიდი კრიგერი**, რომელიც მომავალში სტეროიდების მუდმივად მიღების გამო, იძულებული გახდა სქესის შეცვლის ოპერაცია გაეკეთებინა. ახლა მას **ანდრეას კრიგერი** ჰქვია. გამოძიების დროს არბაიტმა ბრალი აღიარა, მაგრამ იქვე განაცხადა, რომ 1989 წლიდან მოყოლებული, მძლეოსან ქალებს აკრძალული პრეპარატების გარეშე ავარჯიშებს.


თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge